# შეშლილი ოცდამეერთე საუკუნე ⑪

## დაიწყება თუ არა ატომური ომი რუსეთის საზღვრებთან?


# საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge


!!!

ტექნიკური მიზეზების გამო „საქართველოს რესპუბლიკის“ გუშინდელი ნომერი ფართო მკითხველამდე ვერ მივიდა, რისთვისაც რედაქცია ბოდიშს იხდის!



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცუღლუტობით და ჭორებით ბრძოლის გატანა ყველა უპატიოსნობაზე უსაძაგლესია.


სამშაბათი-ოთხშაბათი, 25-26 აპრილი. 2017 წ. №84-85 (8221-8222), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.


ჯვარცმული აფხაზეთი

## გალის „გეტო“: ძალიან ნაწყენია თბილისზე ხალხი! ⑤

## ვიზიტი, რომელმაც შერიგების 5-წლიანი ძალისხმევა „გაანულა“ ③

დიპლომატიური ცინიზმი



## მოფარიკავეთა ნაკრები ევროპის ჩემპიონია!

**23-წლამდელთა შორის ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრები ხმლით ფარიკაობაში გამარჯვებული გახდა.**

ჩვენმა გუნდმა ფინალში იტალია ანგარიშით 45:36 დაამარცხა. ახალგაზრდა ქართველმა მოფარიკავეებმა დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველად 23-წლამდელებს შორის ხმლით ფარიკაობაში გუნდური ჩემპიონატი მოიგეს.

ბელარუსის დედაქალაქ მინსკში მიმდინარე ევროპის ახალგაზრდული პირველობის 1/2 ფინალში „ჯვაროსნებმა“ რუსეთის 23-წლამდელთა ნაკრები ანგარიშით 45:41 დაამარცხეს და ზედიზედ მეორედ შეძლეს ფინალში გასვლა.

რუსეთის დამარცხებამდე, ქართველმა მოფარიკავეებმა ბულგარეთს – 45:34 და რუმინეთს 45:31 მოუგეს.

## ვახტანგ მაისაია:



④

## მსოფლიო გადარჩა...

## საქართველოს კონსტიტუცია ზვიადიდან ბიძინამდე ⑥

## კარლო კოპალიანი:

## არჩევნები 40-45 მილიონი ჯდება, არ სჯობს, ეს თანხა ხალხს მოხმარდეს?! ⑦

# საყოველთაო ჯანდაცვა:

## ახალი პაკეტები 1 მაისიდან ამოქმედდება

**ცვლილებების** თანახმად, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული მოქალაქეები, რომელთა სარეიტინგო ქულა 0-დან 100 000-მდეა, ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტები, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში დაუფინანსდებათ. რაც შეეხება საყოველთაო პროგრამის ჯგუფებსა და დაფინანსების პირობებს, ის შემდეგნაირად განისაზღვრა: საშუალო შემოსავლის მქონე მოქალაქეებს, რომელთა ყოველთვიური შემოსავალი 1000 ლარზე მეტია, მაგრამ წლიური შემოსავალი არ აღემატება 40 000 ლარს, არჩევანის საშუალება მიეცემათ, ისარგებლონ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის შეზღუდული სერვისებით ან კერძო სადაზღვევო პაკეტით.

გარდა ამისა, ამ კატეგორიაში შემავალი მოქალაქეებისთვის პროგრამის ფარგლებში, კერძო დაზღვევის პაკეტის ქონის მიუხედავად, შეუნარჩუნდებათ ონკოლოგიური დაავადებების მკურნალობა კერძოდ, ქიმიო და ჰორმონოთერაპია. ასევე, მშობიარობა-საკეისრო კვეთის მომსახურება.

დაბალი შემოსავლის მქონე მოქალაქეებს, რომელთა ყოველთვიური შემოსავალი 1000 ლარზე ნაკლებია, ასევე, თვითდასაქმებულ, არარეგულარული შემოსავლის მქონე პირებს კერძო დაზღვევის ქონის მიუხედავად, შეუნარჩუნდებათ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით სარგებლობის უფლება, თუმცა მცირედ შეზღუდული პაკეტით. ასევე, მათ მიეცემათ გარდამავალი ეტაპის პრივილეგია, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ ამ კატეგორიაში შემავალი მოქალაქე შეიძენს კერძო სადაზღვევო პაკეტს, პროგრამის ფარგლებში ურგენტული სერვისები მიეწოდებათ უცვლელად. ასევე, ხელმისაწვდომი რჩება ონკოლოგიური დაავადებების მართვა (ქიმიო, ჰორმონო და სხივური თერაპია) და მშობიარობა-საკეისრო კვეთის მომსახურება.

სოციალურად დაუცველ მოქალაქეებს, პირებს, რომელთა სარეიტინგო ქულა 70 000-დან 100 000-მდეა, და 6-დან 18 წლამდე ასაკის მოზარდებს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით გათვალისწინებული სერვისების მოცულობა უცვლელად შეუნარჩუნდებათ. ამასთან, მათ არ ეზღუდებათ კერძო სადაზღვევო პაკეტით სარგებლობის უფლება.

მაღალი შემოსავლის მქონე მოქალაქეებს, რომელთა შემოსავალი წელიწადში 40 000 ლარს აღემატება, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით ვეღარ ისარგებლებენ.

საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის სერვისების მოცულობა განისაზღვრება ინდივიდუალური (და არა ოჯახის) შემოსავლის მიხედვით. პროგრამის ფარგლებში მშობიარობა ყველა ჯგუფს დაუფინანსდება. ასევე, ყველა ჯგუფი დარჩება ჯანდაცვის სახელმწიფო სხვა პროგრამების (მაგ: C ჰეპატიტის, ტუბერკულოზის, დიაბეტის მართვისა და ა.შ) მოსარგებლეებად.



## რევაზ გაგუა

გუშინ 72 წლის ასაკში ცნობილი ექიმი, ქირურგი-პულმოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი **რევაზ გაგუა** მოულოდნელად გარდაიცვალა თოდუას კლინიკაში ოპერაციის ჩატარების შემდეგ.



# ამერიკული კერძო ინვესტიციები გაორმაგდება!

**ძალიან მნიშვნელოვანი ვიზიტი ხელშესახები შედეგებით,** — ასე შეაფასა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა მთავრობის გუშინდელ სხდომაზე აშშ-ში სამუშაო ვიზიტი, რომელშიც მონაწილეობდნენ პირველი ვიცე-პრემიერი, ფინანსთა მინისტრი დიმიტრი ქუმსიშვილი, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი ზურაბ ალავიძე და ეროვნული ბანკის პრეზიდენტი კობა გვენეტაძე.

პრემიერმა ისაუბრა იმ შედეგებზე, რომლითაც დელეგაცია აშშ-დან დაბრუნდა.

**„მნიშვნელოვანია, რომ მსოფლიო ბანკისგან სახელმწიფო ბიუჯეტი მიიღებს 100 მლნ აშშ დოლარის პირდაპირ გრანტს რეფორმების განხორციელების მხარდაჭერისათვის. ასევე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მსოფლიო ბანკის პირველი ვიცე-პრეზიდენტი პოლ რომერი ძალიან დაინტერესდა ჩვენი მთავრობის ოთხპუნქტიანი რეფორმების გეგმით და იმ ფისკალური რეფორმებით, რომლებსაც ვახორციელებთ. მან გადაწყვიტა, პირადად ჩაერთოს რეფორმების განხორციელების პროცესში. იგი გახლავთ „ბიზნესის კეთების სიმარტივის" ჯგუფის ხელმძღვანელი მსოფლიო ბანკში და მისი მონაწილეობა ჩვენი რეფორმების პროცესში და მისი რჩევები უმნიშვნელოვანესი იქნება",** — განაცხადა პრემიერმა, რისთვისაც მადლობა გადაუხადა პოლ რომერს და მსოფლიო ბანკს მჭიდრო ჩართულობისთვის.

გიორგი კვირიკაშვილის შეფასებით, ასევე მნიშვნელოვანია, რომ საქართველოში საკრედიტო პორტფელის გაზრდის გადაწყვეტილება მიიღო ევროპის საინვესტიციო ბანკმა (EIB) და ბანკი გეგმავს 2017 წელს დამატებით გამოყოს 250 მლნ ევროს რესურსი ინფრასტრუქტურულ პროექტებზე.

**„არის ასეთი, ინოვაციური და დამწყები ბიზნესის დაფინანსების სპეციალური პროგრამა — InnovFin, რომელში ჩართვის შესაძლებლობა ექნებათ საქართველოს დამწყებ ბიზნესმენებს. 2016 წელს ევროპის საინვესტიციო ბანკმა გააორმაგა თავისი საკრედიტო პორტფელი საქართველოზე და თანხამ 1 მლრდ ევროს მიაღწია. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჩვენი სივრცით განვითარების გეგმით და ინფრასტრუქტურული პროექტებით დაინტერესება გამოთქვა მსოფლიოს ერთ-ერთმა უმსხვილესმა საინვესტიციო ბანკმა „ბარკლაიმ". ის დაინტერესდა საჯარო-კერძო დაფინანსების სქემებში ჩართვით, რასაც ჩვენ მივესალმებით. ეს კიდევ ერთხელ მოწმობს იმას, რამდენად მნიშვნელოვანი და სწორად სტრუქტურირებულია ეს რეფორმა და განვითარების ეს გეგმა",** — განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

პრემიერის თქმით, ასევე მნიშვნელოვანია დადებითი შეფასება, რომელიც საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის მხრიდან ლარიზაციის სამთავრობო გეგმამ მიიღო.

**„ამ გეგმის შედეგად, საერთაშორისო საფინანსო კორპორაციამ გამოთქვა სურვილი, გამოუშვას ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული ობლიგაციები, რაც უმნიშვნელოვანესია. დღემდე, კორპორაციას საქართველოში კერძო სექტორში 59 პროექტი აქვს განხორციელებული და მთლიანობაში 1,64 მლრდ აშშ დოლარი აქვს ინვესტირებული. ასევე, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი გეგმავს რამდენიმე ათეული მილიონი ლარის ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული ობლიგაციების გამოშვებას, სპეციალურად ევროპასთან თავისუფალი სავაჭრო შეთანხმების პოტენციალის ასათვისებლად, საექსპორტო პოტენციალის მქონე კომპანიების დაფინანსებისთვის, რაც ასევე ძალიან მნიშვნელოვანია. მთლიანობაში, ჩვენი ფისკალური პოლიტიკა დადებითად შეფასდა მსოფლიოს სამი უმსხვილესი სარეიტინგო სააგენტოს — Fitch Ratings; Moody's; S&P-ის მიერ. ყველა სააგენტოს მიერ არის აღნიშნული პროგრესი, რომელიც ქვეყანას აქვს ბევრ სექტორში, მათ შორის წარმოების განვითარების ხელშეწყობაში, ექსპორტში, ტურიზმში, ფულადი გზავნილების დადებით დინამიკაში და ა.შ. მთლიანობაში, ის ძალიან დიდი პოზიტივი, რომელიც ბოლო პერიოდში მოდის საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების, სარეიტინგო სააგენტოების მხრიდან, მეტყველებს იმაზე, რომ ოთხპუნქტიანი გეგმის ყველა კომპონენტი არის სწორად სტრუქტურირებული, მათი შესრულება არის აბსოლუტურად რეალისტური და ჩვენ თანმიმდევრულად მივყვებით ამ გეგმას.**

## ეკონომიკური დანაშაული ჩაიდინე? — გადაიხადე 100 000 ლარი!

**„საგადასახადო კოდექსში მნიშვნელოვანი ცვლილებები შედის", რომელიც საგადასახადო და სისხლის სამართლის კოდექსებში ცვლილებებს ითვალისწინებს.**

კანონპროექტთა პაკეტი მთავრობის სხდომაზე უკვე განიხილეს. როგორც პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, ეკონომიკური დანაშაულის დეკრიმინალიზაცია მთავრობის ოთხპუნქტიანი გეგმის ეკონომიკური რეფორმების ნაწილის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დაპირება იყო.

გიორგი კვირიკაშვილის თქმით, ცვლილებებზე ეკონომიკურმა გუნდმა იმუშავა, უპირველეს ყოვლისა, ფინანსთა სამინისტრომ, თუმცა, ჯერ კიდევ ბიზნესომბუდსმენობის დროს საკმაოდ მოცულობითი სამუშაო შეასრულა გიორგი გახარიამ.

**„პაკეტის თანახმად, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დასაკისრებლად დადგენილი თანხის ოდენობა 50 000-დან 100 000 ლარამდე იზრდება. ასევე, უქმდება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ისეთი ქმედებებისთვის, რომლებიც თავისი შინაარსით საგადასახადო სამართალდარღვევას წარმოადგენს. მაგალითად, სასაქონლო ზედნადებთან და არააქციზური საქონლის მარკირებასთან დაკავშირებული დარღვევები და ა.შ. ასევე, პაკეტში შედის ისეთი მნიშვნელოვანი სტიმულები ცალკეული დარგებისთვის, როგორიცაა, მაგალითად, შიდა ავიაციის სტიმულირება. ამისთვის ჩვენ დღგ-სა და აქციზისგან ვათავისუფლებთ საავიაციო საწვავის იმ ნაწილს, რომელიც შიდა ავიაციისთვის იქნება განკუთვნილი ბორტზე მისაწოდებლად, ასევე — სხვადასხვა საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვასთან დაკავშირებული მომსახურებების გაწევას",** — განაცხადა პრემიერმა.

## მიკროელექტროსადგურების მფლობელები წახალისდებიან...

„საგადასახადო კოდექსში" შესატანი ცვლილებების თანახმად, სპეციალური წამახალისებელი ზომები იქნება მიღებული იმ მოქალაქეებისთვის, რომლებსაც მიკროელექტროსადგურები აქვთ.

**„ჩვენ გვინდა, მწვანე ენერგია მაქსიმალურად წავახალისოთ და მოქალაქეების მიერ მიკროელექტროსადგურების საშუალებით გამომუშავებული ელექტროენერგიის ჭარბი რაოდენობა გაიყიდოს ისე, რომ გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი არ დაიბეგროს. მოგეხსენებათ, ზოგიერთ ქვეყანაში დღეს ძალიან გავრცელებულია მზის ელექტროსადგურის სასახურავე პანელები და ამ პანელების წახალისება გვინდა. ამ მიმართულებით, გარემოს დაცვისა და ენერგეტიკის სამინისტროები კოორდინირებულად მუშაობენ. ჩვენ გვსურს, არამარტო ეს საგადასახადო სტიმული გვქონდეს, არამედ — გარკვეული დაფინანსების მექანიზმებიც, რათა, განსაკუთრებით მთიან რეგიონებში, სადაც მნიშვნელოვანია კულტურული მემკვიდრეობის იერსახის დაცვა, ამ ტიპის მიკროელეტროსადგურების ინოვაცია გამოვიყენოთ",** — აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.



# სამშენებლო ამნისტია 2 წლით გაგრძელდება

## სამინისტროებთან პროექტზე შეთანხმება უკვე მიღწეულია

**სამშენებლო ამნისტია, რომლის ფარგლებში 2008 წლამდე დაწყებული სამშენებლო ობიექტები, დღგ-ს გადახდისაგან თავისუფლდება, 2 წლით — 2020 წლამდე გაგრძელდება**. ბიზნესომბუდსმენის მოვალეობის შემსრულებელი ზურაბ ძნელაშვილი რადიო „კომერსანტთან" საუბრისას აცხადებს, რომ ამ თემით ბიზნესომბუდსმენის აპარატს „მენაშენეთა ასოციაციამ" მიმართა. მისივე თქმით, შეთანხმება მიღწეულია ეკონომიკის და ფინანსთა სამინისტროებთან, ახლა საკითხი მთავრობის სხდომაზე უნდა გავიდეს და მხარდაჭერის შემთხვევაში პარლამენტში გაიგზავნება.

**პროექტის მიხედვით, ამნისტიის ვადა 2018 წლის 1 იანვრის ნაცვლად 2020 წლის 1 იანვრამდე გაგრძელდება.**

**მენაშენეთა ასოციაციის ინფორმაციით, მთავრობის მიერ დადგენილმა შეღავათმა მნიშვნელოვანი ეფექტი იქონია დარგზე და ცვლილების შედეგად განახლდა 22 შეჩერებული სამშენებლო ობიექტის მშენებლობა, რომელთა საინვესტიციო ღირებულებამ 55 მილიონი დოლარი შეადგინა და მათი დასრულება კი 2017 წლის 31 დეკემბრამდეა დაგეგმილი.**

**მათივე განმარტებით, საშეღავათო პერიოდის 2 წლით გაგრძელების შემთხვევაში დარგისთვის მოსალოდნელია დამატებითი ეფექტი. კონკრეტულად: განახლდება 32 შეჩერებული სამშენებლო ობიექტის მშენებლობა, რომელთა საინვესტიციო ღირებულება 109 მილიონ დოლარს შეადგენს.**



სამშენებლო ამნისტიის შესახებ 2015 წლის თებერვალში **ირაკლი ღარიბაშვილმა** მთავრობის სხდომაზე განაცხადა. მაშინ ირაკლი ღარიბაშვილმა თქვა, რომ სამშენებლო კომპანიების მიერ სახელმწიფოს მიმართ დაგროვილი ვალდებულებები კომპანიებს დღემდე მძიმე ტვირთად აწვება, რაც აღნიშნული დარგის განვითარებას აფერხებს.

მოგვიანებით თბილისის მერმა **დავით ნარმანიამ** განაცხადა, რომ თბილისის მთავრობა მზად, არის კოეფიციენტის მოსაკრებლისგან გაათავისუფლოს და მშენებლობის ნებართვების ვადა გაუგრძელოს 2008 წლის აგვისტომდე დაწყებულ მშენებლობებს.

**„საქმე უმეტესწილად დედაქალაქში შეჩერებულ მშენებლობებს ეხება, რომელმაც წინ ვერ წაიწია. სამშენებლო კომპანიებისთვის მნიშვნელოვანია წახალისება და სხვადასხვა სტიმულირების ინსტრუმენტები, რათა შეძლონ შეჩერებული მშენებლობების დასრულება",** — განაცხადა მაშინ ნარმანიამ.

პარლამენტმა შესაბამისი ცვლილებები საგადასახადო კოდექსშიც დაამტკიცა. მაშინ ფინანსთა მინისტრის მოადგილე **ლაშა ხუციშვილმა** განაცხადა, რომ პარლამენტის მიერ დამტკიცებული პროექტის თანახმად, **დღგ-სგან ჩათვლის უფლებით თავისუფლდება 2015 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 1 იანვრამდე განხორციელებული უძრავი ქონების მიწოდება და ასევე სამშენებლო-სამონტაჟო მომსახურება. აღნიშნული შეღავათი კი იმ ობიექტებს შეეხება, რომელზეც მშენებლობის ნებართვა 2008 წლის 8 აგვისტომდეა გაცემული.**

**მისივე ინფორმაციით, საგადასახადო შეღავათი შეეხებოდა 30-მდე სამშენებლო კომპანიის 65-ზე მეტ სამშენებლო პროექტს თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, ბორჯომში. სულ მისაწოდებელი ფართების ოდენობა 900 000 კვ.მ-ზე მეტს შეადგენს, ხოლო სარეალიზაციო ღირებულება 1,200 მლრდ ლარს აღემატება. ლაშა ხუციშვილის თქმით, უშუალოდ ფიზიკური პირების რაოდენობა, რომელთაც ასეთ მშენებლობებში ფართი აქვთ შეძენილი, 15 ათასამდე პირს შეადგენს. რაც შეეხება დამატებითი ღირებულების გადასახდის ოდენობას, ხუციშვილის განცხადებით, ის 200 მილიონი ლარია.**

**სალომე სოსელია**

# ვიზიტი, რომელმაც შერიგების 5-წლიანი ძალისხმევა „გაანულა“



**რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვის ვიზიტი ოკუპირებულ აფხაზეთში დასრულებულია. 18 აპრილს იგი სოხუმს 2008 წლის ომის დროიდან რიგით მეოთხე, მაგრამ ბოლო ოთხი წლის განმავლობაში პირველი ვიზიტით ეწვია, არასრული ორი დღის განმავლობაში სოხუმში „რუსეთის საელჩოს შენობათა კომპლექსი“ გახსნა, „აფხაზი ხალხის სამამულო ომში დაღუპულ გმირთა მემორიალი“ გვირგვინით შეამკო, დე ფაქტო პრეზიდენტ რაულ ხაჯიმბას შეხვდა, სოხუმის სანაპიროზე სახელგანთქმული ყავა დააგემოვნა, დრამის რუსული თეატრის დასს გაეცნო, შემდეგ დახურული შეხვედრა გამართა დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრ დაურ კოვესთან და აფხაზეთი დატოვა.**

## მოსკოვის ცინიზმი, თბილისის აღშფოთება!

სოხუმის ხელისუფლებამ მაღალი რანგის რუსული დელეგაციის ვიზიტი იმის „ნათელ დასტურად“ გამოაცხადა, „რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს რუსეთი აფხაზეთთან ურთიერთობებს, ორ სახელმწიფოს შორის მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის გაღრმავებას“, თბილისმა კი – „უკიდურეს ცინიზმად“ და „მოსკოვის მორიგ ნაბიჯად საქართველოს ტერიტორიების ანექსიის მიმართულებით“. ამასთან, პოლიტიკური ოპოზიცია მწვავე კრიტიკით გამოვიდა და მოუწოდა საქართველოს ხელისუფლებას, „ბოლოს და ბოლოს, სიტყვიდან საქმეზე გადავიდეს“.

**„ვიზალიბერალიზაციის კონტექსტში რუსეთის ქმედებები კიდევ უფრო აგრესიული გახდა და ეს პროცესი გაგრძელდება მანამ, სანამ საქართველოს საკითხი არ დაბრუნდება ჩვენი საერთაშორისო პარტნიორების რუსეთთან ურთიერთობის დღის წესრიგში... მნიშვნელოვანია, ამ ვიზიტს მოჰყვეს მყისიერი და მკაცრი რეაგირება ჩვენი საერთაშორისო პარტნიორებისგან. კიდევ ერთხელ მოვუწოდებთ ხელისუფლებას, ახლა მაინც გააააქტიუროს მუშაობა საერთაშორისო საზოგადოებასთან და უზრუნველყოს, რომ საქართველოს საკითხის დასმის გარეშე არც ერთი მაღალი დონის შეხვედრა არ ჩატარდეს“,** – განაცხადა „თავისუფალი დემოკრატების“ გენერალურმა მდივანმა **თამარ კეკენაძემ**.

პრეზიდენტმა მარგველაშვილმა აღშფოთება გამოხატა ოკუპირებულ აფხაზეთში ლავროვის ვიზიტისა და ე.წ. საელჩოს გახსნის გამო. მან მოუწოდა საერთაშორისო თანამეგობრობას, „მტკიცედ დაგმოს რუსეთის ფედერაციის ე.წ. „პრივილეგირებული ინტერესების პოლიტიკა“. ამასთან, საქართველოს სახელით პრეზიდენტმა კვლავაც გამოხატა მზადყოფნა ნებისმიერი საკითხის დიპლომატიურ სივრცეში განხილვისათვის და რუსეთის მხარეს კონსტრუქციული დიალოგისკენ მოუწოდა.

მწვავე განცხადება გაავრცელა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომაც:

**„ლავროვის ვიზიტი წარმოადგენს მოსკოვის პროვოკაციული პოლიტიკის გაგრძელებას საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ, რაც მიზნად ისახავს ეთნიკური წმენდისა და სამხედრო ოკუპაციის მეშვეობით სუვერენული სახელმწიფოს საზღვრების ძალადობრივი ცვლილების დაკანონებას. მსგავსი უკანონო ქმედებებით რუსეთის ფედერაცია უშედეგოდ ცდილობს საოკუპაციო რეჟიმების ლეგიტიმაციას. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს რუსეთის ფედერაციას, შეწყვიტოს პროვოკაციული ქმედებების პრაქტიკა, პატივი სცეს სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობას და შეასრულოს ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებები, მათ შორის – 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმება“.**

**„ჩვენ გლობალური პრობლემების გზაგასაყარზე ვიმყოფებით. ჩემი ქვეყნის 20% ოკუპირებულია, ხოლო რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრი შეგნებულად სტუმრობს ოკუპირებულ ტერიტორიებს და აქ მილიტარიზაციის პროცესი მიმდინარეობს“, - განაცხადა, თავის მხრივ, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა სამხრეთ კავკასიის უსაფრთხოების ფორუმზე სიტყვით გამოსვლისას. ამასთან, მან კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ „საქართველოს ხელისუფლების ხედვა სტრატეგიული პარტნიორების, მათ შორის აშშ-ის, ევროკავშირისა და ნატო-ს ჩართულობით კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარებაა ქვეყნის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში, საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პრინციპების დაცვით“.**

თავად რუსეთი ოფიციალური თბილისის პრეტენზიებს კარგა ხანს საერთოდ „არ იმჩნევდა“, ბოლოს კი, უკვე ვიზიტის დასრულების შემდეგ მოკლე, ინფორმაციული განცხადება გაავრცელა:

„სოხუმში შეხვედრებისას განხილული იყო ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავების საკითხი, თანამშრომლობა რეგიონული და საერთაშორისო მიმართულებით. ამ კუთხით აღინიშნა ჟენევის ფორმატის მნიშვნელობა. საგარეო საქმეთა მინისტრის ვიზიტმა აფხაზეთში ახალი იმპულსი შესძინა რუსულ-აფხაზური ურთიერთობების განვითარებას იმ ფონზე, როცა **საქართველო კვლავინდებურად უარს ამბობს** აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან ძალის არგამოყენების შესახებ შეთანხმებების გაფორმებაზე და დაჟინებით ისწრაფვის ნატოში“.

## თბილისის აღშფოთების ფონზე მოსკოვის მსგავსი პასუხი ასე აღიქმება: „ძაღლი ყეფს – ქარავანი მიდის“

დაახლოებით ასე აღიქვა ეს ექსპერტმა კავკასიის საკითხებში **კონსტანტინე ტასიცმა**, რომლის აზრით, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებზე რაიმე ხელშესახებ ასახვას არც ლავროვის ვიზიტი ჰპოვებს და არც მასზე თბილისის მწვავე რეაქცია:

**„ეს თბილისის მხრიდან ნაწილობრივ – რიტუალური, ნაწილობრივ პოლიტიკური განცხადებებია, რომელიც აფიქსირებს მის ურყევ პოზიციას, არ შეეგუოს რუსეთის გადაწყვეტილებას აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების თაობაზე. სწორედ ამ სიბრტყეში განიხილავს თბილისი რუსეთის ნებისმიერ კონტაქტსა და ურთიერთქმედებას ამ ორ ახალგაზრდა სახელმწიფოსთან. ამ თვალსაზრისით შეგვიძლია, ვთქვათ, რომ ეს მოვლენაც, ნაკლებ სავარაუდოა, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებზე აისახოს: ისინი ხომ ისედაც მინიმალურ დონემდეა დასული...“**

„რუსეთის საერთაშორისო საქმეთა საბჭოს“ ექსპერტ **ალექსანდრე კრილოვს** კი მოეჩვენა, რომ ოფიციალურმა თბილისმა საკუთარი პოზიცია რბილი ფორმითაც კი გამოხატა:

ქართული მხარე თავის პოზიციას გამოხატავს, მაგრამ, მე ვიტყოდი, რბილი ფორმით: ოფიციალური თბილისის პოზიციით, აფხაზეთი ოკუპირებული ტერიტორიაა, მაგრამ საგარეო უწყების განცხადებაში საუბარია მხოლოდ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფაზე. თუ ეს ტერიტორია უკვე ოკუპირებულია, საუბარი მხოლოდ ხელყოფაზე აშკარად არასაკმარისია. თუმცა აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიად მოხსენიება საკუთარი თავის შეცდომაში შეყვანად მიმაჩნია – ოკუპირებულ ტერიტორიაზე არანაირი არჩევნები არ ტარდება, ადგილობრივი ხელისუფლება კი იქ თავად ახორციელებს მმართველობას...

## კარასინი – მთავარი დეტალი, რომელიც თბილისს გამორჩა?

ლავროვის ვიზიტის შეფასებებით დაკავებულ თბილისში ან გამორჩათ, ან დამგმობი განცხადებების სიმრავლის ფონზე საჭიროდ აღარ ჩათვალეს ყურადღების გამახვილება იმ ფაქტზე, რომ რუსეთის მთავარ დიპლომატს სოხუმში მისი პირველი მოადგილე გრიგორი კარასინიც ახლდა.

აქ ორი დეტალია აღსანიშნავი: უპირველესად, არცთუ ხშირად ხდება, უცხოეთში მიმავალ საგარეო საქმეთა მინისტრს მისი უმაღლესი რანგის მოადგილე მიჰყვებოდეს; მეორეც – სწორედ კარასინია ის პერსონა, რომელთან მოლაპარაკებების ფორმატითაც (ე.წ. კარასინ-აბაშიძის ფორმატი) დაიწყო მეტ-ნაკლები დათბობა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში და რომელიც, ამავდროულად, რუსეთის მხრიდან მთავარი მომლაპარაკებელია ჟენევის დისკუსიების ფორმატშიც.

არადა, იგივე ალექსანდრე კრილოვი თვლის, რომ თუკი სოხუმში ამ დელეგაციის ვიზიტით მოსკოვს თბილისისთვის რაიმეს ჩვენება მართლაც სურდა, ამ კუთხით არა იმდენად ლავროვის, რამდენადაც სწორედ კარასინის ჩასვლა იყო საყურადღებო:

**„ჩემი აზრით, ლავროვის ვიზიტი სოხუმში არ იყო არანაირი მესიჯი არც დასავლეთის და არც საქართველოსთვის. ახლა აფხაზეთში საკმაოდ რთული შიდაპოლიტიკური პროცესები მიმდინარეობს: სულ ახლახან დასრულდა საპარლამენტო არჩევნები, მანამდე კი დაბრუნდნენ რიგი წამყვანი პოლიტიკური ფიგურები, რომლებიც ადრე განვითარებული დრამატული მოვლენების შედეგად ძალადობრივად იყვნენ განდევნილები. მხედველობაში მყავს მესამე პრეზიდენტი ალექსანდრე ანქვაბი და სხვები. მოსკოვს ახლა აფხაზეთში დიდი პრობლემები აქვს და კიდევ უფრო მეტი არაფერში სჭირდება. მის ინტერესებში არ შედის, აფხაზეთში შიდაპოლიტიკური დაპირისპირება ისევ გამწვავდეს და ვითარება აირიოს. ჩემი აზრით, ლავროვი სოხუმში სწორედ ამ ამოცანის გადასაწყვეტად იყო ჩასული: უკვე არსებული ტენდენცია – დაპირისპირებული ჯგუფების თანამშრომლობა – უპირატესი გახდეს და გამყარდეს შეთანხმებები, რომლებიც შესაძლოა, წინ უძღოდა აფხაზურ პოლიტიკაში მძიმეწონოსანი აფხაზი პოლიტიკოსების დაბრუნებას. ეს ყველაფერი შიდააფხაზური სიუჟეტებია. აი, სოხუმში კარასინის ჩასვლა კი იმის ნიშანია, რომ რუსეთი აფხაზეთის დამოუკიდებლობის საკითხში პოზიციას არ იცვლის, მიუხედავად იმისა, რომ კარგად ესმის, საქართველო აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებაზე არ წავა“.**

## აბაშიძის 5-წლიანი ძალისხმევის კრახი

საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეცწარმომადგენელი რუსეთთან ურთიერთობების დარეგულირების საკითხებში ზურაბ აბაშიძე, რომელიც კარასინთან პრაღის შეხვედრების ფორმატში უკვე 5 წელია, ცდილობს ორმხრივი ურთიერთობების დათბობას, იმედგაცრუებას ვერ მალავს:

**„მანამდე სულ რაღაც ორიოდ თვით ადრე რუსეთი ეტაპობრივად მოქმედებდა. შემექმნა შთაბეჭდილება, და არა მარტო მე, რომ დიალოგი დაიწყო, იდგმებოდა გარკვეული ნაბიჯები. როდესაც სახეზეა თუნდაც მცირე, მაგრამ მაინც დადებითი ტენდენცია, უნდა ვიფიქროთ იმაზე, როგორ განვამტკიცოთ ეს პოზიტიური ტრენდი და არა იმაზე, რომ მუდმივად ვქმნიდეთ დამატებით სირთულეებს, ზოგიერთს – ხელოვნურად. ამის ნაცვლად ბოლო დროს რუსეთმა მსგავსი ნაბიჯების მთელი წყება განახორციელა: ჩატარდა რეფერენდუმი ცხინვალის რეგიონისთვის სახელის შესაცვლელად; დაიხურა ე.წ. საკონტროლო-გამშვები პუნქტები ენგურზე, რამაც ადგილობრივ ქართულ მოსახლეობას ცხოვრება მნიშვნელოვნად გაურთულა; გააერთიანეს რუსული და ოსური, რუსული და აფხაზური სამხედრო ქვედანაყოფები; ყოველდღე აკავებენ ხალხს ადმინისტრაციულ საზღვარზე... ეს ყველაფერი ძალზე ნეგატიურ**



**ფონს ქმნის ჩვენი ურთიერთობების გონივრულ დონეზე გაყვანის მცდელობებისთვის. ამ ყველაფერს პირიქით, ჩიხში შევყავართ. როგორც ცნობილია, ორმხრივი ურთიერთობების ყველაზე რთული საკითხები ჟენევის ფორმატში განიხილება. პრაღაში კი ჩვენ უფრო კონკრეტულ საკითხებზე ვმსჯელობთ – სავაჭრო ურთიერთობებზე, სატრანსპორტო და ზოგიერთ ჰუმანიტარულ საკითხებზე. ამ კუთხით წინ მივიწევთ, მაგრამ ის, რაზეც ზემოთ ვისაუბრე, ამ ყველაფერზეც ძალზე უარყოფითად აისახება. ბუნებრივია, ეს ფონი ძალზე მნიშვნელოვანია შეხვედრებისთვის როგორც ჟენევაში, ისე პრაღაში. რისთვის კეთდება ეს – ხანდახან გაურკვეველია. ცხადია, რომ ამის უკან პოლიტიკური არსია. მაგრამ ჩვენ ამაში კარგს ვერაფერს ვხედავთ“.**

აბაშიძე არ გამორიცხავს, რომ რუსეთის ეს ქმედებები საქართველო-ევროკავშირის დაახლოების მიმართულებით არსებულ სიახლეებს, კერძოდ, ვიზალიბერალიზაციას უკავშირდებოდეს, თუმცა არ ესმის, რა საფუძველი აქვს მოსკოვს, ამას ნეგატიურად ეკიდებოდეს:

**„დიახ, ჩვენ ვთანამშრომლობთ ევროკავშირთან, ჩვენს დასავლელ პარტნიორებთან, მაგრამ რატომ უნდა აღიქმებოდეს ეს ვინმეს მიერ მტრულ და ვინმეს წინააღმდეგ მიმართულ ნაბიჯებად? ვისთვისაა საზიანო ის, რომ ქართველებს შეუძლიათ, ევროპაში უვიზოდ იმგზავრონ, ან ის, რომ ევროკავშირის ქვეყნებთან ვაჭრობას ვავითარებთ?!“.**

**საინფორმაციო სააგენტო „აქცენტი“**

## პრეზიდენტი პლებისციტის იდეას იწონებს




საქართველოს პრეზიდენტი „ევროპული საქართველოს„ ინიციატივას – საარჩევნო საკითხებსა და პრეზიდენტის არჩევის წესზე პლებისციტის ჩატარებასთან დაკავშირებით, იწონებს და მიაჩნია, რომ პრინციპულ საკითხებზე პლებისციტის ჩატარება საინტერესო იდეაა:

**„ძალიან საინტერესო იდეაა. ზოგადად, საკონსტიტუციო ცვლილებებზე მუშაობა უნდა ეფუძნებოდეს საყოველთაო ჩართულობას. პრინციპულ საკითხებზე პლებისციტის ჩატარება ძალიან საინტერესო იდეაა“,** – განაცხადა პრეზიდენტის პრესსპიკერმა ეკა მიშველაძემ დღევანდელ ბრიფინგზე.

ექსპერტმა სამხედრო-პოლიტიკურ საკითხებში **ვახტანგ მაისაიამ** „რეპორტიორთან“ ინტერვიუში პარიზში მომხდარი ტერაქტი, თურქეთში ჩატარებული რეფერენდუმი და საქართველოსა და მსოფლიოში მიმდინარე სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები შეაფასა.

# ვახტანგ მაისაია: მსოფლიო გადარჩა...

**— გუშინ პარიზში ტერაქტი მოხდა... ბოლო პერიოდში ხშირია პარიზზე თავდასხმები. არის თუ არა რაიმე კონკრეტული ინტერესი და რატომ მაინცდამაინც პარიზი?**

— გუშინ პარიზში მოხდა საზარელი ტრაგედია, რომელზეც პასუხისმგებლობა ისლამურმა სახალიფო „დაიშმა“ აიღო. ასევე იკვეთება „დაიშის“ როლი და მისი დაფინანსება სანკტ-პეტერბურგის ტერაქტში, ძალოვანი სტრუქტურები გავიდნენ თურქეთის მიმართულებაზე, საიდანაც იყო დაფინანსება წამოსული და, რა თქმა უნდა, ეს იყო „დაიშის“ კვალი. როგორც მოსალოდნელი იყო, „დაიში“ გააქტიურდა და, სამწუხაროდ, კიდევ უფრო გაააქტიურებს თავის ქმედებას. ეს გამოწვეულია სირიასა და ერაყში განხორციელებული საომარი ოპერაციებით და შეიძლება ითქვას, რომ ეს არის მათი პასუხი მათთან მეომარი მხარის დედაქალაქებზე. პარიზი და კიდევ რამდენიმე ევროპული ქალაქი შერჩეულია იმ პრინციპით, რომ პარიზი არის ევროკავშირის მთავარი დედაქალაქი და მამოძრავებელი ძალა. ისინი ამით ცდილობენ, რომ დარტყმა მიაყენონ ევროპის შუ-




აგულს და ევროკავშირის პოლიტიკურ შემცველს. მეორე მხრივ, პარიზში ძალიან ბევრი არალეგალი ემიგრანტია, განსაკუთრებით, არაბული სახელმწიფოებიდან და საკმაოდ ძლიერი პოზიციები უკავიათ არაბებს, რომელთა შორის „ისლამურ სახელმწიფოს“ გააჩნია საკმაოდ ძლიერი პოზიციები. რატომ პარიზი, მე მგონი, გასაგებია. ასევე, „ისლამურმა სახალიფომ“ ერთგვარად შეცვალა ხელწერა და ის პირდაპირ ახორციელებს დარტყმებს ძალოვან სტრუქტურასა და სამხედრო პირებზე, ანუ იყენებს ჩეჩნეთში მოქმედი კავკასიურ-ისლამური ემირატის ტაქტიკას, რომლებიც ასევე ძირითად დარტყმებს ახორციელებდნენ რუსეთის ფედერალური ძალოვანი სტრუქტურებისა და შეიარაღებული ძალების წარმომადგენლებზე. ესეც ერთგვარი მინიშნების მატარებელია და მიმართულებასაც განსაზღვრავს. გამომდინარე იქიდან, რომ ისინი ახორციელებენ საომარ მოქმედებებს, ამით ისინი ხაზს უსვამენ, რომ ებრძვიან იმ სამხედროებს, რომლებიც თავის მხრივ, როგორც ისინი ფიქრობენ, მონაწილეობენ მათი ტერიტორიების დაბომბვისა და დაკავების ოპერაციებში.

**— თურქეთში ჩატარებულ რეფერენდუმს როგორ შეაფასებთ?**

— თურქეთში ჩატარებული რეფერენდუმი არის არაერთგვაროვანი. რეფერენდუმი, რა თქმა უნდა, იყო ლეგიტიმური. მას გარკვეულწილად სამართლებრივი შედეგი გააჩნია, მაგრამ მისი პოლიტიკური ლეგიტიმაცია დიდი არ არის. შედეგებში სხვაობა იყო დაახლოებით 2% და დღესაც, თურქეთში საკმაოდ დიდი მღელვარება და პოლიტიკური პროტესტია, მათ შორის ოპოზიციური პარტიების მხრიდანაც. ისინი ამ რეფერენდუმს უნდობლობას უცხადებენ. რეფერენდუმის ჩატარების პროცესს უნდობლობა გამოუცხადა ეუთო-ს დამკვირვებელთა მისიამ და ბევრმა სხვა საერთაშორისო ორგანიზაციამ გამოხატა პირდაპირი კრიტიკა, რაც მოულოდნელი არ უნდა იყოს.

**— რა გავლენა ექნება რეფერენდუმის შედეგებს საქართველოზე?**

— თუ რეფერენდუმის შედეგები შეტანილ იქნება დღის წესრიგში და მიიღებს კონკრეტული იმპლემენტაციის მიმართულებას, რა თქმა უნდა, ეს პირდაპირ აისახება ჩვენზეც. ნურავინ მოიტყუებს თავს, რომ მეზობელ სახელმწიფოში მიღებულ ასეთ მნიშვნელოვან პოლიტიკურ გადაწყვეტილებას არავითარი შედეგი არ ექნება, ეს არის სირაქლემას პოზაში ყოფნა, რასაც, სამწუხაროდ, საქართველო მიეჩვია. რა თქმა უნდა, გავლენა ექნება, ისევე როგორც 2004-2006 წლებში რუსეთში მომხდარი ადმინისტრაციული და პოლიტიკური მოდერნიზაციის რეფორმა აისახა ჩვენს ბედზე. თურქეთი ძირფესვიანად ცვლის თავის პოლიტიკური მართვის სისტემას. პრეზიდენტი ხდება ერთადერთი უპირობო მმართველი. მით უმეტეს, როცა მმართველ პარტიას გააჩნია კონკრეტული იდეოლოგიური პლატფორმა (რომელიც, არ მგონია, ჩვენთვის კარგის მომტანი იყოს), რაც დაახლოებით იგივეა, რაც ოსმალეთის იმპერიის მასშტაბების აღდგენა. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, მას თავისი შედეგები ექნება. ეს გამოჩნდა ერდოღანისა და მისი მომხრეების ლატენტურ პოლიტიკურ განცხადებებში აჭარასთან მიმართებაში. ამან, შესაძლოა, თავისი ასახვა პოვოს აფხაზეთის მიმართულებითაც და საქართველოს სხვა რაიონებში, სადაც გარკვეული კონფესიის წარმომადგენლები ცხოვრობენ. თუნდაც, ილდირიმის მოულოდნელი ვიზიტი ბათუმში და მისი შეხვედრა პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილთან აეროპორტში დახურულ კარს მიღმა. როდესაც სტრატეგიული პარტნიორისა და მეზობელი ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ჩამოდის და ეს არ შუქდება, ბუნებრივია, იწვევს გარკვეულ ინსინუაციებს იმასთან დაკავშირებით, რომ, როგორც ჩანს, საუბარი იყო არა ისეთი მეგობრული, როგორიც უნდოდათ, რომ წარმოეჩინათ. თან შეხვედრის ადგილი იყო აეროპორტი, მაშინ, როდესაც ბათუმში ძალიან ბევრი სასტუმრო და სახელმწიფოებრივი შენობაა. ასევე ერდოღანის მომხრეების მიერ საქართველოში გიულენის მომხრეების კვალის დადგენა და ამ მხრივ ერთგვარი პოლიტიკური ზეწოლის განხორციელება საქართველოს ხელისუფლებაზე, რაც ნიშნავს იმას, რომ თურქეთის შიდა პოლიტიკური პროცესების გადმოდინება ხორციელდება საქართველოში. სანამ რეფერენდუმი ჩატარდებოდა, ასეთ ურთიერთობამდე მივედით და რეფერენდუმის ჩატარების შემდეგ, როდესაც მთლიანად შეიცვლება პოლიტიკური არქიტექტურა და საგარეო პოლიტიკისადმი მიდგომები, შემდეგ რა იქნება, ხომ წარმოგიდგენიათ. ვიმეორებ, სირაქლემას პოზაში ყოფნა ჩვენი ქვეყნისთვის არამომგებიანია.

**— რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი რამდენიმე დღის წინათ სოხუმში იმყოფებოდა, მისი ვიზიტის ოფიციალური მიზეზი საელჩოს შენობის გახსნა იყო. თქვენი აზრით, რა შეიძლება ყოფილიყო არაოფიციალური მიზეზი?**

— სერგეი ლავროვის ვიზიტი მიმართული იყო საქართველოში ორი მესიჯის გაჟღერებისაკენ. პირველი, რუსეთმა



ლავროვის სახით პირდაპირ შემოგვითვალა, რომ ჩვენი NATO-ში ინტეგრაციისკენ სწრაფვა ხელს შეუშლის ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნების პროცესს. ეს ლავროვმა NATO-ს სამიტის ჩატარების წინ პირდაპირ თქვა, რაც სიმბოლურია. მეორე და მთავარი მესიჯი, რაც მან არც დამალა — აფხაზეთში რკინიგზის გახსნის იმპერატიული მოთხოვნა. ეს სიტყვები გაიმეორა ასევე აფხაზეთის თვითმარქვია პრეზიდენტმა ხარჯიმბამაც, რომელმაც ღიად განაცხადა, რომ აფხაზეთის რკინიგზის განხილვის გარეშე საქართველოსთან მოლაპარაკებას აზრი არ აქვს. ბუნებრივია, რუსეთი პირდაპირ არის დაინტერესებული რკინიგზის ხაზის გახსნითა და ჩრდილოეთ-სამხრეთის სარკინიგზო დერეფნის ამოქმე-



დებით. მას გაჩნია არა მხოლოდ გეოპოლიტიკური, არამედ გეოსტრატეგიული მიზნები. სხვათა შორის, საინტერესო გარემოება ის არის, რომ სერგეი ლავროვის ვიზიტს უცნაურად დაემთხვა ირანის ისლამური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის საქართველოში ვიზიტი. მანაც იმავე თემაზე გაამახვილა ყურადღება, ოღონდ სხვა სიტყვებითა და სხვა ფორმით.

სარკინიგზო კორიდორი რუსეთს სჭირდება იმის გამო, რომ კიდევ უფრო გააძლიეროს ცნობილი გეოპოლიტიკური კოალიცია, სადაც შედის რუსეთი, ირანი, ასადის რეჟიმი და ერაყი; ასე რომ, ბუნებრივია, ამას რუსეთი აღმოსავლეთის ექსპანსიის განვითარებისთვის გამოიყენებს.

ამ სარკინიგზო ხაზის არსებობის შემთხვევაში, არ არის გამორიცხული, ირანის მხარემ სურვილი გამოხატოს ევრაზიის ეკონომიკურ კავშირში გაწევრიანებაზე. სხვათაშორის, თეირანმა ამას არაერთხელ გაუსვა ხაზი. მით უმეტეს, ირანს ეკონომიკური სანქციები მოეხსნა და მისი გააქტიურება თუნდაც აზიისა და ევროპის მიმართულებით, მომგებიანი იქნება. რა თქმა უნდა, ეს ასევე დაკავშირებულია ევრაზიულ კავშირში სომხეთის კიდევ უფრო აქტიურად ჩართვის კუთხით. მოგეხსენებათ, სომხეთი ევრაზიულ-ეკონომიკური კავშირის მონაწილე ქვეყანაა, მას გააჩნია ვალდებულებები, რომლებიც უნდა შეასრულოს და, ბუნებრივია, გარკვეულწილად შეზღუდული კომუნიკაცია ხელს უშლის ასეთი ინტეგრაციული პროცესების განვითარებას. ასე რომ, ლავროვის ვიზიტი პირდაპირპროპორციული იყო სწორედ ამ პრობლემის ნათლად და მკაფიოდ დაყენების კონტექსტში.

**— ამერიკასა და ჩრდილოეთ კორეას შორის ბოლო პერიოდში საკმაოდ დაიძაბა ურთიერთობა. არის თუ არა საფრთხე, რომ სერიოზულ დაპირისპირებაში გადაიზარდოს?**

— რა თქმა უნდა, არის, მაგრამ მსოფლიო გადარჩა იმით, რომ ჩრდილოეთ კორეის ხელმძღვანელობას ბალისტიკური სტრატეგიული დანიშნულების რაკეტების გამოცდის მორიგი ტესტი ჩაეფუშა და აშშ-მა თავი არ შეიწუხა, რომ ზუსტი დარტყმები განეხორციელებინა ჩრდილოეთ კორეის იმ ობიექტებზე, სადაც აღნიშნული ბალისტიკური რაკეტა იყო განთავსებული. ამერიკას გააჩნია თავისი სტრატეგიული სასიცოცხლო ინტერესები, რომლის განხორციელებისთვის ის ყველაფერზე წავა. მათ შორის, თუნდაც ამ დარტყმების მიყენებაზე იმ არაორდინარულ ქვეყანაზე, რომელსაც კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა ეწოდება. ჩრდილოეთ კორეა არის საკმაოდ არაპროგნოზირებადი და საშიში ქვეყანა და თუ მას ბირთვულ იარაღთან ერთად გაუჩნდება მისი გადატანის საშუალება, თუ წარმატებით განახორციელებდა ამ გამოცდას, ამერიკა ყველაფერზე წავიდოდა, რომ გაენადგურებინა ეს რაკეტა. დონალდ ტრამპი არ ხუმრობდა, როდესაც მან გააგზავნა სტრატეგიული დამრტყმელი საზღვაო ჯგუფი, რათა განეხორციელებინა აღნიშნული ოპერაცია. უბრალოდ, ამ ტესტის ჩაფუშვამ მთელი მსოფლიო გადაარჩინა კორეაში განვითარებულ მცირე ომს, მათ შორის ჩვენც. თუ ჩრდილოეთ კორეა ასე გააგრძელებს და ამ მიმართულებით პროგრესს მიაღწევს, დარტყმები გარდაუვალი იქნება.

**— ამ შემთხვევაში, რამდენად შესაძლებელია, სხვა ქვეყნების ჩართულობასაც ველოდოთ?**

— ყველაზე რთული არის დაწყება, თორემ ჩათრევა გაცილებით იოლია. სხვათაშორის ჩრდილოეთ კორეის ეს ამბიციები მაინცდამაინც არ ახარებს მის მთავარ სპონსორს, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას, რომელმაც ტრამპის ხელისუფლებას გამოუცხადა ერთგვარი სოლიდარობა. მაგრამ მეორე მხრივ, საინტერესო იყო ჩინეთისა და რუსეთის სამხედრო საზღვაო ძალების ერთობლივი წვრთნა მექსიკის ყურეში, რამაც მექსიკა და ცენტრალური ამერიკის ქვეყნები შოკში ჩააგდო და ამერიკელებიც გააოცა. არ გამოვრიცხავ, რომ ამან გადააფიქრებინა აშშ-ის ადმინისტრაციას, განეხორციელებინა ჩრდილოეთ კორეის მიმართულებით დარტყმები. ჩინეთის დუალისტური ბუნება ყველასათვის ცნობილია, ჩინეთი არის აზიის საკმაოდ ძლიერი სახელმწიფო და იყენებს აზიურ დიპლომატიას. ერთი მხრივ, ჩინეთი შეცბუნებულია და მღელვარებას გამოხატავს კორეის ბირთვული ამბიციების გამო, მაგრამ, მეორე მხრივ, არ დაგვავიწყდეს, რომ ჩრდილოეთ კორეა ჩინეთის სტრატეგიული მოკავშირეა, მათ შორის სავაჭრო ურთიერთობების მოცულობა ბოლო მონაცემებით შეადგენს 18 მილიარდ დოლარს და ჩინეთის დახმარებით ჩრდილოეთ კორეამ მიაღწია იმ სიძლიერეს, რომლითაც დღეს ცდილობს თავისი სამხედრო პოტენციალის გაზრდას. აქედან გამომდინარე, დღეს, ფაქტობრივად, რაციონალური კუთხით მოხდა ამ კონფლიქტის გადაჭრა, მაგრამ ხვალ და ზეგ როგორ განვითარდება, დამოკიდებულია ჩრდილოეთ კორეის ბალისტიკური რაკეტის გამოცდის წარმატება-წარუმატებლობაზე.

ესაუბრა **მარიამ პაიჭაძე**

**გალის რაიონის ისედაც უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი მოსახლეობა ბოლო პერიოდში გაათმაგებული პრესინგის ქვეშ მოექცა. გაუსაძლისი სიდუხჭირისა და დაუცველობის, მუდმივი შიშისა და უიმედობის პირობებში მცხოვრები ადგილობრივები, რომლებიც აფხაზური დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან მორალურ და ხშირად ფიზიკურ ზემოქმედებას უკვე მიეჩვივნენ, ე.წ. პასპორტიზაციისა და მილიტარიზაციის ფონზე ახალ სირთულეებს აწყდებიან. თბილისი კი, მათი შეფასებით, დუმს და ამასთან, 45-ლარიან დახმარებას უხსნის. ამ გარემოებათა ერთობლიობის შედეგი უკვე სახეზეა: რაიონი იცლება და, როგორც ადგილობრივები ამბობენ, საქართველო აქაურ ქართველობას კარგავს.**




# გალის „გეტო“: ძალიან ნაწყენია თბილისზე ხალხი!

**გალის რაიონი დღეს ჩვეულებრივი „გეტოა“: აფხაზური ხელისუფლების დაუსჯელი ტერორი და რეკეტი, მუდმივი შიში, სრული უუფლებობა, დაუცველობა, გაჭირვება და უიმედობა... რაიონი ცარიელდება: ზოგი რუსეთში მიდის, ზოგიც, ვისაც საშუალება უვარდება ხელში – შორეულ უცხოეთში...**

**„ხაჯიმბას „კადრი“ ნადარაია, რაიონში გამგებლად 4 წლის წინათ მოგვივლინეს. ყველას სძულს, „ბაყბაყდევს“ ეძახიან. ერთადერთი მიზანი აქვს, – ისედაც გაჭირვებულ ხალხს ბოლო ლუკმა წაართვას და ყოველმხრივ გააწამოს. ყველასგან ყველაფერში წილს მოითხოვს, წინააღმდეგ შემთხვევაში, არავის ახარებს. გაზეთი რომ გაზეთია (პირველი დღიდან გამოდიოდა აქ მეგრულ-რუსულ-აფხაზური „Гал“), ისიც დახურა, 70%-იანი მოთხოვნილი წილი რომ ვერ მიიღო. ქართული სიმღერის ანსამბლიც დაშალეს და ახლა საერთოდ ყრიან იმ ხალხს აფხაზეთიდან...“, – უამბო „აქცენტს“ ენგურის ხიდთან გალის რაიონის მკვიდრმა, რომლის ვინაობას გასაგები მიზეზების გამო არ ვაკონკრეტებთ.**

„ის გადასასვლელებიც რომ დახურეს ამას წინათ, თქვენ რა გგონიათ – მარტო პოლიტიკური მიზეზები აქვს?! ეგეც ნადარაიას ბიზნესია: ავტობუსი იყიდა, ვითომ საქალაქო, სინამდვილეში სოფლებში დადის და მხოლოდ ამ ავტობუსითაა ნებადართული ენგურის გადასასვლელამდე მისვლა – სხვას ყველას, ვისაც საკუთარი სამარშრუტო ჰყავდა, აუკრძალეს. ჰოდა, თუ მანამდე ხალხი ისე გადადიოდა, ახლა იძულებულია, ამაშიც ფული ხარჯოს და ვიღაცის ავტობუსის ბიზნესი ამდიდროს. ჩვეულებრივი წურბელაა ნადარაია, უკანასკნელი სისხლის მწოველი. აქაურ ქართველებთან კი არა, აფხაზ მესაზღვრეებთანაც კი მოუვიდა თავიდან კონფლიქტი და ამბობენ, უცემიათ კიდეც. მაგრამ რად გინდა? – აქაა დღესაც, ხაჯიმბას კადრია. არავინ ეხება, რაც არ უნდა გაბედოს. ამის გამო „კაშჩეი ბესსმერტნის“-ს ეძახიან“, – ამბობს მეორე ადგილობრივი.

**რაიონში პედაგოგებს ხელფასი 3 თვეა, არ აუღიათ, თუმცა შიშით ხმას ვერ იღებენ: „ერთმა გაბედა მხოლოდ, ეკითხა, რა გველის ამ მხრივო და სასტიკი საყვედური გამოუცხადეს. ახლა დანარჩენებს ეშინიათ, სამსახური სულ არ დაკარგონ და ხმა ვერ ამოუღიათ. ამ დღეში არიან ექიმებიც“,** – ყვება გალის მესამე მკვიდრი.

იჩაგრებიან გალის რაიონის მაცხოვრებლები პენსიების მხრივაც. რუსეთის მიერ გადარიცხული თანხის წყალობით ოკუპირებულ რეგიონში ამას წინათ 500-რუბლიანი (დაახლოებით 15 ლარი) პენსია გაორმაგდა, თუმცა ახალი, 1000-რუბლიანი ყველგან დარიგდა, გალის რაიონის გარდა. ადგილობრივთა პროტესტის შემდეგ ამ საკითხს „სათანადო ყურადღება მიექცა“: გაზრდილი პენსია აფხაზეთის ამ ყველაზე დიდ რაიონში 52 ადამიანს დაენიშნა, რა კრიტერიუმებით შერჩეულს – ნადარაიამ იცის. და ვის ჯიბეებში ნაწილდება ამ გზით „დაზოგილი“ თანხები – ადგილობრივ ქართველობას შეუძლია, მხოლოდ ივარაუდოს.

**ამასთან, როგორც რაიონის მცხოვრებლები ყვებიან, აფხაზ ძალოვანებს უყვართ, მოულოდნელად სოფლებში შევარდნა, ქუჩებში თავს ესხმიან რიგით გამვლელებს „საბუთების შესამოწმებლად“ და თუ ვინმეს, გასაგები მიზეზების გამო საბუთი არ აღმოაჩნდა, შესაძლოა, სცემონ კიდეც.**

„ამით, სხვათა შორის, აქაური აფხაზებიც აღშფოთებულები არიან. ამას წინათ ერთი აფხაზი გამოესარჩლა ქართველ ბიჭს, საბუთის არქონის გამო ცემა რომ დაუწყეს – „საიდან უნდა ჰქონდეს საბუთი, თუ არ აძლევთო?!“ – უამბო „აქცენტს“ გალის რაიონის მკვიდრმა.

**ამ ყველაფერს უკანასკნელ პერიოდში დაემატა გალის მილიტარიზაცია და ენგურს გასწვრივ ზოლის „ბუფერულ ზონად“ გამოცხადებაც. რუსეთმა რაიონში 12 სამხედრო ბაზის არსებობა არასაკმარისად მიიჩნია და ახლა გალს მთლიანად სამხედრო ქალაქად აქცევს, ჩაკეტილ ტერიტორიად არა მარტო ქართველების, არამედ აფხაზებისთვისაც. შესაბამისად, გალში მოსახვედრად ადამიანს ძნელად მოსაპოვებელი „საშვის“ მიღება და ამაშიც ფულის ხარჯვა მოუწევს. ანალოგიურად – ენგურს გასწვრივ „ბუფერულ ზონაში“ მოსახვედრად. იქ ცალკე „საშვი“ და მასში თანხის გადახდაა საჭირო. ამის გამო, ადგილობრივთა აზრით, სხვა ყველა „სიკეთესთან“ ერთად, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე სამკურნალოდ გადამავალ აფხაზთა რაოდენობა მალე შესაძლოა, მნიშვნელოვნად შემცირდეს.**

თითქოს ეს ყველაფერი არ კმაროდეს – ახლა იქაური ქართველების „ბედნიერებას“ ე.წ. პასპორტიზაცია და „ბინადრობის მოწმობების“ გაცემაც დაემატა. მართალია, დე ფაქტო ხელისუფლებას რაიონის მკვიდრთა მიერ საქართველოს მოქალაქეობის ფლობის დოკუმენტურად დადასტურება გაუჭირდება, მაგრამ ეს გადაწყვეტილება რომ მათ ისედაც ურთულეს მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებს, უდავოა. **ცოტა ხნის წინათ მიღებული „კანონის“ თანახმად, გალის რაიონში მცხოვრებ „უცხო ქვეყნის“ (საქართველოს) მოქალაქეებს მხოლოდ „ბინადრობის მოწმობის“ აღება შეეძლებათ, ხოლო მათ, ვინც საქართველოს მოქალაქეობაზე უარს იტყვის და სოხუმს „აფხაზეთის მოქალაქეობის“ მინიჭების განაცხადით მიმართავს, მის გაცემას პირდებიან. აი, ასეთია არჩევანი: ან აფხაზური ე.წ. მოქალაქეობა და საქართველოსაზე უარის თქმა, ან ფარატინა ქაღალდი – „ბინადრობის მოწმობა“, რომელიც იმ ტერიტორიაზე ყოფნის გარდა, სხვა არაფრის უფლებას განიჭებს.**

„ჯერ ეს „ბინადრობის მოწმობა“ რად გინდა კაცს და უკვე ისიც ითქვა, ვინც, მაგალითად, საგზაო მოძრაობის წესებს მაინც დაარღვევს სამჯერ (ან მოეჩვენებათ, რომ დაარღვევს), ამასაც ჩამოართმევენ და აფხაზეთიდან გააძევებენ. ახლა ტყვარჩელიდან და ოჩამჩირედანაც „გაიშნიკები“ აქ გადმობარგდნენ. ყველა შემთხვევაში მოგებულები არიან: ან „ერთით მეტ ქართველს“ გააგდებენ აფხაზეთიდან, ან ფულს გამოსძალავენ და ჯიბეს გაისქელებენ. და ეს კობახია (დე ფაქტო შს მინისტრი) რომ გაიძახის, ყველა უმკაცრესადაა გაფრთხილებული და ნებისმიერ დარღვევაზე უმკაცრესად ვაგებინებთ პასუხსო, ნეტა თვითონ თუ სჯერა საკუთარი სიტყვის? თუ ვინმე ვინმეს უმკაცრესად აგებინებს რამეზე პასუხს, ეს ისევ ჩვენ ვიქნებით“, – განუცხადა „აქცენტს“ რაიონის კიდევ ერთმა მკვიდრმა.

ადგილობრივებს პრეტენზიები აქვთ დონორი საერთაშორისო ორგანიზაციებისა და საქართველოს იმ სახელმწიფო უწყებების მიმართაც, რომლებთანაც ისინი თანამშრომლობენ:

„ადრე დონორების ფული აქ შემოდიოდა, საერთაშორისო ორგანიზაციების ოფისები როცა იყო განთავსებული. ახლა ოფისები აღარ არის, შორიდან კი ისეთ პროექტებს აფინანსებენ საქართველოს სახელმწიფო უწყებების, იგივე სახალხო დამცველის ოფისის მონაწილეობით, აფხაზური მხარის ჩართულობა რომ იყოს გათვალისწინებული. აფხაზებთან გვირჩევნიაო... **სხვათა შორის, იმხელა უცხოური გრანტები აქვთ „შეჭმული“ აფხაზებს, ოჯახები რომ აჭარაში ჰყავთ! და აქ რომ ჩამოდიან, ქართველებს უკანასკნელი სიტყვებით აგინებენ და წყევლიან! ასე „გვეხმარება“ სახალხო დამცველის ოფისიც და დონორებიც!“**.

ამ ფონზე გალის რაიონის მცხოვრებლები აღშფოთებას ვერ მალავენ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების გადაწყვეტილების გამო, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთათვის თანხების გაცემის სისტემის რეფორმირების თაობაზე, რომლის შედეგად მათ ნაწილს შესაძლოა, 45-ლარიანი დახმარება მოეხსნას.

**„ამ წუთში დევნილთა მიმართულებით სხვადასხვა უწყების ბიუჯეტიდან დაახლოებით 250 მილიონი ლარი იხარჯება, ამ თანხის დიდი ნაწილი – არაეფექტურად ხმარდება ადამიანებს, რომლებსაც დახმარება არ სჭირდებათ. 2014 წელს კვლევის შედეგად გამოვლინდნენ ოჯახები, რომელთაც წელიწადში 3 მილიონი ლარი ჰქონდათ შემოსავალი და თითოეული წევრი იღებდა 45 ლარს.** მილიონერი ბევრი არ არის, მაგრამ ბევრია, ვისაც სახლიც აქვს, კარიც, შემოსავალიც... რეფორმა ითვალისწინებს იმას, რომ ეს შემოსავალი გადანაწილდეს გაჭირვებულებზე. ვინც არის სოციალურად დაუცველი და სახელმწიფოსგან ბინა ჯერ არ მიუღია, მიიღებს არა 45, არამედ 90 ლარს; ვინც სოციალურად დაუცველია, თუმცა სახელმწიფოსგან ბინა აქვს მიღებული, შეუნარჩნდება 45 ლარი, ან მიიღებს სოციალურ დახმარებას, ისევე, როგორც არადევნილი – ეს მისი არჩევანია. რეფორმით თანხები დაიზოგება და ეს მოგვცემს შანსს ბინათმშენებლობა გავაორმაგოთ – გავზარდოთ წელიწადში 4000 ბინამდე“, – ასეთია ამ საკითხთან დაკავშირებით ლტოლვილთა და განსახლების მინისტრ სოზარ სუბარის არგუმენტაცია.

თუმცა გალის რაიონის მოსახლეობა საკითხს სხვაგვარად უყურებს:

„რომელი გვნახეს აქ მილიონერი?! მოვიდნენ და გვნახონ ნებისმიერ დროს! 6 თვეში ერთხელ შეუძლია აქაურს, ენგურს გაღმა სესხი აიღოს. მერე ხალხს ბავშვებიც გადაჰყავდა, იქ ატრაქციონებზე სვამდა... ჯანდაცვაც რომ ავიღოთ, ბოლო წლებში რეფერალური ჯანდაცვის პროგრამაში აფხაზები უზიან (საქართველოს ხელისუფლებას), ჩვენ – არა: საქართველოს მოქალაქეები ხართ და საყოველთაოთი ისარგებლეთო... კი ბატონო, მაგრამ ბავშვს რომ მაღალი სიცხე აქვს, გაციებას არ ჰგავს და მიზეზი არ ვიცი, სასწრაფო ოპერაციის გარდა იმ საყოველთაოთი რომ თითქმის არაფერს გვიფინანსებენ, მე ეს სიცხიანი ბავშვი ენგურს იქით სისხლის და შარდის უფასო ანალიზისთვის გადავიყვანო, გავრისკო, ვაწვალო და იქ სხვა საჭირო კვლევებისთვის ფული საიდან მოვიტანო?! და თუ ამ 45-საც მოხსნიან, მით უმეტეს! ჯერ სანამ ამ ახალ „გადასახადებს“ დაგვიწესებდნენ ბუფერულ ზონასთან და გალთან დაკავშირებით, **ზუგდიდში გადასვლა-გადმოსვლა მინიმუმ 50 ლარი მიჯდებოდა, თბილისზე რომ აღარაფერი ვთქვა. ახლა თუ ამ 45 ლარს მოგვიხსნიან, ხალხი იქით ან რისთვის გადავა, ან როგორ?! ენგურის ხიდს იქით რომ ჩვენი მესაზღვრეები დგანან, ჩვენი პოლიციელები, იმათ ხელფასი რამდენი აქვთ? იმას კი არ ვამბობ, რომ იმათ არ უნდა ჰქონდეთ, მაგრამ იმათ სამშვიდობოს თუ 1000-ზე მეტი აქვთ, ჩვენ აქ – ამ ჯოჯოხეთში რომ კბილებით გვიჭირავს საქართველოს სახელი, ჩემმა მტერმა იცოდეს, რა ფასად, 45 ლარი დაენანათ ჩვენთვის?! ან თვითონ სუბარს რატომ არ უნდა და სხვებს მთავრობაში, თუნდაც 45 ლარი მოიკლონ? ეს 45 უკანასკნელი ფულია მათთვის, ჩვენსავით?!“,** – ამბობს ერთ-ერთი მათგანი და დასძენს, რომ ადგილობრივები თბილისში ქართველი მინისტრის სახლთან მჯდომარე აქციის გამართვას გეგმავენ.

გალის რაიონი დღეს ჩვეულებრივი „გეტოა“: აფხაზური ხელისუფლების დაუსჯელი ტერორი და რეკეტი, მუდმივი შიში, სრული უუფლებობა. დაუცველობა, გაჭირვება და უიმედობა... რაიონი ცარიელდება: ზოგი რუსეთში მიდის, ზოგიც, ვისაც საშუალება უვარდება ხელში – შორეულ უცხოეთში...

„ლენინის ქუჩა უკვე თითქმის სრულად დაცარიელდა. სხვაგანაც ბევრ სახლს აწერია „იყიდება“. ძირითადად ის ხალხია დარჩენილი, ვისი შვილებიც თბილისში სწავლობენ. აქ ცხოვრება აღარ ღირს. **ძალიან ნაწყენია თბილისზე ხალხი. ასეთ დამოკიდებულებას არ ვიმსახურებთ ჩვენ და ეს საქართველოს ხელისუფლებას ბუმერანგივით შემოუბრუნდება. კარგავს საქართველო აქაურ ქართველობას, კარგავს!“ – გულისტკივილით აღნიშნავენ აქაურები.**

**საინფორმაციო სააგენტო „აქცენტი“.**

**მასალა მომზადებულია პროექტის „ინტეგრირება ინფორმირებით“ ფარგლებში, ფრიდრიხ ნაუმანის ფონდის მხარდაჭერით**

# მთავარი კანონი თუ... ფარატინა ქაღალდი?!

# საქართველოს კონსტიტუცია ზვიადიდან ბიძინამდე

**...1995 წლის 29 აგვისტოს საქართველოს სახელმწიფოს მეთაური – პარლამენტის თავმჯდომარე ედუარდ შევარდნაძე ახალი კონსტიტუციის ხელმოწერის ცერემონიალზე უნდა გამგზავრებულიყო „მოსწავლე ახალგაზრდობის (ყოფილ „პიონერთა“, ყოფილ „ვორონცოვის“) სასახლეში.**

როდესაც მისი ავტომობილი პარლამენტის (ყოფილი „მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის“, დღეს „7-ვარსკვლავიანი“ სასტუმროს ეზოდან გამოდიოდა, იქვე გექსოგენით დატენილი მანქანა აფეთქდა. დეტონაციამ შევარდნაძის მანქანის აალება გამოიწვია. ყოფილი საქართველოს კომპარტიის ცკ-



ს პირველი მდივანი და მომავალი პრეზიდენტი აწ განსვენებულმა ვახტანგ რჩეულიშვილმა (მაშინ პარლამენტის ვიცე-სპიკერმა) გამოსტაცა ცეცხლს დაცვის ბიჭებთან ერთად.

გამოძიება ამტკიცებდა, რომ აფეთქების ორგანიზატორი იყო იმდროინდელი უშიშროების მინისტრი იგორ გიორგაძე, მისი მოადგილე თემურ ხაჩიშვილი და შეიარაღებული ფორმირება „მხედრიონის“ ლიდერშიპი. ერთ-ერთ მიზნად კონსტიტუციის ხელმოწერის ჩაშლა გამოცხადდა.

ეს კონსტიტუცია (პირობითად „1995 წლის“, ანუ „შევარდნაძის კონსტიტუცია“) დღემდე უნიკალური მოვლენაა შემუშავებისა და მიღების ტექნოლოგიით. არავის არასდროს არ უთქვამს, რომ მისი მიღება რაიმე ავტორიტარული, ძალისმიერი, თუ „აკვიატებული“ მეთოდებით მოხდა: თვეების განმავლობაში, მართლა მრავალპარტიული პარლამენტი დაწვრილებით იხილავდა ყოველ სიტყვას, ყოველ მძიმეს, თითოეულ წინადადებას... დეპუტატები ჩხუბობდნენ, ილანძღებოდნენ, ყვიროდნენ, იმუქრებოდნენ, ურთიერთგამომრიცხავ ულტიმატუმებს აყენებდნენ, ბლოკებს ქმნიდნენ, ვაჭრობდნენ, პოზიციებს იცვლიდნენ, თანხმდებოდნენ, იყრებოდნენ... მაგრამ მთლიანობაში, ეს იყო ნამდვილად დემოკრატიული, ღია, გამჭვირვალე, პლურალისტური საკონსტიტუციო პროცესი, რომელიც დასრულდა ისტორიული კომპრომისით „საპრეზიდენტო“ და „საპარლამენტო“ მოდელის მომხრეთა შორის: მრავალთვიანი დისკუსიის შემდეგ, სხდომაზე გამოვიდა ფოთელი რეფორმატორი მერი ბაკურ გულუა და პარლამენტს შესთავაზა „ამერიკული მოდელი“, – ძლიერი პრეზიდენტით და ძლიერი პარლამენტით.

* * *

ეს თავისთავად „თამამი“ ექსპერიმენტი გამოდგა, რადგან ამ მართლა უნიკალურ მოდელს ამერიკის შეერთებული შტატების გარდა არსად ნორმალურად არ უმუშავია: ყველგან (ისევ და ისევ ამერიკის გარდა) მისი დამკვიდრების მცდელობა სამოქალაქო ომებით თუ გადატრიალებებით დასრულდა. საქართველოშიც დასრულდა 2003 წლის ე.წ. „ვარდების რევოლუციით“.

მაგრამ მანამდე იყო ზვიად გამსახურდიას ხანმოკლე მმართველობა, სამტრედიაში ზვიად ძიძიგურის მოწყობილი „სსრკ სარკინიგზო ბლოკადა“, როდესაც კომუნისტების მოწინააღმდეგე ნაციონალისტები მოითხოვდნენ დეპუტატთა რაოდენობის შემცირებას 250-მდე. რასაც მიაღწიეს კიდეც.

მაშინ ქვეყანა 1990 წლის 28 ოქტომბრის ისტორიული, პირველი მრავალპარტიული არჩევნებისთვის ემზადებოდა. ვახტანგ ხმალაძე და მისი „დასი“ (ფიზიკოს-ტექნოკრატ-ინტელექტუალ-კონსტიტუციონალისტთა საკრებულო) იმ დროსაც აქტიურად მონაწილეობდა კონსტიტუციურ პროცესში. მიმდინარეობდა გააფთრებული კამათი „მაჟორიტარული“ და „პროპორციული“ საარჩევნო წესის თაობაზე. კომპრომისი მოხერხდა მათი „შეჯვარებით“: ნახევარი – მაჟორიტარული, ნახევარი – პროპორციული. მას შემდეგ დარჩა ეს სისტემა, რომელსაც, ამას წინათ, დავით ბაქრაძემ „მახინჯი“ უწოდა. აქაოდა, „ვარდების რევოლუციონერებს“ დაგვხვდაო ეს „მახინჯი სისტემა“. ოღონდ, როდესაც „ნაციონალები“ თავად იყვნენ ხელისუფლებაში, ამ „მახინჯი“ სისტემის შეცვლა აზრადაც არ მოსვლიათ, რაკი თვითონ აწყობდათ.

ზვიად გამსახურდიამ საბჭოთა კონსტიტუციაში „გარდამავალი დებულებები“ შეიტანა, თუმცა ეს მაინც „საბჭოთა კონსტიტუცია“ იყო. 1992 წლის იანვრის სამხედრო გადატრიალების შემდეგ, ე.წ. „სახელმწიფო საბჭომ“ დროებითი ძირითადი კანონი მიიღო, რომლითაც 1992 წლის 11 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე „ხალხმა“ პირდაპირი კენჭისყრით აირჩია პარლამენტის თავმჯდომარე (?!), ხოლო პარლამენტმა, შემდეგ, ედუარდ შევარდნაძეს სახელმწიფოს მეთაურის ტიტულიც დაუმატა.

იმ არჩევნებზე მოქალაქეს ერთდროულად სამი სხვადასხვა პარტიისთვის შეეძლო ხმის მიცემა! სწორედ ამიტომ და ამის ხარჯზე გამოდგა პირველი პარლამენტი მრავალპარტიული. თორემ შევარდნაძემ ხმების 94% მიიღო.

* * *

**1995 წლიდან,** ანუ ნამდვილი კონსტიტუციის მიღებიდან გრძელდებოდა დისკუსია „მინისტრთა კაბინეტის“ შემოღების შესახებ, რაც სინამდვილეში, ახალი კონსტიტუციური მოდელის ტოლფასი იქნებოდა – სრულიად სხვა სისტემური „ფილოსოფიით“. სანამ შევარდნაძე ინარჩუნებდა ძალაუფლებას, იგი ამას, რასაკვირველია, არ დაუშვებდა.

„კაბინეტი“ რეალობად იქცა მხოლოდ მისი დამხობისა და ქვეყნის სათავეში „ახალგაზრდა რეფორმატორთა“ მოსვლის შემდეგ, რომელთაც ნამდვილად არ აწყობდათ იმგვარი სისტემის შენარჩუნება, როცა, „რამე რომ ყოფილიყო“ პარლამენტის „გარეკვას“ ვერ შეძლებდნენ.

ახალგაზრდა რეფორმატორთა 2004 წლის „კონსტიტუციური ცვლილებებით“ შექმნილი სისტემა, რაოდენ კომიკურიც არ უნდა იყოს, ყველაზე მეტად სწორედ პუტინის რეჟიმს ჰგავდა. ოღონდ მხოლოდ რამდენიმე წლის განმავლობაში: უკვე 2008 წლიდან მიხეილ



სააკაშვილის ინიციატივით, იწყება მზადება ძალაუფლების საპრეზიდენტო რგოლიდან – პრემიერ-მინისტრისთვის გადასაცემად. შესაბამისი შესწორებები კიდეც შევიდა ძირითად კანონში, მაგრამ ისტორიას უყვარს ასეთი ხუმრობები: ამ „ნამზადით“ არა მიშამ, არამედ ბიძინამ ისარგებლა მას შემდეგ, რაც 2012 წელს ქვეყანაში ირმა ინაშვილის „მედიარევოლუცია“ განხორციელდა – „გლდანის ციხის ვიდეოებით“.

დღევანდელმა ხელისუფლებამ მიიღო კლასიკური საპარლამენტო მოდელი სიმბოლური პრეზიდენტით და გადამწყვეტი პარლამენტით, რომელიც აირჩევა პროპორციული წესით. ანუ, ასრულდა, როგორც იქნა, ქართული „პოლიტოკრატიის„ ოცნება: არავითარი მაჟორიტარული არჩევნები – მხოლოდ პარტიული სიები.

ოღონდაც, „რეალპოლიტიკის“ თვალსაზრისით, ამ ახალ მოდელს სიტუაციის კარდინალურად შეცვლა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეძლო, თუ ერთდროულად დაიწევდა ბარიერი 5 პროცენტიდან – 2 ან 3 პროცენტამდე, ხოლო მმართველი პარტია ვერ შეძლებდა იმ წესის გატანას, რომ „გაუნაწილებელი“ მანდატები მთლიანად მოგებულს კი არ წაეღო, არამედ პროპორციულად გადანაწილებულიყო ყველა საპარლამენტო პარტიას შორის, როგორც ეს ხდებოდა 1995 წლის კონსტიტუციით.

* * *

რაც შეეხება პრეზიდენტის არჩევის წესს, – პირდაპირი იქნება იგი თუ ირიბი, დავაკვირდეთ: ყველა აკრიტიკებს „ქართულ ოცნებას“, მაგრამ არავინ აკრიტიკებს ვახტანგ ხმალაძეს, ვინც უკვე თითქმის 30 წელია, ამ მოდელს „ავითარებს“. იმიტომ, რომ ბიძინას კრიტიკა იოლია და კომფორტული, ვახტანგ ხმალაძე კი არაანგაჟირებულია, ამიტომ არსებითი დისკუსია აუცილებლად დავა ელემენტარულ საკითხამდე: რა უფრო ბუნებრივია ამ მოდელისთვის და რა უფრო სჭირდება ქვეყანას დღეს.

ხმალაძემ ძალიან საინტერესო არგუმენტი მოიყვანა, თუ რატომ არ არის მიზანშეწონილი საპარლამენტო რესპუბლიკაში პრეზიდენტის პირდაპირი წესით არჩევა: იმიტომ, რომ როდესაც კონსტიტუციურად პრეზიდენტის უფლება-მოვალეობა მიზერია, თუმცა მას უმაღლესი საერთო-სახალხო ლეგიტიმაცია აქვს, პრეზიდენტს უჩნდება პოლიტიკური „ზეამბიცია“: ცდილობს, მომავალზე გათვლილი საკუთარი პოლიტიკური „თამაში“ წამოიწყოს, აუცილებლად უპირისპირდება ამ პროცესში მთავრობას და ვეღარ ასრულებს არბიტრის როლს. საქართველოს მაგალითი შესაძლოა, არ არის საკმარისი. მაშინ გავიხსენოთ, რომ ზუსტად იგივე ხდება პოლონეთშიც.

„გერმანული მოდელის“ არსი კი ისაა, რომ ამ მოდელში პრეზიდენტი არ არის პოლიტიკური პოტენციალის ფიგურა. აბა ბევრს თუ ახსოვს, ვინ არის ან ვინ იყო გერმანიის პრეზიდენტი? რომელიმე მათგანი ოდესმე (მანამდე ან მერე) პოლიტიკურ ცხოვრებაში თუ მონაწილეობდა? სამაგიეროდ, ბოლო სამი-ოთხი-ხუთი კანცლერის გვარს ბევრი ჩამოთვლის იოლად.

* * *

ამის საპირისპიროდ, ოპოზიცია თითქოს მართებულად აცხადებს, რომ „გერმანია ერთია, ხოლო საქართველოს რეალობა – მეორე“. გერმანიაში, სადაც რეალური მრავალპარტიულობა და პლურალიზმია, სულაც არ არის საშიში, პრეზიდენტი აპოლიტიკური იყოს, „ხმოსანთა საბჭომ“ აირჩიოს, მაგრამ საქართველოში, სადაც ერთი პარტია ფლობს ყველაფერს, ყველა დონეზე, „პრეზიდენტის საყოველთაო არჩევნები სჯობს“.

თუმცა, ამ არგუმენტის ავტორები ვერ ხსნიან, მმართველი პარტია რატომ ვერ შეძლებს „საკუთარი“ პრეზიდენტის „გაყვანას“ საყოველთაო არჩევნებზე ზუსტად ისევე, როგორც გიორგი მარგველაშვილი „აარჩევინა“ ხალხს. გათვლა, როგორც ჩანს იმაზეა, რომ საყოველთაოდ არჩეული პრეზიდენტს ისევე გაუჩნდება ამბიციები და ისევე დაუპირისპირდება მმართველ პარტიას, როგორც მარგველაშვილი დაუპირისპირდა, ხოლო „ოცნება“ მას „ველარაფერს მოუხერხებს“, როგორც ამჟამინდელ პრეზიდენტს ვერ მოუხერხა.

მაშინ ისმის კითხვა: „არაპირდაპირ“ არჩეულ პრეზიდენტს მოუხერხებს? კონსტიტიციით ხომ არ არის და ვერც იქნება გათვალისწინებული რაიმე მექანიზმი პარლამენტში არჩეული პრეზიდენტის „გამოწვევის“ გარდა იმპიჩმენტისა სისხლის სამართლის დანაშაულის გამო, მაგრამ იმპიჩმენტი საყოველთაოდ არჩეულ პრეზიდენტსაც ეხება.

ანუ, მას შემდეგ, რაც საკონსტიტუციო კომისია ოპოზიციამ დატოვა, ეს დისკუსია სრულ უაზრობაში გადაიზარდა: პოლიტიკოსებიც და „ექსპერტთა ლეგიონის“ ცენტურიონებიც ისეთ განცხადებებს აკეთებენ, რასაც კონსტიტუციონალიზ-

**ქართველი ამომრჩეველი, ტრადიციულად, ხმას ხშირად აძლევს არა იმას, ვინც რეალურად „უნდა“ ან „მოსწონს“, არამედ იმას, ვინც მისი აზრით „გავა“, რადგან ვინც მას „უნდა“ და „მოსწონს“, ხშირ შემთხვევაში, მისივე აზრით, „მაინც ვერ გავა“ და „მაინც ვერ გადალახავს ბარიერს“. ამიტომაც ამჯობინებს, ხმა მისცეს იმას, ვინც „გამსვლელია“ და არა 5%-იან ბარიერს მიღმა დარჩენისთვის „განწირულს“.**

მთან, სინამდვილეში, არავითარი კავშირი არა აქვს: თუ საპრეზიდენტო რესპუბლიკა უნდათ, თქვან, რომ ზუსტად ეს უნდათ და რომ საქართველოსთვის სჯობს ფრანგული, ამერიკული, თურქმენული ან რუსული ყაიდის, ოღონდ „საპრეზიდენტო რესპუბლიკა“, სადაც ხალხი არა მხოლოდ პირდაპირი წესით ირჩევს პრეზიდენტს, არამედ აღჭურვავს მას საპრეზიდენტო უფლებამოსილებით. თორემ იმ პირობებში, როცა პრეზიდენტი საყოველთაოდ არჩეულია, მაგრამ არანაირი რეალური უფლებამოსილება არა აქვს, მუდამ მივიღებთ დღევანდელ სიტუაციას: „საყოველთაოდ არჩეულ პრეზიდენტს“ აქვს უშველებელი ამბიცია, მაგრამ არა აქვს არანაირი ბერკეტი საკუთარ შეხედულებათა რეალიზებისთვის.

თუ საქართველო ამიერიდან საპარლამენტო რესპუბლიკაა, მაშინ, საპარლამენტო რესპუბლიკისთვის, ზოგადად, პრეზიდენტის არაპირდაპირი არჩევა ბევრად უფრო მიზანშეწონილი და თვისებრივია.

მაგრამ, ისევ და ისევ, ეს მარადიული „საქართველოს სპეციფიკა“, ანუ „ჩვენ ხომ გერმანია არა ვართ?!“.

* * *

სინამდვილეში, მთავარი, საკვანძო საკითხი არა პრეზიდენტის არჩევის წესი, არამედ მრავალპარტიულობა, ესე იგი მრავალპარტიული პარლამენტი და პოლიტიკური პლურალიზმია, რომლის მიღწევა, საქართველოს პირობებში, შესაძლებელი იყო, არის და კიდევ ძალიან დიდხანს იქნება ერთადერთი მეთოდით: საარჩევნო ბარიერის დაწევით 2 ან 3 პროცენტამდე!

საქმე ის გახლავთ, რომ ქართველი ამომრჩეველი, ტრადიციულად, ხმას ხშირად აძლევს არა იმას, ვინც რეალურად




„უნდა“ ან „მოსწონს“, არამედ იმას, ვინც მისი აზრით „გავა“, რადგან ვინც მას „უნდა“ და „მოსწონს“, ხშირ შემთხვევაში, მისივე აზრით, „მაინც ვერ გავა“ და „მაინც ვერ გადალახავს ბარიერს“. ამიტომაც ამჯობინებს, ხმა მისცეს იმას, ვინც „გამსვლელია“ და არა 5%-იან ბარიერს მიღმა დარჩენისთვის „განწირულს“.

ეს სინდრომი კიდევ უფრო გაძლიერდება მას შემდეგ, რაც ამუშავდა წესი: „გამარჯვებულ პარტიას მიაქვს ყველა გაუნაწილებელი ხმა“.

შესაბამისად, ოპოზიციას თუ პლურალისტური, მრავალპარტიული პარლამენტი, შესაბამისად ნამდვილად დემოკრატიული „საპარლამენტო რესპუბლიკა“ უნდოდა, პირველ რიგში, ბარიერის დაწევისთვის უნდა ებრძოლა 3%-მდე მაინც. შედეგად მივიღებდით მრავალპარტიულ, დაბალანსებულ პარლამენტს და ნამდვილ საპარლამენტო რესპუბლიკას, როცა „ირიბად“ არჩეული პრეზიდენტი მართლა არბიტრია და არა მმართველი პარტიის „რწმუნებული“.

თუმცა „ბარიერის დაწევის“ მოთხოვნა რაღაცნაირად „ყრუდ“ ჟღერდა და იცით რატომ? იმიტომ, რომ მსხვილ პარტიებს (არა მხოლოდ „ქართულ ოცნებას“) არ აწყობთ საარჩევნო ბარიერის „დაწევა“, რაკი ყველა მათგანს აქვს იმედი, თვითონ იქცევა მალე „მმართველ პარტიად“ და სულაც არ ეპიტნავება ძალაუფლების გაყოფა სხვა პარტიებისთვის მრავალპარტიული პარლამენტისა და „კოალიციური მინისტრთა კაბინეტის“ ფარგლებში.

შედეგად, ის, რაც მივიღეთ ამ „ახალი კონსტიტიციით“, არც „კარგად დავიწყებული ძველია“ და არც „ძნელად მოპოვებული ახალი“ — უბრალოდ, ფარატინა ქაღალდია, რომელიც ქვეყანაში თითქმის არაფერს შეცვლის, ყოველ შემთხვევაში, უკეთესობისკენ.

**ნიკა იმნაიშვილი**

## კარლო კოპალიანი:

# არჩევნები 40-45 მილიონი ჯდება, არ ჯობია, ეს თანხა ხალხს მოხმარდეს?!

**საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა კარლო კოპალიანმა „რეპორტიორთან“ საუბრისას საკონსტიტუციო კომისიის მუშაობა შეაფასა და საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტიც განიხილა. კოპალიანმა ასევე, ყურადღება გაამახვილა დიდგორის ომის თარიღის უქმე დღედ გამოცხადებაზე და აღნიშნა, რომ დიდგორის ბრძოლამ არა მარტო საქართველოს, არამედ გარკვეულწილად ევროპის მომავალიც გადაწყვიტა.**



**— საკონსტიტუციო კომისიამ პროექტზე მუშაობა დაასრულა, ზოგადად, კომისიის მუშაობის პროცესს როგორ შეაფასებთ?**

— საკონსტიტუციო კომისიამ ძალიან შემჭიდროებულ ვადებში იმუშავა. პროექტი კი ინტენსიური და ნაყოფიერი მუშაობის შედეგია. კომისიაში ყველა დაინტერესებული პოლიტიკური ძალა და არასამთავრობო ორგანიზაციაა გაწევრიანებული. მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, მაინც მოხერხდა შესაბამისი ვარიანტის შეჯერება, რომელიც საერთოსახალხო განხილვისთვის გამოვა და წარედგინება პარლამენტს.

მოგეხსენებათ, მმართველი ძალა არის საკონსტიტუციო უმრავლესობით მოსული ხელისუფლებაში და დადო ისეთი ვარიანტი, რომელიც არ ემსახურება მხოლოდ მმართველი პოლიტიკური ძალის ინტერესებს. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი და ამას უნდა გაესვას ხაზი.

მავანს შეიძლება აღნიშნულის არ სჯეროდეს. ისინი რაღაც თითიდან გამოწოვილ მიზეზებს ეძებენ, თითქოს ზოგმა ძალამ კონსტიტუცია თავის თავზე მოირგო. თქვენ გახსოვთ, 2010 წელი, როდესაც კონსტიტუციაში 26 შესწორება შეიტანეს და მაშინდელმა ხელისუფლებამ, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ მართლაც დაჭრა, დაჩეხა, გადააკეთა და ერთ კაცზე მოარგო კონსტიტუცია. მაშინ აქტიური პოლიტიკოსები და ექსპერტები აპროტესტებდნენ მართლაც გასაპროტესტებელ კონსტიტუციას, მაგრამ ახლა მიზეზი ვერ ნახეს და ალბათ გადაწყვიტეს ვინმეს წინაშე ქულები დაიწერონ და ისეთ რაღაცებს იგონებენ, რაც მართლაც სასაცილოა.

**— თვითონ საკონსტიტუციო ცვლილების პროექტზეც რომ ვისაუბროთ, უქმდება მაჟორიტარული სისტემა...**

— დიახ, ვერც ერთმა პოლიტიკურმა ძალამ ვერ გარისკა, გაეუქმებინა მაჟორიტარული სისტემა. უნდა გითხრათ, რომ ჩვენი ძალა ამაზე წავიდა. მახსოვს „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლების პირობებში ათეულობით ადამიანი შიმშილობდა პარლამენტის წინ, რათა ხელისუფლებას მაჟორიტარული სისტემა გაეუქმებინა, ალბათ გახსოვთ, რა ფორმით მოხდა მოშიმშილეების დასჯა. რა თქმა უნდა, წინა ხელისუფლებამ მაჟორიტარული სისტემა არ შეცვალა.

ჩვენ, ხელისუფლებაში რომ მოვედით, დაგვხვდა ეგ მოცემულობა. ერთადერთი 2016 წლის საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა მაჟორიტარულ-პროპორციული სისტემით და მოგეხსენებათ, საკონსტიტუციო სასამართლოზე დამოკიდებული გადაწყვეტილებიდან გამომდინარე, ჩვენ დავამსხვილეთ ოლქები და უფრო თანაბარ მდგომარეობაში ჩავაყენეთ ყველა მაჟორიტარი დეპუტატი.

არ მახსოვს, რომელიმე პოლიტიკოსს წინა ხელისუფლების დროს გაეპროტესტებინოს მაჟორიტარული სისტემის სიმახინჯე. ახლა კონსტიტუციაში იწერება, რომ საქართველოში არჩევნები მხოლოდ პროპორციული სისტემით ჩატარდება.

**— იცვლება პრეზიდენტის არჩევის წესიც, 2023 წლიდან პრეზიდენტს საარჩევნო კოლეგია აირჩევს, როგორ შეაფასებთ ამ გადაწყვეტილებას?**

— პრეზიდენტის არჩევის წესზე კაცმა რა უნდა ილაპარაკოს. საბედნიეროდ, ჩვენ, „ქართული ოცნება“ დაკავებული ვართ იმით, რომ ქვეყანას უკეთესი დემოკრატიული კონცეფცია მივცეთ და მოქალაქეებს უკეთესი ცხოვრების პირობები შევუქმნათ და არა იმით, რომ გვქონდეს მრავაფეროვანი სექსუალური ცხოვრება. ერთ შემთხვევაში, უმაღლეს ხელისუფალს მიაჩნია, რომ ქონების ხელყოფა დანაშაული არ არის, რადგან მთავარია, თავისუფალ სიტყვას არ შეექმნას საფრთხე, — ახლა მე მარგველაშვილის გამონათქვამებს გახსენებთ „რუსთავი 2“-თან დაკავშირებით.

კიდევ ერთხელ ვამბობ პრეზიდენტის არჩევის წესთან დაკავშირებით, 2023 წელზეა საუბარი. ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ სახალხო არჩევნების უკან საკმაოდ დიდი თანხებია. 40-45 მილიონი ჯდება არჩევნების ჩატარება ჩვენს ქვეყანაში და სამწუხაროდ, ჩვენ საკმაოდ ბევრი სოციალურად დაუცველი გვყავს, ასევე ქუჩაში ხელგამოწვდილი ბავშვები არიან, ამიტომ უფრო უპრიანი იქნებოდა, ეს ფული ამ ადამიანებს მოხმარებოდა.

ახლა ატეხეს ქარიშხალი, რომ თითქოს რაღაც იზღუდება, თითქოს ხალხს გამოხატვის თავისუფლებას ვართმევთ. ამას ლაპარაკობენ ხალხის სახელით და თან ის ადამიანები, რომელთაც არა აქვთ ამის უფლება, ასეთები არიან წინა ხელისუფლების და მისგან წარმოშობილი მრავალი სექტისა თუ პარტიის წარმომადგენლები. ბოკერია, სააკაშვილი და მათნაირები ჩემი ხალხის სახელით არ უნდა მელაპარაკონ, რადგან 2012 წელს მათ ხალხმა განაჩენი გამოუტანა, დამთავრდა მათი ხალხის სახელით მანიპულირების თემა. სჯობს, იმ ხალხს მოვუსმინოთ, ვინც გვეუბნებოდა სიმართლეს, ჩვენ სწორედ ამათ უნდა მოვუსმინოთ და არა იმათ, ვინც ხალხი სიბნელსა და სიცრუეში ამყოფა მთელი ათი წელი

**— პარლამენტმა პირველი მოსმენით მხარი დაუჭირა დიდგორის ომის დღის „დიდი გამარჯვების დღედ“ გამოცხადებას და უქმედ დაწესებას. თუმცა ამის შემდეგ, თურქეთის საელჩოს მოთხოვნით კანონპროექტის მსვლელობა შეჩერდა, რა შეგიძლიათ ამაზე გვითხრათ?**

— პირველი მოსმენის დროს იყო ისეთი წინადადება, რომ შეგვეჯერებინა და უფრო კარგად შეგვესწავლა აღნიშნული საკითხი, კენჭი კი ამის შემდეგ გვეყარა. არავის მოთხოვნით არ შეჩერებულა, თუმცა შემიძლია დაგიდასტუროთ ფაქტი, რომ თურქეთის ელჩმა შეშფოთება გამოთქვა და ჩვენი კეთილმეზობლური და მეგობრული ურთიერთობიდან გამომდინარე, დააფიქსირა თავისი მოსაზრება. მისი თქმით, უკეთესი იქნებოდა 12 აგვისტო არ ყოფილიყო უქმე დღე და ჩვეულებრივ აღგვენიშნა, ეს იყო და ეს. არავის მოთხოვნით ეს საკითხი არ გაჩერებულა.

მინდა, გითხრათ, რომ მე ამ კანონპროექტის ერთ-ერთი ინიციატორი ვარ და ამ საკითხთან დაკავშირებით ჩემს სუბიექტურ აზრს გეტყვით. დიდგორის ბრძოლა მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი იყო. ანალოგიური მასშტაბის ბრძოლა მხოლოდ თითზე ჩამოსათვლელია. „ძლევაი საკვირველი“ არ გახლავთ ვიწრო რეგიონალური ბრძოლა. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ დიდგორის ველზე ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი გადაწყდა. უდიდესი არმია მოდიოდა ჩვენი ქვეყნის გასანადგურებლად, ჩვენი ყოფნა-არყოფნის საკითხი დგებოდა, ისტორიული წყაროებიც ამას ადასტურებს. 50 000 კაცმა უზარმაზარი არმია დაამარცხა და ქვეყანა გადარჩა.

მეორე საკითხია აქ კიდევ, თუ კი ჩვენ დავმარცხდებოდით, არავინ იცის, საით შებრუნდებოდა ეს უზარმაზარი არმია, ევროპისაკენ თუ აზიისაკენ. არავინ იცის, როგორი კონფიგურაცია გვექნებოდა, როგორ შეიცვლებოდა თუნდაც ევროპის მომავალი. ქართული არმია, იმ შემთხვევაში, შეიძლება ითქვას რომ, ბევრი ქვეყნის მომავალს იცავდა, აი ეს არის სიმართლე!

**— თურქეთში ჩატარებულ რეფერენდუმზე რას იტყვით. საქართველოსა და თურქეთს შორის ურთიერთობაზე თუ იქონიებს ეს გავლენას?**

— ნებისმიერი რყევა მეზობელ ქვეყანაში, რა თქმა უნდა, გარკვეულ ზემოქმედებას იქონიებს ჩვენზეც. გაგახსენებთ, როდესაც რეგიონში ეკონომიკური სიტუაცია იყო დაძაბული, თითქმის ყველა ვალუტა დოლართან მიმართებით დაეცა, ამან ჩვენზეც იქონია გავლენა.

უნდა გითხრათ, რომ თურქეთში ჩატარებული რეფერენდუმი პოლიტიკური ცხოვრების შეცვლისკენ გადადგმული ძალიან სერიოზული ნაბიჯია. ესაა უზარმაზარი ქვეყანა უდიდესი სამხედრო პოტენციალით, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ თურქეთი NATO-ს წევრია. ქვეყანა დემოკრატიის გზით წავიდა და პრეზიდენტმა განუსაზღვრელი ძალაუფლება მოიპოვა. ეს ალბათ, პირველ რიგში, თვითონ თურქეთის განვითარებაზე იქონიებს გავლენას.

თავისებური გავლენა ექნება მეზობელ ქვეყნებზეც და მე ვისურვებდი, რომ ამ რეფერენდუმის შემდეგაც ჩვენი ურთიერთობა გაგრძელდეს ისე, როგორც აქამდე იყო.

ესაუბრა
**სალომე ურთაშვილი**





# ეს ხალხი არასოდეს ავიწყდებათ!

**ქვეყნის ძლიერებისა და განვითარების ერთ-ერთი მაჩვენებელია ისიც, თუ როგორ ზრუნავს მთავრობა ვეტერან მშრომელებზე, პენსიონერებსა და სხვა დამსახურებულ ხალხზე. ამის ნათელი მაგალითია ის თანადგომა, რომელსაც ვეტერან ენერგეტიკოსთა მიმართ იჩენს ენერგეტიკის სამინისტრო, მისი აპარატი და პირადად ენერგეტიკის მინისტრი, ბატონი კახი კალაძე.**

დღეს, როდესაც ჩვენი ქვეყანა იბრძვის განვითარებადი ქვეყნების რიგიდან გადავიდეს განვითარებულ, მოწინავე ქვეყნების რიგში, ბევრ ჩვენს თანამემამულეს, რომლებსაც ცხოვრებისეული პრობლემები აწუხებთ, გამოუჩნდებიან ზუბალაშვილებისა და სარაჯიშვილების მსგავსი ქველმოქმედები და შეძლებისდაგვარად უმსუბუქებენ მათ ცხოვრებას.

ენერგეტიკოსები ვახსენეთ და ჩვენი გაზეთის მკითხველებისთვის კარგადაა ნაცნობი, თუ როგორი თანადგომა და ყურადღება აქვთ სამინისტროს მხრიდან ვეტერან ენერგეტიკოსებს. ბატონი **რევი მშვიდობაძე**, ენერგეტიკის ვეტერანთა კავშირის საპატიო თავმჯდომარე, დამსახურებული ენერგეტიკოსი, რომელიც ათწლეულების მანძილზე სათავეში ედგა ამ კავშირს და ყველა პრობლემა მისთვის კარგად ნაცნობია, ყოველთვის მადლიერი სიტყვებით მოიხსენიებს ქველმოქმედებს, რომლებიც მის თანამშრომლებსა და კოლეგებს ღირსეულად აფასებენ.

საქართველოს ენერგეტიკის ვეტერანთა კავშირი 2000 წელს დაარსდა და დღიდან დაარსებისა, ვეტერანი ენერგეტიკოსები გრძნობენ იმ დახმარებასა და გვერდში დგომას, რაც სამინისტროს მხრიდან აქვთ.

**„ვეტერანი“ ძველი რომიდან მოდის და „ძველ მეომარს“ ნიშნავს, სწორედაც რომ ძველი მეომრები ვართ,** — გვწერს სამადლობელო წერილში ბატონი რევი, — **ხელისუფლებას, სამინისტროს დიდ პატივში ვყავართ ვეტერანი, იუბილარი, ომის მონაწილე ენერგეტიკოსები, ჩვენი სახელოვანი ქალბატონები. სწორედ ამ თანადგომისათვის მსურს დიდი მადლობა გადავუხადო ბატონ კახი კალაძეს, ბატონებს ილია ელოშვილს, ირაკლი ხმალაძეს, ქალბატონებს მარიამ ვალიშვილს, ნათია ჭელიძეს და ენერგეტიკის სამინისტროს აპარატის ყველა თანამშრომელს. გვერდში გვიდგანან ენერგეტიკის აკადემია — ბატონი რევაზ არველაძე; „თელასი — ბატონი სერგეი კობცევი; „ელექტროსისტემა“ — ბატონი სულხან ზუმბურიძე და ენერგეტიკის სხვადასხვა კოლექტივები და მათი ხელმძღვანელები. ამ სიტყვებით ძნელია იმ სიხარულის გადმოცემა, რომელსაც განიცდიან ჩვენი ვეტერანები“.**

ვეთანხმები ბატონ რევი მშვიდობაძეს, რადგან რამდენჯერმე თავად ვარ მონაწილე იმ ღირსშესანიშნავი ღონისძიებებისა, რომელსაც ენერგეტიკის ვეტერანებს თბილ დახვედრას უწყობდნენ ზემოთ ჩამოთვლილი ქველმოქმედნი. კარგი იქნება, სხვა დარგის მუშაკებიც თუ ამგვარ ყურადღებას გამოიჩენენ თავიანთი ვეტერანების მიმართ.

**მამუკა ვაშაკიძე.**

**სურათზე: ენერგეტიკის მინისტრი კახი კალაძე საჩუქარს გადასცემს იუბილარ ვეტერან ენერგეტიკოსს, ქალბატონ გალინა კოჭლამაზაშვილს; ბატონი ირაკლი ხმალაძე 100 წლის იუბილარ ვეტერან ენერგეტიკოსთან, ქალბატონ ნინო ჩიქოვანთან.**



# ღვთაებრივი ცეცხლი

**15 აპრილს, შაბათს, აღდგომის ბრწყინვალე აღდგომის წინა დღეს, იერუსალიმის მაცხოვრის საფლავის საყდრის კუვუკლიაში ღვთიური ცეცხლი კიდევ ერთხელ გარდამოვიდა მართლმადიდებელი პატრიარქის სანთელზე, თუმცა კი მანამდე მეტად არასასიამოვნო ათასნაირი ჭორი და მითქმა-მოთქმა ვრცელდებოდა.**

**ამის მიზეზი კი ის იყო, რომ შარშან კუვუკლიის მასშტაბური რესტავრაცია დაიწყო და, გავრცელებული ინფორმაციით, ზოგიერთი მიწვეული სპეციალისტი ამ დროს იქ საკმაოდ უხეშად მოქმედებდა. ამიტომაც აგორდა ჭორი, თითქოს საქრისტიანოს ეს უწმინდესი ადგილი შეურაცხყოფილია და კუვუკლიას დანგრევა ემუქრება.**

**ეს მოარული ხმები, საბედნიეროდ, ცრუ განგაში გამოდგა და ღვთაებრივი ცეცხლი მაცხოვრის საფლავის საყდარში წელსაც გარდამოვიდა.**

იერუსალიმის მაცხოვრის საფლავის საყდარში „წმინდა ნათელის“ გარდამოსვლის შესახებ პირველი წერილობითი ცნობა **(ღვთიურ ცეცხლს მაშინ ასე უწოდებდნენ — დ.ხ.),** მე-9 საუკუნეს მიეკუთვნება. იგი კუვუკლიაში — პატარა საყდარში გარდამოდის, რომელიც იესო ქრისტეს დაკრძალვისა და შემდგომ სასწაულებრივი აღდგომის ადგილზეა აგებული. თანაც, იგი მხოლოდ მართლმადიდებელ იერარქზე გარდამოდის და პირველ წუთებში არ წვავს, ამიტომაც იქ მყოფი მორწმუნენი ცეცხლით ხშირად პირისახესაც განიბანენ.



მსოფლიოში მრავლადაა სკეპტიკოსი, რომელიც იმის დამტკიცებას ცდილობს, რომ ღვთისმსახურს შიგნით ან ასანთი, ან სანთებელა, ან კვესი, ან რაღაც სხვა ცეცხლის გასაჩენი მოწყობილობა თუ ნივთი შეაქვს, სხვანაირად ცეცხლის გაჩენა შეუძლებელიაო. სხვები კი სასწაულის მეცნიერული ახსნის პოვნას ცდილობენ. მათ შორის **ერთ-ერთმა ამ ღვთიური ცეცხლოვანი გარსის ტემპერატურა გაზომა და აღმოჩნდა, რომ ის ცელსიუსის 40 გრადუსს არ აღემატება. ამდენად ის, არსებითად, არა ცეცხლი, არამედ ცივი პლაზმაა,** რომლის მიღება, სხვათა შორის, სათანადო ლაბორატორიული პირობების გარეშე თანამედროვე მეცნიერებს არ შეუძლიათ.

ვნების კვირის დიდ შაბათს ღვთაებრივი ცეცხლის გარდამოსვლის ცერემონიის დროს ერთ-ერთმა ფიზიკოსმა საყდარში ჩუმად ოსცილოგრაფი შეიტანა და **სასწაულამდე რამდენიმე წუთით ადრე ხელსაწყომ, რომელიც ელექტრომაგნიტური გამოსხივების სპექტრს აფიქსირებს, ერთეული მუხტი აღრიცხა**. კიდევ ერთი უაღრესად საგულისხმო გარემოება ისაა, რომ უცნაური გრძელტალღიანი იმპულსი მეტი აღარ განმეორებულა, ამდენად, იმ ერთეული მუხტის მიზეზის დადგენა ვერ მოხერხდა.

ამასთან დაკავშირებით მეცნიერები აცხადებენ, რომ **ასეთი მუხტები ტექტონიკური ფილების რღვევების ადგილებში წარმოიშვება ხოლმე**. სხვათა შორის, აღსანიშნავია ისიც, რომ მაცხოვრის საფლავის ტაძარი სწორედ ერთ-ერთ ასეთ რღვევაზეა გაშენებული.

ამის გარდა, ქიმიკოსები ასანთისა თუ კვესის გარეშე ცეცხლის გაჩენის რამდენიმე ხერხსაც აღწერენ, რომელთა გამოყენებით სავსებით რეალური ალი ჩნდება, მაგრამ აქ ერთი უაღრესად საგულისხმო გარემოებაა გასათვალისწინებელი: **მაშ ის როგორღა ხდება, რომ ჩვეულებრივი ცეცხლი შემდეგ გარკვეული ხნის მანძილზე არც მომლოცველებს წვავს, არც თმას და არც სამოსელს არ ეკიდება?**

თანაც, ცნობილია შემთხვევა, რომ ერთხელ ღვთიური ცეცხლი გარდამოვიდა არა კუვუკლიაში, არამედ პირდაპირ ტაძრის შესასვლელი კარიბჭის ქვის ბოძზე და იმ ადგილზე ბზარი დღესაც არის. მაშინ, როგორც ამბობენ, ცეცხლის გარდამოსვლის ჩვეული წესი დაირღვა — ზედმეტად მოწადინებულმა რამდენიმე ღვთისმსახურმა არაბი ჭაბუკები განდევნა, რომლებიც ცეკვით, ყიჟინითა და დოლის ცემით ღვთიური ცეცხლის შეგებებას აპირებდნენ.

ამიტომაცაა, რომ ღვთიური ცეცხლი ყველასათვის ერთია და ყოველ წელს აღდგომის წინა დღეს მისი გარდამოსვლა იმის იმედს გვაძლევს, რომ კაცობრიობა კიდევ 365 დღეს მაინც იარსებებს.

**დალი ხუნდაძე**

# მალე გვექნება ქართველი შინდლერების სახელობის პარკი

**თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი „ისრაელის სახლში“ ქართველი შინდლერების სახელობის პარკის პროექტის პრეზენტაციას დაესწრო.**

ღონისძიება, რომელიც ჰოლოკოსტის მსხვერპლთა ხსოვნის დღეს მიეძღვნა, წელს 24-25 აპრილს აღინიშნა.



**ქართველი შინდლერების სახელობის პარკი თბილისში „ისრაელის სახლის“ ინიციატივით, თბილისის საკრებულოს, დედაქალაქის მერიისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით, სავარაუდოდ, გმირთა მოედნის მიმდებარედ მოეწყობა.**

პროექტის მიხედვით, დაიდგმება იერუსალიმის ორი ქვა, რომელთაგან ერთზე ისრაელის „იად ვა-შემის“ მემორიალური მუზეუმის მიერ ოფიციალურად აღიარებული სერგი მეტრეველის, ხოლო მეორეზე სხვა ქართველი შინდლერების — გრიგოლ ფერაძის, მიხეილ კედიასა და საბა კლდიაშვილის გვარ-სახელები ამოიტვიფრება.

**ქართველი შინდლერების პარკი ებრაული კულტურული მემკვიდრეობის მარშრუტში შევა, რომელსაც წელს ზაფხულიდან, ევროსაბჭოს ეგიდით „ისრაელის სახლი“ განახორციელებს.**

ღონისძიებას საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი მიხეილ გიორგაძე, საერთაშორისო ორგანიზაციის „ევროპული ალიანსი ისრაელისთვის“ ხელმძღვანელობა, დედაქალაქის მერიისა და ორგანიზაცია „ჯოინთის “ წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

# საქველმოქმედო ფონდი „ნატვრის ხე“ მსოფლიო ვარსკვლავების მონაწილეობით

**1 მაისს 21:00 საათზე საქართველოს სახელმწიფო ოპერის თეატრში, საქველმოქმედო ფონდი „ნატვრის ხე“ და კომპანია „სოკარი“ საზოგადოებრივ მაუწყებელთან ერთად, მსოფლიო ვარსკვლავების მონაწილეობით რიგით მე-7 კონცერტს წარმოგიდგენთ.**

**ფონდის საპატიო სტუმრები ამჯერად იქნებიან მსოფლიო ვარსკვლავები: თანამედროვეობის უდიდესი დირიჟორი, კომპოზიტორი და პიანისტი ეციო ბოსსო, სოპრანო კარმენ ჯანატაზიო, პიანისტი ოლივერ პული, ფონდის დამფუძნებელი მსოფლიოში აღიარებული ქართველი ვარსკვლავი ნინო სურგულაძე. ოპერის სიმფონიურ ორკესტრს უდირიჟორებს მაესტრო ეციო ბოსსო, მუსიკოსი, რომელიც 2016 წელს იტალიაში ასი ათასზე მეტი გაყიდული ბილეთით ყველაზე აქტიურ და წარმატებულ შემსრულებლად აღიარეს. ლონდონში მისი ერთ-ერთი კონცერტი წლის უდიდეს მოვლენად ერთხმად აღიარა პრესამ და კრიტიკამ.**

2011 წელს ეციოს დაუდგინდა უკურნებელი სენი, გვერდითი ამიოტროფული სკლეროზი, რომელიც ფატალური შედეგით სრულდება. მიუხედავად ამისა, ეციო არ ჩერდება და კიდევ უფრო მეტი ენთუზიაზმით წერს, ქმნის და გასცემს უამრავ პოზიტიურ ენერგიას და სიყვარულს; კარმენ ჯანატაზიო იტალიელი, კერძოდ ნეაპოლიტანელი, მსოფლიოში აღიარებული სოპრანო. იგი დღეს საოპერო სამყაროში ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი მომღერალია. „დეილი ტელეგრაფმა“ კარმენი თავისი თაობის ერთ-ერთ ყველაზე ნიჭიერ სოპრანოდ დაასახელა.

**კარმენი ახლახან წარსდგა რომის პაპის წინაშე ვატიკანის „ნერვის“ დარბაზში, სპეციალურ კონცერტზე, რომელიც გადაიცემოდა ტელეკომპანია „რაის“ მიერ მთელ მსოფლიოში. მისი საოპერო მიღწევებისთვის წელს კარმენი დაჯილდოვდა იტალიის პრეზიდენტისგან იტალიის „ვარსკვლავის კავალერის“ წოდებით.**

**ბრიტანელი პიანისტი და ვირტუოზი, ფონდის მეგობარი ოლივერ პული საქართველოში უკვე კარგად ცნობილი და საყვარელი შემსრულებელია, მან „ნატვრის ხის“ თითქმის ყველა ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა ბავშვების დასახმარებლად.**



## ასწლოვანი ხეების გადატანის საკითხზე შემოწმება დაწყებულია!

**აჭარიდან და გურიიდან ასწლოვანი ხეების გადატანის პროცესთან დაკავშირებით, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ საკითხზე შემოწმების პროცესი დაიწყო,** — ამის შესახებ მინისტრმა გიგლა აგულაშვილმა განაცხადა.

საუბარია აჭარიდან და გურიიდან ასწლოვანი ხეების ბიძინა ივანიშვილის დენდროლოგიურ პარკში გადატანაზე. მინისტრის თქმით, შემოწმების პროცესი უწყების მიერ რამდენიმე დღეა, დაწყებულია. გიგლა აგულაშვილის თქმით, ამ საკითხთან დაკავშირებით უფრო ვრცლად კომიტეტის სხდომაზე ისაუბრებს.

## ელისო კილაძე პროკურატურაში

„ქრონიკა+“-ის რედაქტორი ელისო კილაძე დაკითხვაზე იყო დაბარებული. კილაძე აცხადებს, რომ



მასზე სატელეფონო მუქარები ხორციელდებოდა. კილაძე მასზე მუქარას სოსო გოგაშვილის სახელთან აკავშირებს.

**„25 მარტს ადგილი ჰქონდა სატელეფონო მუქარებს, მემუქრებოდნენ სიცოცხლის მოსპობით და მეუბნებოდნენ, რომ არ მეხსენებინა იოსებ გოგაშვილი, დღეს ვიმყოფებოდი გამოკითხვაზე, გამოძიებას გადავეცი მტკიცებულებები და იმედი მაქვს, რომ მოხდება მათი იდენტიფიკაცია და გაარკვევენ, რატომ მემუქრებდონენ“,** — განაცხადა კილაძემ.

## ყაზახეთი საავიაციო უშიშროების სფეროში საქართველოს გამოცდილებას იზიარებს

**საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო ყაზახეთის სამოქალაქო ავიაციის საავიაციო უშიშროების უზრუნველყოფაზე და ზედამხედველობაზე უფლებამოსილ ორგანოებს მასპინძლობს.**

ვიზიტის მიზანს საავიაციო უშიშროების ზედამხედველობის კუთხით საქართველოს გამოცდილების გაზიარება და არსებული პრაქტიკის ადგილზე გაცნობა წარმოადგენს. პირველი შეხვედრა მხარეებს 24 აპრილს გაიმართა. სააგენტოში სტუმრად მყოფ დელეგაციაში ყაზახეთის სამოქალაქო ავიაციის კომიტეტის, ავიაკომპანია „Air Astana“-ს, ასტანისა და აქტაუს საერთაშორისო აეროპორტების საავიაციო უშიშროებაზე პასუხისმგებელი პირველი პირები შედიან.

ოთხდღიანი სამუშაო ვიზიტის ფარგლებში ყაზახური მხარე გაეცნობა სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ გაწეულ საქმიანობას როგორც Air Astana-ს სტანდარტებთან შესაბამისი საავიაციო უშიშროების მარეგულირებელი კანონმდებლობის შემუშავების, ისე აღნიშნული ნორმატიული აქტებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებაზე ზედამხედველობის კუთხით. ვიზიტის დასასრულს ყაზახეთის საავიაციო უშიშროების უზრუნველყოფაზე და ზედამხედველობაზე უფლებამოსილი ორგანოების წარმომადგენლები გაეცნობიან თბილისის საერთაშორისო აეროპორტის საავიაციო უშიშროების უზრუნველყოფის ზომებს და შესაბამის ინფრასტრუქტურას.



## რიკოთის უღელტეხილის ახალი გზის პროექტირება

**რიკოთის უღელტეხილზე, ხევი-უბისა-შორაპანი-არგვეთის მონაკვეთის 42 კმ სიგრძის 4-ზოლიანი გზის მშენებლობის პროექტირება იწყება, რომელიც 90-მდე ხიდსა და 40-მდე გვირაბის მშენებლობას გულისხმობს.**

ამ დროისათვის 11 კმ-იან მონაკვეთზე (ჩუმათელეთი-ხევი) საპროექტო სამუშაოები უკვე დაწყებულია.

აღნიშნულ მონაკვეთზე ავტობანის სამშენებლო სამუშაოები უკვე მომავალი წლიდან დაიწყება. ინფრასტრუქტურის სამინისტრომ ვიდეოგრაფიკა გამოაქვეყნა, სადაც ჩანს, თუ სად გაივლის პროექტით განსაზღვრული გზა. მთავრობის ინფორმაციით, პროექტის განხორციელება რამდენიმე ასეული მილიონი დოლარი დაჯდება.

## თბილისში ყავის საწარმო გაიხსნა

**24 აპრილს, 11.45 საათზე, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი გიორგი გახარია, მინისტრის მოადგილე გიორგი ჩერქეზიშვილი და სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ ხელმძღვანელი მარიანა მორგოშია პროგრამა „აწარმოე საქართველოს“ ფარგლებში გახსნილ ყავის ახალ საწარმოს ესტუმრებიან და მის საქმიანობას ადგილზე გაეცნობიან (მის. თბილისი, აგრარული უნივერსიტეტის მიმდებარე ტერიტორია, მუხათგვერდის ქუჩა).**

შპს „ბბ კომპანი“-მ პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფინანსური და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერის კომპონენტებით ისარგებლა (სესხის მოცულობა — USD 1.000.000; სააგენტოს თანადაფინანსება — USD 198.000) და თბილისში ყავის საწარმო შექმნა, სადაც დაფქული დაფასოებული ყავა „მონდო“ იწარმოება. ინვესტიციის ჯამური მოცულობა 4.320.000 ლარს შეადგენს, ახალ საწარმოში 15 ადამიანი დასაქმდება.

## გაზაფხულის ქუჩაზე კაპიტალური შეკეთების სამუშაოები მიმდინარეობს

**საბურთალოს რაიონში გაზაფხულის ქუჩაზე გზის კაპიტალური შეკეთების სამუშაოები მიმდინარეობს. სამუშაოებს ადგილზე თბილისის მერის მოადგილე გიგა ნიკოლეიშვილი და საბურთალოს რაიონის გამგებელი ბექა მიქაუტაძე გაეცნენ.**



გაზაფხულის ქუჩაზე 5000 კვადრატულ მეტრზე დაიგება ასფალტის ახალი საფარი და მოეწყობა ბორდიურები. გარდა ამისა, აღნიშნულ მისამართზე კაპიტალურად შეკეთდება 5 საცხოვრებელი კორპუსის შიდა ეზოც. ეზოებში, 2100 მეტრზე დაიგება ასფალტის ახალი საფარი. გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებს გამგეობის დაკვეთით კომპანია „ჯეუ გრუპი“ ახორციელებს.

## თბილისში „კარფურის“ რიგით მეხუთე სუპერმარკეტი გაიხსნა

**1,600 კვ.მ-ზე განთავსებული ახალი სუპერმარკეტი მომხმარებელს მაღალი ხარისხის საკვები პროდუქციისა და საყოფაცხოვრებო საქონლის 14 ათასამდე სახეობას სთავაზობს. მათ შორისაა სურსათის და ჯანსაღი კვების ფართო არჩევანი, სამზარეულოს აქსესუარები, საკანცელარიო ნივთები, ბავშვის მოვლის, ჯანმრთელობისა და პირადი ჰიგიენის საშუალებები, წვრილი საყოფაცხოვრებო ტექნიკა, ტექსტილი, კარფურის მიერ წარმოებული 1000-მდე სახეობის პროდუქტი და მრავალი სხვა.**

ახალი სუპერმარკეტი, რომელშიც 150-მდე ადამიანი დასაქმდა, ცინცაძის ქუჩის 312-ში მდებარეობს და ის მომხმარებლებს ყოველდღე, დილის 9:30-დან 10:00 სთ-მდე მოემსახურება.

„კარფური“ ქართულ ბაზარზე პირველად 2012 წელს გამოჩნდა პირველი ჰიპერმარკეტით თბილისი მოლში, ხოლო დღეისათვის თბილისში უკვე კარფურის 2 ჰიპერმარკეტი და 5 სუპერმარკეტია წარმოდგენილი. კომპანია ქსელის გაფართოებას საქართველოს რეგიონებშიც გეგმავს.

## ახალი ტურისტული მარშრუტები სამეგრელო-ზემო-სვანეთში

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მხარდაჭერით, USAID-ის პროექტ Zrda-ს ფარგლებში ახალი ტურისტული მარშრუტების შესასწავლად



სამეგრელოში ინფოტური მოეწყო. 16 ტურისტული კომპანიის წარმომადგენელმა კაღუს ჩანჩქერი, პალიასტომის ტბა, მარტვილისა და შურუბუმუს კანიონები მოინახულა. ტუროპერატორებმა სალხინოში დადიანების სასახლე დაათვალიერეს, ასევე ეწვივნენ ოცინდალის მამათა მონასტერს. ინფოტურის შემდეგ ტურისტულიკომპანიები ახალ ტურისტულ მარშრუტებს შექმნიან და ახალ პაკეტს, როგორც შიდა, ასევე უცხოელ მოგზაურებს შესთავაზებენ. ტურის მონაწილეებს კოლხეთის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელი გიორგი ჩოგოვაძე შეხვდა. საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ტურიზმის განვითარების მიზნით ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია აქტიურად თანამშრომლობს USAID-ის პროექტ Zrda-სთან, საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენლებთან ერთად. თანამშრომლობის მიზანია აგრო, ეკო, სათავგადასავლო და კულტურული ტურიზმის პოპულარიზაცია.

## მცხეთაში სამუშაო შეხვედრა გაიმართა

**ქალაქ მცხეთაში მცხეთა-მთიანეთის სამხარეო ადმინისტრაციის ინიციატივით საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების, სოფლის მეურნეობის, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის სამინისტროებისა და ასოცირების შეთანხმების განხორციელების მხარდამჭერი პროექტის წარმომადგენლების ორგანიზებით რეგიონალური სამუშაო შეხვედრა შედგა.**

ღონისძიების მიზანს, ევროპასთან ასოცირებისა და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების განხორციელების ფორმატში, მთავრობასა და კერძო სექტორს შორის დიალოგი წარმოადგენდა. შეხვედრას ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე გენადი არველაძე უძღვებოდა.

ღონისძიების დასკვნით ნაწილში, გენადი არველაძემ და ევროკავშირის წარმომადგენლებმა ბიზნესსექტორის შეკითხვებს უპასუხეს. რეგიონალური სამუშაო შეხვედრები სისტემატურ ხასიათს მიიღებს და ეტაპობრივად, ქვეყნის მასშტაბით, თითოეულ რეგიონს მოიცავს.

## „გაიცანი ალგეთის ეროვნული პარკი“!

**თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, წიგნის დღესთან დაკავშირებით, პრეზენტაცია „გაიცანი ალგეთის ეროვნული პარკი“ გაიმართა. წიგნი „დაცული ტერიტორიების მხარდაჭერის პროგრამა კავკასიაში — საქართველო“ პროექტის ფარგლებში მომზადდა, რომელიც დაფინანსებულია გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროსა და გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ.**

დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილემ გიორგი ჩხეიძემ ალგეთის საჯარო სკოლის 8 მოსწავლეს, რომლებიც წიგნის შექმნაში მონაწილეობდნენ, მადლობის სიგელებით დააჯილდოვა. ასევე, გაიმართა ვიქტორინა დაცული ტერიტორიების შესახებ და ზაალ სულაკაურის ნახატების გამოფენა. წიგნის დღე ოფიციალურად იუნესკოს სესიაზე 1995 წლის 23 აპრილს დამტკიცდა და დღეს მსოფლიო მასშტაბით 80 ქვეყანაში აღინიშნება.



# საქართველოს ინტერესები ამერიკა-რუსეთის დაპირისპირების ფონზე

**ნატოს, აშშ-ისა და რუსეთის ბოლოდროინდელი დაძაბული ურთიერთობების ფონზე, რაც სირიაში განვითარებულ მოვლენებს მოჰყვა, ყურადღებას იპყრობს 12 აპრილს გამართული შეხვედრები: თეთრ სახლში აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ნატოს გენერალურ მდივანს უმასპინძლა, ხოლო მოსკოვში აშშ-ის სახელმწიფო მდივანი რექს ტილერსონი შეხვდა რუსეთის პრეზიდენტს ვლადიმირ პუტინსა და საგარეო უწყების ხელმძღვანელს სერგეი ლავროვს.** მხარეები არ მალავენ, რომ ვაშინგტონსა და მოსკოვს შორის ურთიერთობა მეტისმეტად დაძაბულია. სამაგიეროდ, ახლო წარსულში გაჩენილი ეჭვების საპირისპიროდ, უფრო მტკიცედ და იმედისმომცემად აღიქმება ნატოსა და შეერთებული შტატების სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივები. როგორ გამოიყურება ეს პროცესები საქართველოს ინტერესების ჭრილში?

12 აპრილს ნატოს გენერალურ მდივანთან ერთად თეთრ სახლში გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე დონალდ ტრამპმა, მართალია, „ძალიან წარმატებული“ უწოდა სახელმწიფო მდივნის რექს ტილერსონის მიერ მოსკოვში გამართულ შეხვედრებს, აღნიშნა, რომ ეს ხელს უწყობს აშშ-ისა და მისი მოკავშირეების „უსაფრთხოების ინტერესებს“ და გამოთქვა იმედი, რომ მისი ქვეყანა და ნატო შეძლებენ დაარეგულირონ ურთიერთობები რუსეთთან, მაგრამ ითქვა ისიც, რომ რუსეთთან ურთიერთობები „ამჟამად, შესაძლოა, ყველაზე უფრო უარესი იყოს, ვიდრე ოდესმე“. არ ვიცით, ურთიერთობების დათბობის მცდელობიდან რა გამოვაო, აღნიშნა დონალდ ტრამპმა და იქვე თითქოს ერთმანეთს შეადარა რუსეთისა და შეერთებული შტატების ძალები. მან თქვა:

**„პუტინი რუსეთის ლიდერია. რუსეთი ძლიერი სახელმწიფოა. ჩვენ (ამერიკა) ვართ ძალიან ძლიერი სახელმწიფო“.**

ამასთან, დონალდ ტრამპმა გაახმაურა მტკიცე მესიჯი, რომ შეერთებული შტატები უკან არ დაიხევს სირიის საკითხთან მიმართებით, რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსი ძალიან ძლიერია და რომ შეერთებული შტატები ნატოელ პარტნიორებთან ერთად იმოქმედებს:

**„მომავალ თვეებსა და წლებში მე მჭიდროდ ვიმუშავებ ყველა ჩვენს ნატოელ მოკავშირესთან, რათა გაძლიერდეს ჩვენი პარტნიორობა და მოვემზადოთ სამომავლო გამოწვევებისთვის, რომლებიც მრავლად იქნება. მათ შორის, უნდა განახლდეს ხედვა უსაფრთხოების კუთხით დღეს არსებული აქტუალური გამოწვევების მისამართით, მიგრაციისა და ტერორიზმის ჩათვლით. ჩვენ ასევე ერთობლივად უნდა ვიმუშაოთ, რათა აღმოვფხვრათ სირიაში ამჟამად არსებული კატასტროფული ვითარება“.**

რექს ტილერსონთან შეხვედრის შემდეგ გავრცელდა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი ლავროვის მწირი კომენტარი. მან შეხვედრას „შინაარსიანი“, „მეტად გულახდილი“ უწოდა და დასძინა, რომ ის და ტილერსონი შეთანხდნენ საგანგებო წარმომადგენელთა დანიშვნაზე, რომლებიც მათ დაეხმარებიან ორმხრივ ურთიერთობებში წარმოშობილ გაუგებრობათა აღმოფხვრაში. თუმცა მკაცრი და არაკეთილგანწყობილი იყო განცხადებები, რომლებიც რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა გააკეთა სხვადასხვა დროს მას შემდეგ, რაც ამერიკამ 7 აპრილს სარაკეტო იერიში განახორციელა სირიის პრეზიდენტის, ბაშარ ალ ასადის დაქვემდებარებულ საავიაციო ბაზაზე. ეს ფაქტი კი, თავის მხრივ, სირიის მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ ასადის რეჟიმის მხრიდან ქიმიური იარაღის გამოყენებას მოჰყვა. პუტინმა, მაგალითად, თქვა, რომ სარაკეტო იერიში — ეს იყო აგრესია სუვერენული სახელმწიფოს — სირიის — მიმართ და აშშ-მა საერთაშორისო სამართალი გამოგონილი საბაბით დაარღვია.

დაძაბულობა იმდენად აშკარაა, რომ ურთიერთობების დათბობა და საერთო ენის გამონახვა ნაკლებად წარმოუდგენიათ ანალიტიკოსებს, თუმცა, როგორც პოლიტოლოგმა **შორენა ლორთქიფანიძემ** უთხრა რადიო „თავისუფლებას“, ბუნებრივია, აშშ და ნატო ინარჩუნებენ რუსეთთან დიალოგის სურვილს და მცდელობას გამონახონ შეხების წერტილები, რადგან ომი არავის სურს. სხვა საკითხია, რა გამოვა ამ მცდელობიდან, თუმცა, შორენა ლორთქიფანიძის თქმით, საქართველოსთვის ყველა შემთხვევაში ხელსაყრელია მშვიდობა:



**„ნატოს სტრატეგია რუსეთთან მიმართებაში ჯერ კიდევ არის თავდაცვა, შეკავება და დიალოგის რეჟიმი, მიუხედავად იმ მკაცრი განცხადებებისა, რასაც ჩვენ ბოლო პერიოდში ვისმენთ. თუ ჩვენ ვლაპარაკობთ, რომ მშვიდობა და უსაფრთხოება მსოფლიოსთვის არის მნიშვნელოვანი, ეს დიალოგისა და დისკუსიის გარეშე, უბრალოდ, შეუძლებელია... რაც უფრო გართულდება დიდ ძალებს შორის ურთიერთობა სტრატეგიულ საკითხებზე, ეს ჩვენზე პირდაპირ იმოქმედებს... ასე რომ, ნებისმიერ შემთხვევაში, საქართველო თავის პრინციპებს არ ღალატობს, მაგრამ, ამავე დროს, ჩვენთვის, როგორც პატარა ქვეყნისთვის, მნიშვნელოვანია დიალოგი დიდ ძალებს შორის, ისევ ჩვენი უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე“.**

დიდ მოთამაშეებს შორის არსებულ დიდ დაძაბულობას ასევე საქართველოს ინტერესების ჭრილში განიხილავს პოლიტოლოგი **ნიკა ჩიტაძე**. ის არ იზიარებს აზრს, რომ დაპირისპირებულმა მხარეებმა მშვიდობას, შესაძლოა, გარიგების ხარჯზე მიაღწიონ და ერთგვარად გაცვალონ სირია და საქართველო. პოლიტოლოგი თავის პოზიციას რადიო „თავისუფლებასთან“ განმარტავს:

**„დღევანდელ დღეს ამერიკა აცნობიერებს შავი ზღვის რეგიონში არსებულ რეალობას — იზრდება ამერიკის სამხედრო დასწრება შავი ზღვის რეგიონში, კერძოდ, რუმინეთში და ბულგარეთში. გარდა ამისა, საქართველოში იგეგმება ამერიკა-საქართველოს ერთობლივი სამხედრო მომზადების ცენტრის გახსნა... ამიტომაც მე მგონია, რომ საქართველო კვლავ დარჩება ამერიკის ინტერესების სფეროში და ამიტომაც არა მგონია, რომ რაიმე გარიგება მოხდეს... რუსეთს არ აწყობს სირიის დაკარგვა, რადგან სირია არის რუსეთის ერთადერთი პლაცდარმი ახლო აღმოსავლეთში და, ფაქტობრივად, ერთადერთი პლაცდარმი რუსეთისთვის პოსტსაბჭოთა სივრცის ფარგლებს გარეთ“.**

ანალიტიკოსები მიიჩნევენ, რომ, უსაფრთხოების უზრუნველყოფის ჭრილში, საქართველოსთვის ერთადერთი სწორი გზაა, შეინარჩუნოს მტკიცე დასავლური კურსი და კიდევ უფრო განამტკიცოს ურთიერთობები ნატოსა და მთავარ სტრატეგიულ პარტნიორთან — ამერიკის შეერთებულ შტატებთან.

„RFE//RL“ (აშშ)

SIC!

# რუსული ენერგოჰოლდინგი საქართველოს მთავრობას საარბიტრაჟო სასამართლოთი ემუქრება

**„რუსული ენერგოჰოლდინგები, რომლებიც ამიერკავკასიაში აქტიურ ინვესტირებას ეწეოდნენ 2000-იან წლებში, ბოლო დროს ადგილობრივი აქტივების მიმართ ინტერესს კარგავენ. მიზეზი ისაა, რომ ეროვნული რეგულატორები მზად არ არიან ელექტროენერგიის ტარიფების მომატებისთვის, რაც ადგილობრივი ვალუტის დევალვაციითაა გამოწვეული. ასე, მაგალითად, „რუსჰიდრომ“ გასაყიდად გამოიტანა თავისი კუთვნილი ჰესი სომხეთში, ხოლო „ინტერრაოს“ განზრახული აქვს, საქართველოს ხელისუფლებასთან დაწყებული დავა ტარიფების თაობაზე მოსაგვარებლად საარბიტრაჟო სასამართლოს გადასცეს“,** — ნათქვამია რუსულ გამოცემა „Коммерсантъ“-ის მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში (ავტორი — ვლადიმირ ძაგუტო).

პუბლიკაციაში მეტი ყურადღება აქვს დათმობილი სომხეთში „რუსჰიდროს“ კუთვნილი ენერგეტიკული ობიექტების მდგომარეობას, თუმცა ავტორი მკითხველს საქართველოში არსებულ სიტუაციასაც აცნობს „ინტერრაოს“ კუთვნილი ობიექტების საკითხში:

**„2015 წელს „ინტერრაომ“ იმის გამო, რომ სომხეთის ელექტროქსელები (ტარიფების გაყინვის გამო), წამგებიანი გახდა, აღნიშნული ობიექტი გაყიდა. იგივე სიტუაციაა ამჟამად საქართველოშიც. მთავრობამ უარი განაცხადა რუსული ჰოლდინგის „თელასისთვის“ ტარიფების ინდექსირებაზე. „ინტერრაო“ საქართველოში, „თელასის“ გარდა, კიდევ ორ ჰესს ფლობს („ხრამი-1“ და „ხრამი-2“). 2011-2013 წლებში რუსულმა კომპანიამ მემორანდუმი გააფორმა საქართველოს მთავრობასთან ინვესტირების პირობების შესახებ, რომლის თანახმად, ეროვნული ლარის დევალვაციის შემთხვევაში მოხდებოდა ელექტრონერგიის ტარიფების ინდექსირებაც, მაგრამ 2016 წელს, როცა „ინტერრაომ“ მოითხოვა, ტარიფები მომატებულიყო ლარის კურსის დაცემის გათვალისწინებით, თბილისმა უარი განუცხადა. საბოლოო ჯამში, აპრილში „ინტერრაომ“ ქართულ მხარეს შეატყობინა, რომ სატარიფო დავას არბიტრაჟს გადასცემდა. „კომერსანტს“ ხელში ჩაუვარდა „ინტერრაოს“ წერილი, რომელშიც რუსული კომპანია აპელირებს საქართველოს და ნიდერლანდებს შორის ხელმოწერილ შეთანხმებაზე ინვესტიციების დაცვის შესახებ. საქმე იმაშია, რომ საქართველოში არსებული ენერგოობიექტები ეკუთვნის „ინტერრაოს“ ნიდერლანდურ შვილობილ კომპანიებს „Silk Road“- ს და „Gardaban“,** — ნათქვამია სტატიაში.

* * *

**ამ თემაზე სტატია გამოქვეყნდა აგრეთვე კიდევ ერთ რუსულ გაზეთ „ვედომოსტში“ სათაურით „ინტერრაო“ საქართველოს მთავრობას სასამართლოთი ემუქრება“.** მასში საუბარია წერილზე, რომელიც ზემოთ აღნიშნულმა ნიდერლანდურმა კომპანიებმა გაგზავნეს როგორც საქართველოს პრეზიდენტის, ასევე საგარეო საქმეთა, იუსტიციისა და ენერგეტიკის მინისტრების სახელზე, სატარიფო დავის საარბიტრაჟო სასამართლოში გადაცემის თაობაზე. მასში აღნიშნულია, თუ როგორ არღვევს საქართველო თავის ვალდებულებას ნიდერლანდებთან ხელმოწერილ შეთანხმებაში ინვესტიციების ურთიერთდაცვის თაობაზე.



**აკაკი გალდავაძე,**
komersant.ru

## იმედია, არბიტრაჟში გადასვლა არ მოგვიწევს

**„ინტერრაოს“ საკითხი არბიტრაჟამდე მისული არ არის** — განცხადება ამის შესახებ ენერგეტიკის მინისტრის მოადგილემ გააკეთა. ირაკლი ხმალაძის თქმით, „ინტერრაომ“ წარმოადგინა საპრეტენზიო წერილი, რომელიც ასაბუთებს „ინტერრაოს“ პოზიციებს.

**„კონსულტაციის რეჟიმში ვართ, იმედია, არბიტრაჟში გადასვლა არ მოგვიწევს. ეს არის პირველი შემთხვევა, როცა საქმე შესაძლოა, არბიტრაჟამდე მივიდეს. იმედია, ასე არ იქნება. თუ ასე მოხდება, ჩვენ გვაქვს არგუმენტები, რომ პროცესი ისე დასრულდეს, რომ ჩვენი მხარე არ დაზარალდეს. „ინტერრაო“ ფლობს ენერგეტიკულ საწარმოებს, მას ტარიფებს უდგენს მარეგულირებელი კომისია. საუბარია, რომ მათთვის საჭირო დანახარჯების ასახვა მოხდეს ტარიფში, თუმცა რა ოდენობით, ეს არის მოლაპარაკების საგანი. იმ შემთხვევაში, თუ ეს საკითხი მოლაპარაკებებით დასრულდება, ამას არ ექნება ნეგატიური ზეწოლა სამომხმარებლო ტარიფებზე“,** — განაცხადა ხმალაძემ.

# კომუნისტური ექსპერიმენტის კრახი

## დაიწყება თუ არა ატომური ომი რუსეთის საზღვრებთან?

**დაძაბულობამ კორეის ნახევარკუნძულის ირგვლივ ოდნავ იკლო, თუმცა იკლო მხოლოდ ტაქტიკური და არა სტრატეგიული თვალსაზრისით. დონალდ ტრამპმა პირველად დაიხია უკან და არ შეასრულა მუქარა, რომ თუ ფხენიანი განახორციელებდა სარაკეტო ტესტს, ანუ საცდელად გაუშვებდა რაკეტას, რომელსაც თეორიულად შეუძლია მიაღწიოს იაპონიას (თანაც ბირთვული ქობინით), მაშინ ამერიკული სამხედრო დაჯგუფება „ტომაჰავკის“ რაკეტებს გამოიყენებდა ჩრდილო კორეის ატომური და სარაკეტო ინფრასტრუქტურის გასანადგურებლად.**

კიმ ჩენ ინის მარაზმატული რეჟიმი, ამ შემთხვევაში საკმაოდ ეშმაკურად მოიქცა: რაკეტა კი გამოსცადეს, თუმცა აფრენისთანავე აფეთქდა და ბევრი დასავლელი დამკვირვებელი გამოთქვამს არც თუ უსაფუძვლო მოსაზრებას, რომ ჩრდილო კორეელებმა ეს სპეციალურად გააკეთეს, ანუ თავად ააფეთქეს რაკეტა აფრენისთანავე (ტექნიკურად ეს სრულიად შესაძლებელია), რათა ერთი მხრივ, სახე შეენარჩუნებინათ თავად, ანუ ეჩვენებინათ, რომ არ შეუშინდნენ ზესახელმწიფოს მუქარას, ხოლო, მეორე მხრივ, პრეზიდენტ ტრამპისთვისაც მიეცათ საშუალება, „აეხსნა“ ამერიკული საზოგადოებისთვის, რატომ არ შეასრულა ულტიმატუმი და რატომ არ დაარტყა ჩრდილო კორეას: „კი გამოსცადეს რაკეტა, მაგრამ სტარტზევე აფეთქდა“.

ეს ტაქტიკური თამაშები იმას ნიშნავს, რომ დონალდ ტრამპს ჩრდილო კორეელები უფრთხიან! თანაც ძალიან უფრთხიან, რაკი სირიის ამასწინანდელი დაბომბვით და ავღანეთში „დედა-ბომბის“ გამოყენებით დაამტკიცა: შეუძლია იმოქმედოს უკანმოუხედავად, თუკი უკანდასახევ გზას არ დაუტოვებენ. ფხენიანის სრულყოფილი სარაკეტო ტესტი ან, მით უარეს, ბირთვული იარაღის მორიგი გამოცდა სწორედ ამგვარ სიტუაციას შექმნიდა.



**იმავდროულად, ჩრდილო კორეის წარმომადგენელი გაეროში პრესკონფერენციაზე აცხადებს, რომ ატომური ომი „ნებისმიერ მომენტში შეიძლება დაიწყოს“, ანუ, პირველად მეორე მსოფლიო ომის, — იაპონური ჰიროსიმასა და ნაგასაკის დაბომბვის შემდეგ, — უკვე აღარავის ეჩვენება გადაჭარბებად ან „შავ ფანტასტიკად“ ბირთვული იარაღის გამოყენება ასეულობით ათასი ადამიანის ერთდროულად გასანადგურებლად.**

ჩრდილო კორეის რეჟიმი, რომელიც თითქოს ორუელის საზარელი რომანის (1984) ილუსტრაციად შეიქმნა, თავხედურად აშანტაჟებს მეზობლებს და მთელს მსოფლიოს, რაკი მოსკოვისა და პეკინის ფარული თუ აშკარა დახმარებით მოახერხა ბირთვული იარაღის შექმნა.

ბუნებრივია, თუ საქმე საქმეზე მიდგა, ეს რეჟიმი და მისი სამხედრო მანქანა, ამერიკულ არმიასა და ფლოტს „ლუკმად არ ეყოფა“, მაგრამ პრობლემა მილიონობით ადამიანის მსხვერპლია: ჩრდილო და სამხრეთ კორეის საზღვართან ფხენიანის რეჟიმს მილიონიანი სამხედრო დაჯგუფება ჰყავს კონცენტრირებული, საზღვრის ახლოს მდებარე სამხრეთ კორეის დედაქალაქი სეული პირდაპირი დარტყმის ობიექტია: ომის შემთხვევაში, ჩრდილო კორეის 10 000 საარტილერიო დანადგარი (მათ შორის, შორსმსროლელი ქვემეხები და ზალპური ცეცხლის სისტემები) მას უბრალოდ აღგვის პირისაგან მიწისა. და თუ რაკეტების წინააღმდეგ კიდევ არსებობს „ანტირაკეტები“ და შესაძლებელია მათი ჰაერშივე ჩამოგდება, საარტილერიო ჭურვების საწინააღმდეგო ტექნოლოგია არ არსებობს: შესაძლებელია მხოლოდ იმ ადგილების განადგურება, საიდანაც მოხდება სეულის დაბომბვა, მაგრამ კორეელმა კომუნისტებმა ეს საარტილერიო სისტემები მიწაში ჩაფლეს, ანუ სპეციალური შახტებიდან აპირებენ სროლას; ამ შახტების აღმოჩენას, მერე მოსპობას 1 საათი ხომ მაინც დასჭირდება? ამ ხნის განმავლობაში კი, სეულის ადგილას ცეცხლოვანი ზღვა გაჩნდება; წარსულს ჩაბარდება „სამსუნგი“, ასევე შესანიშნავი მანქანათგემთმშენებლობა, რითაც ასე ამაყობდნენ კორეელები.

და ეს ყოველივე ე.წ. ჩუჩხეს“, ანუ „კორეული კომუნიზმის“ აბსოლუტურად წარუმატებელი, ამაზრზენი ექსპერიმენტისა და მისი ფანატიკური რეჟიმის გამო: ამაზე მკაფიო და ნათელი ილუსტრაცია, თუ რამდენად წარუმატებელი იყო, ზოგადად, კომუნისტური ექსპერიმენტი მსოფლიოში, ძნელად წარმოსადგენია: ერთი მხრივ, აყვავებული, გაცისკროვნებული, მაღალტექნოლოგიური, ინტერნეტიზებული, უმდიდრესი სამხრეთ კორეა, რომელიც ბევრ ევროპულ ქვეყანას უსწრებს არა მხოლოდ ცხოვრების დონით, არამედ ინოვაციურობითა და კრეატიული ინდუსტრიით, ხოლო მეორე მხრივ, იქვე, საზღვრის გადაღმა, განუვითარებელი, მშიერი, გაუბედურებული ჩრდილო კორეა, რომლის ერთადერთი რესურსი „საზარბაზნე ხორცი“ და უთვალავი საბჭოთა-რუსული თუ ჩინური წარმოების იარაღია.

უნდა ითქვას, რომ ტაქტიკური უკანდახევის მიუხედავად, დონალდ ტრამპმა ძალიან მნიშვნელოვანი დიპლომატიური გამარჯვება მოიპოვა: ჩინეთმაც კი (კორეელ კომუნისტთა მთავარმა იმედმა) ფხენიანს, ფაქტობრივად, ულტიმატუმი წაუყენა: შეწყვიტოს ატომური იარაღის წარმოება და გამოცდა, აგრეთვე სამხრეთ კორეის დაშანტაჟება. წინააღმდეგ შემთხვევაში, პეკინი აღარ მიაწვდის კიმ ჩენ ინის რეჟიმს (ელემენტარულად) საჭმელს და შეწყვეტს ქვანახშირის შესყიდვას, რაც ჩრდილო კორეის ერთადერთი საექსპორტო პროდუქტია.

ბუნებრივია, ჩინელი კომუნისტები კორეელ „კოლეგებს“ ზურგში დანას არ ჩასცემდნენ, თეთრ სახლში რომ კვლავ ბარაქ ობამა იყოს. მაგრამ ტრამპმა პეკინს არაორაზროვნად მიანიშნა: თუ ჭკვიანად არ იქნებით, ამერიკული და ევროპული ბაზარი თქვენი პროდუქციისთვის ჩაიკეტება და ჩინურ „ეკონომიკურ სასწაულსაც“ ბოლო მოეღება: დასავლური ბაზრების გარეშე ყბადაღებული „ჩინური ეკონომიკა“ სულ იოლად და მალე „ჩამოგორდება“ იქ, სადაც იმყოფებოდა დენ სიაო პინამდე, ანუ დაახლოებით ჩრდილო კორეულ დონეზე.

იმავე მიზეზით, არც მოსკოვი ჩქარობს „კიმთა“ პირსისხლიანი რეჟიმის ღია და აქტიურ მხარდაჭერას; არადა, რუსეთი უშუალოდ ესაზღვრება ჩრდილო კორეას და, მასშტაბური ომის შემთხვევაში, ეს ცეცხლოვანი ქარბორბალა აუცილებლად შეეხება. თუნდაც იმიტომ, რომ მილიონობით ლტოლვილი მიაწყდება რუსეთის საზღვრებს.

როგორც ჩანს, ტრამპმა და მისმა გენერალიტეტმა, რომელიც სულ „ცოფიანი ძაღლებისგან“ შედგება (ეს ზედსახელი აქვს თავდაცვის მინისტრ ჯეიმს მეტისს და არც ეროვნული უშიშროების საკითხებში მრჩეველი ჰერბერტ მაკმასტერია „მტრედი“) ხანგრძლივი „ალყის“ ტაქტიკა აირჩია: კორეის ნახევარკუნძულთან რჩება უძლიერესი სამხედრო-საზღვაო დაჯგუფება. იგი აღჭურვილია 2 000-მდე „ტომაჰავკის“ რაკეტით. მათ შორის, რასაკვირველია, ატომური იარაღითაც — იმ შემთხვევისთვის, თუ „კიმები“ ბირთვულ ბომბს გამოიყენებენ სამხრეთ კორეის წინააღმდეგ.

პარალელურად გაგრძელდება დიპლომატიური ზეწოლა პეკინზე და მოსკოვზე, რათა საბოლოოდ შეწყვიტონ დედამიწაზე უკანასკნელი „კლასიკური“ კომუნისტური რეჟიმის მხარდაჭერა. და თუ ტრამპი ამ საშინელი, ტირანული რეჟიმის „მოხრჩობას“, ანუ კორეის გაერთიანებას შეძლებს, ეს მთელი კაცობრიობის წინაშე მისი უდიდესი დამსახურება და ღვაწლი იქნება.

**ნიკა იმნაიშვილი**

# გორის თენგიზ ბურჯანაძის სახელობის სტადიონი კანონიერ მფლობელს დაუბრუნდება

**საქართველოს** მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტმა მორიგი შემაჯამებელი გადაწყვეტილება მიიღო, რის საფუძველზეც დაზარალებულ კომპანიას 2010 წელს უკანონოდ ჩამორთმეული და ამჟამად სახელმწიფო ბალანსზე რიცხული გორის თენგიზ ბურჯანაძის სახელობის საფეხბურთო არენა დაუბრუნდება.

დეპარტამენტის მიერ გახსნილია ქონების უკანონოდ ჩამორთმევის მორიგი დანაშაულებრივი ფაქტი. კერძოდ, ჩატარებული გამოძიებით დადგენილია, რომ მიხეილ ლურსმანაშვილმა პარტნიორებთან: ელზა გნოლიძესთან, ვახტანგ ჯოხაძესთან, თამაზ სიდამონიძესთან, ნოდარ მექვაბიძესთან, ვასილ ტლაშაძესა და იოსებ ტეტუნაშვილთან ერთად დააფუძნა შპს „გრანდ ემი“, რომელმაც 2006 წლის დეკემბრის თვეში, სახელმწიფოს მიერ გამოცხადებული აუქციონის გზით კანონიერად შეიძინა თენგიზ ბურჯანაძის სახელობის გორის საფეხბურთო სტადიონი. შესყიდვიდან ერთი წლის განმავლობაში შპს „გრანდ ემ“-მა სტადიონს საკუთარი სახსრებით ჩაუტარა კაპიტალური რემონტი, რომლის დანახარჯმა შეადგინა 500 000 (ხუთასი ათასი) ლარამდე.

2010 წელს, აღნიშნული სტადიონი ხელისუფლების ინტერესის ქვეშ მოექცა. მესაკუთრეებისთვის ზემოხსენებული ქონების ჩამორთმევის მიზნით დაიწყო გამოძიება და საგადასახადო შემოწმება „გრანდ ემი“-ს მიმართ გადასახადებისთვის თავის არიდების ფაქტზე, რაც არ უკავშირდებოდა გორის საფეხბურთო სტადიონის შესყიდვას, რისი კანონიერების საკითხიც გამოძიებას ეჭვქვეშ არ დაუყენებია. გამოძიების მიმდინარეობისას ყალბი საგადასახადო დოკუმენტის დამზადების გამო სამართალდამცავების მიერ დაკავებულ იქნა კომპანიის ერთ-ერთი პარტნიორი ვახტანგ ჯოხაძე.



აღნიშნულის შემდეგ, კომპანიის წარმომადგენლებს სამართალდამცავი ორგანოდან შეუთვალეს, რომ იმ შემთხვევაში, თუკი კომპანია დათმობდა გორის სტადიონს, მათ მიმართ არ დაიწერებოდა საგადასახადო შემოწმების აქტი და კომპანიის ერთ-ერთი დამფუძნებელი ვახტანგ ჯოხაძეც გათავისუფლდებოდა პატიმრობიდან.

განხორციელებული ფსიქოლოგიური ზეწოლის შედეგად, მოსალოდნელი გართულებების თავიდან აცილების და ხელოვნურად გაზრდილი და დარიცხული გადასახადების თავიდან ასაცილებლად, შპს „გრანდ ემმა“ გორის საფეხბურთო არენა უსასყიდლოდ გადასცა გორის მუნიციპალიტეტს. ქონების სახელმწიფო საკუთრებაში გადასვლის შემდეგ, ორ დღეში, ვახტანგ ჯოხაძე საპროცესო შეთანხმების საფუძველზე, პირობითი მსჯავრით გაათავისუფლეს საპატიმროდან.

ჩვენს მიერ მიღებული შემაჯამებელი გადაწყვეტილების საფუძველზე პროკურატურა შუამდგომლობით მიმართავს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, რათა საქართველოს მთავრობის განკარგულებით, დაზარალებულ შპს „გრანდ ემ“-ს დაუბრუნდეს ამჟამად სახელმწიფო ბალანსზე რიცხული გორის თენგიზ ბურჯანაძის სახელობის სტადიონი.

რაც შეეხება ქონების უკანონოდ ჩამორთმევაში მხილებულ ყოფილ საჯარო მოხელეებს, გამოძიებასთან თანამშრომლობის ხარისხის გათვალისწინებით, პროკურატურა იმსჯელებს მათ მიმართ დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების მიზანშეწონილობის საკითხზე.

ამ დროისთვის ახალი დეპარტამენტის მიერ გაწეული მუშაობის შედეგად გახსნილია ქონების იძულებით ჩამორთმევის 60 ფაქტი, დაზარალებულად ცნობილია 126 მოქალაქე, რომელთაც დაუბრუნდა და დაბრუნების პროცესშია 36 მილიონ ლარამდე ღირებულების უძრავ-მოძრავი ქონება, მათ შორის 72 ავტომანქანა, საცხოვრებელი ბინები, საოფისე და კომერციული ფართები, ღვინის ქარხანა, საცურაო კომპლექსი, მიწის ნაკვეთები და ა.შ.

ჭადრაკი

# ნანამ რიგაში ევროპა დაიპყრო

**ლატვიის დედაქალაქ რიგაში დამთავრდა მოჭადრაკე ქალთა ევროპის ინდივიდუალური ჩემპიონატი. თერთმეტი შესაძლებლობიდან 8.5 ქულით კონტინენტის ჩემპიონობა ქართველმა დიდოსტატმა ნანა ძაგნიძემ მოიპოვა. ქართველ მოჭადრაკე მანდილოსანთაგან ის პირველია, ვინც ეს ტიტული მოიხვეჭა.**

ჩემპიონატში, რომლის საპრიზო ფონდი იყო 70.000 ევრო (პირველი პრიზი – 12.000 ევრო), 33 ქვეყნის 144 წარმომადგენელი (მათ შორის – 8 ქართველი) მონაწილეობდა. ძაგნიძე ასპარეზობის პირველი დღიდან დაწინაურდა და ფინიშამდე ლიდერის სადავეები ხელიდან არ გაუშვია. ბოლოსწინა ტურში ნანამ პოლონელი მონიკა სოჩკო დაამარცხა და 8 ქულით ერთპიროვ-



ნულად გავიდა წინ. ტიტულის ბედი მე-11 ტურს უნდა გადაეწყვიტა: უახლოესმა მდევარმა, რუსმა ალექსანდრა გორიაჩკინამ თეთრი ფიგურებით ელიზაბეტ პეტცთან (გერმანია) დაზავება არჩია, რითაც ვერცხლის მედალი გაინაღდა. ძაგნიძე და მსოფლიოს ექსვიცეჩემპიონი ნატალია პოგონინაც (რუსეთი) 37-ე სვლაზე მშვიდობიანად დაშორდნენ ერთმანეთს და ქართველი დიდოსტატიც სხვებისთვის მიუწვდომელი აღმოჩნდა. 8 ქულით, მაგრამ უარესი დამატებითი მაჩვენებლებით, მესამე ადგილზე რუსი ალისა გალიამოვა გავიდა.

ქართველ მოჭადრაკეთა საბოლოო შედეგები ასეთია: 1. ნანა ძაგნიძე (8.5 ქულა), 10. ბელა ხოტენაშვილი (7.5), 18. ლელა ჯავახიშვილი (7). 29. მერი არაბიძე (6.5), 40. სალომე მელია (6.5), 45. სოფიო გვეტაძე (6.5), 49. ნინო ბაციაშვილი (6), 73. ნინო ხომერიკი (5.5). საქართველოს ჩემპიონმა, ტურნირზე მე-17 ნომრად განთესილმა ბელა ხოტენაშვილმა მე-10 ადგილით 14 საუკეთესო მოჭადრაკესთან ერთად მსოფლიო ჩემპიონატში თამაშის უფლება მოიპოვა.

შეგახსენებთ, რომ ევროპის ქალთა ინდივიდუალურ ჩემპიონატებში, რომლებსაც 2000 წელს ბათუმში ჩაეყარა საფუძველი, ქართველებმა აქამდე 2 ვერცხლის და 3 ბრინჯაოს მედალი დაიმსახურეს: მეორე ადგილებზე გავიდნენ სალომე მელია (2013) და ნინო ბაციაშვილი (2015), ხოლო მაია ჩიბურდანიძე (2000), ქეთევან არახამია-გრანტი (2001) და სალომე მელია (2014) მესამე ადგილებს დასჯერდნენ.

**ლაშა დიდია**

**სურათზე**: მარცხნიდან – ნანა ძაგნიძე, ალისა გალიამოვა და ალექსანდრა გორიაჩკინა.

ძიუდო




# მეცხრედ – ცაზე

**ისევ ქართულ-რუსული ფინალი და ჩვენი ჩრდილოელი მეზობლები, ეს უკვე მერამდენედ, კუდამოძუებული ტოვებენ ტატამს – ვარშავის სარბიელი ჩვენი ძიუდოისტებისთვის იღბლიანი გამოდგა და ისინი ევროპის გუნდური პირველობის კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე მეცხრედ ავიდნენ.**

დიახ, საქართველოს და რუსეთის ნაკრები გუნდების შეხვედრით დასრულდა ძიუდოისტთა კონტინენტის პირველობა და ის ჩვენი ქვეყნისეროვნული ჰიმნით დაგვირგვინდა. „ჯვაროსნებმა“ პირველ წრეში იტალია დაამარცხეს – 4:1, შემდეგ ასეთივე ანგარიშით სერბეთი ჩამოიშორეს გზიდან, ნახევარფინალში უკრაინას 3:2 მოუგეს და გადამწყვეტ პაექრობაში რუსებს დაუპირისპირდნენ. 66 კილოში ვაჟა მარგველაშვილმა ანზაურ არდანოვს იპონით აჯობა. მომდევნო ორ ორთაბრძოლაში მეტოქემ იყოჩაღა: 73 კილოგრამ წონით კატეგორიაში ოლიმპიური ჩემპიონი ლაშა შავდათუაშვილი უალი კურჟევთან დამარცხდა, ზებედა რეხვიაშვილი (81 კგ) სტანისლავ სემიონოვს ვერ გაუმკლავდა დამატებით დროში და ჩრდილოელი მეზობლები 2:1 დაწინაურდნენ. დარჩენილ ორ შეხვედრაში მათ მიზნის მისაღწევად ქულაღა აკლდათ, მაგრამ იმ ქულას ხომ მოპოვება უნდოდა, მით უმეტეს, რომ საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი, ოლიმპიური ჩემპიონი ირაკლი ცირეკიძე და მისი შეგირდები სხვაგვარად ფიქრობდნენ: 90 კილოში ბექა ღვინიაშვილმა მაგომედ მაგომედოვი ვაზარიზე დააგდო, შებოჭა და წონაწორობა აღადგინა – 2:2. საქართველოს გამარჯვების ქულა გურამ თუშიშვილმა მოუტანა – საფირმო კისრულით რენატ საიდოვი ტატამს გააკრა ბეჭებით – 3:2. ეროვნული ნაკრების დებიუტანტი თუშიშვილი ამ ჩემპიონატის კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე მეორედ ავიდა. პირველი ოქროს მედალი მან მძიმეწონოსანთა პაექრობაში დაიმსახურა.

22 წლის ქართველმა ძიუდოისტმა პოლონურ ტატამზე მასპინძელ კამილ გრაბოვსკის 42 წამში მოუგო, ევროპის 2-გზის, მსოფლიოსა და ოლიმპიურ ჩემპიონ ლუკაშ კრპალეკის (ჩეხეთი) დასამარცხებლად 47 წამი ეყო, ხოლო ნახევარფინალში 23-წლამდელთა შორის ევროპის ჩემპიონი (2012), ჰოლანდიელი როი მეიერი წუთსა და 25 წამში ჩამოიშორა გზიდან.

ამავე წონაში გადამწყვეტი პაექრობისკენ გაიკაფა გზა ადამ ოქრუაშვილმა, რომელმაც ჯერ ლიტველი მარიუს პასკევიჩიუსი დაამარცხა, მერე უკრაინელი იაკივ ხამო და პოლონელი მაციეჟ სარნაცკი დაჯაბნა. დამოუკიდებელი საქართველოს ძიუდოს ისტორიაში პირველად ევროპის ჩემპიონატზე ქართული ფინალი გაიმართა. მეოთხე წუთზე თუშიშვილმა თანაგუნდელ ოქრუაშვილს ჯერ ვაზარი აართვა, რასაც ხელზე მტკივნეული ილეთი მიაყოლა და ვადამდე გაიმარჯვა. ოქრუაშვილს ვერცხლის მედალი ერგო. ჭაბუკებში, ახალგაზრდებსა და 23-წლამდელთა შორის ევროპისა და მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონმა ბექა ღვინიაშვილმა (90 კგ) ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა. 100 კილოში მე-7 ადგილს დასჯერდა ევროპის სამგზის ჩემპიონი ვარლამ ლიპარტელიანი, ლუხუმ ჩხვიმიანი, ამირან პაპინაშვილი (ორივე-60 კგ) და ზებედა რეხვიაშვილი (81) კი მეხუთე ადგილებზე გავიდნენ.

**ლექსო ცინცაძე**

კრივი

# შუალედური ტრიუმფი




**37 წლის ავთანდილ ხურციძემ ამ დღეებში ინგლისის ქალაქ ლესტერის რინგზე პროფესიული კრივის საშუალო წონაში 37-ე ბრძოლა გამართა და WBO-ს ვერსიით დროებითი ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.**

მან ბრიტანელი მეტოქე ტომი ლენგფორდი მეხუთე რაუნდში ნოკაუტში ჩააგდო და ასეთი პირადი მონაგარი დაუგროვდა: 33 გამარჯვება, 2-2 ფრე და მარცხი.

ჩვენი თანამემამულე აღნიშნული წარმატების შემდეგ ვალდებულია WBO-ს სრულფასოვან ჩემპიონ ჯო სონდერსს შეხვდეს.

**კობა კობახიძე**

მასპინძელთა

# მასპინძელთა 16 ჯილდო

**თბილისის ძიუდოს აკადემიის დარბაზში ორ დღეს გრძელდებოდა სუმოისტთა ევროპის ჩემპიონატი. მედლები სამ ასაკში (უფროსები, 23 და 21-წლამდელები) გათამაშდა. მასპინძლებმა 3 ოქროს, ამდენივე ვერცხლისა და 10 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.**

21-წლამდელებში პირველ ადგილებზე გავიდნენ გიორგი ფარადაშვილი (+115 კგ) და ლაშა ჯელაძე (აბსოლუტური). ფარადაშვილს აბსოლუტურში ვერცხლის მედალი ერგო. მათ კიდევ თითო „ვერცხლს“ შამილ გოგოჭურსა და ნიკოლოზ სისვაძესთან ერთად გუნდურშიც გამოჰკრეს ხელი. სისვაძემ (115 კგ) პირად პირველობაში მესამე ადგილი დაიკავა.

23-წლამდელები გუნდურში (ზურაბ აქუბარდია, გიგა გელაშვილი, ლაშა ჯელაძე, გიორგი ფარადაშვილი) ავიდნენ კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე. პირად პირველობაში ბრინჯაოს მედლები გიორგი მათიაშვილმა (70 კგ), ირაკლი ჩაჩუამ (100 კგ) და გიგა გელაშვილმა (+115 და აბსოლუტურში) მოიპოვეს.

უფროსებში გიორგი მეშვილდიშვილი (115 კგ) მეორე ადგილს დასჯერდა. მესამე ადგილებზე გავიდნენ ლაშა მეშვილდიშვილი (115 კგ), ავთანდილ ცერცვაძე (+115 კგ), ლაშა ჯელაძე (+115 კგ) და გიორგი მეშვილდიშვილი (აბსოლუტური). ჩვენს ნაკრებს გუნდურშიც (ავთანდილ ცერცვაძე, გიორგი მეშვილდიშვილი, ლაშა ჯელაძე, ლაშა მეშვილდიშვილი) ბრინჯაოს მედალი ხვდა.

**გივი გაგუა**

კიკბოქსინგი



# ცოტნეს მსოფლიო...

**საქართველოს ნაკრების წევრი კიკბოქსინგში ცოტნე სულთანიშვილი (61 კგ) WKN-ის ვერსიით ფულკონტაქტში მსოფლიო ჩემპიონი გახდა.** საფრანგეთის ქალაქ ნიცაში გამართულ ფორუმზე გოჩა ჯავახიას შეგირდმა 12-რაუნდიან ფინალურ ბრძოლაში მასპინძელი 2-გზის მსოფლიოს ჩემპიონი ჯონათან პასტორინი დაამარცხა და ჩემპიონის ტიტული და ქამარი დაისაკუთრა.

**ბეჟან დოლიძე**

„ელ კლასიკოს“ შემდეგ

# პიკე: „რეალი“ სხვანაირ მსაჯობას შეეჩვია

**ჟერარ პიკე არ ჩერდება – კატალონიის „ბარსელონას“ უკანახაზელის განცხადებით, სერხიო რამოსის გაძევება სამართლიანი იყო და, უბრალოდ, „რეალი“ ასეთ მსაჯობას არაა შეჩვეული. ამის შესახებ სტუმართა მცველმა Marca-ს განუცხადა.**




„ის იმსახურებდა გაძევებას, რადგან ორივე ფეხით არღვევდა თამაშის წესს. ფაქტი ისაა, რომ ისინი სხვანაირ მსაჯობას არიან მიჩვეულნი“, – თქვა პიკემ.

„რეალისა“ და „ბარსელონას“ შეხვედრა კატალონიელებმა 3:2 მოიგეს, ხოლო სერხიო რამოსი მოედნიდან 77-ე წუთზე ლიონელ მესისთან უხეშობის გამო გააძევეს.

სხვათა შორის, გადამწყვეტი ბურთი სწორედ არგენტინელმა გაიტანა ბოლო წამებზე. ეს მისი მე–500(!) გოლია ესპანურ კარიერაში.

**გიორგი შოთაძე**

ჩოგბურთი

# „გრუნტის მეფის“ რეკორდები

**ბრალი მისი, ვისაც გრუნტის საფარზე რაფაელ ნადალთან მოუწევს დუელი.**

ამჯერად ესპანელის მორიგ მიღწევებს გაგაცნობთ, , რომლებიც მონაკოში გამოიძერწა. თანამემამულე ალბერტ რამოსთან გამარჯვების შემდეგ მალიორკელი პირველი ჩოგბურთელი გახდა ისტორიაში, ვინც ერთი ტურნირი, ამ შემთხვევაში მონტე-კარლოს მასტერზი, მეათედ მოიგო. ასევე სარეკორდოა რაფას მიერ გრუნტზე მოპოვებული 50-ე ტიტული (აქედან 29-ე მასტერზის სერიაში, რაც მხოლოდ ერთით ჩამორჩება ნოვაკ ჯოკოვიჩისას), სულ კი პროფესიულ ტურში თამასა 70 წარმატებამდე დამრგვალდა.



სხვათა შორის, ჯოკოვიჩი და მსოფლიოს პირველი ჩოგანი ენდი გარეი ადრეულ ეტაპებზევე გამოეთიშნენ ტურნირს, როჯერ ფედერერმა კი, როგორც ადრევე გამოაცხადა, დაისვენა და, ალბათ, გრუნტის სეზონს საერთოდ გამოტოვებს.

და ბოლოს – ახლა ნადალი კატალონიაში გადაინაცვლებს და ბარსელონის ტურნირზე ითამაშებს, რომელიც კარიერაში ცხრაჯერ აქვს მოგებული.

**ვიტალი ჯაფარიძე**

◎ მისაბაძი მაგალითი

# „მზიურის“ საჩოგბურთო კორტები ფედერაციას გადაეცა

**საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, „მზიურის“ კორტები 10 წლის ვადით უსასყიდლოდ გადაეცა ჩოგბურთის ეროვნულ ფედერაციას. ტერიტორიას არ შეეცვლება სპორტული პროფილი და განკუთვნილი იქნება ჩოგბურთისთვის.**

ხელშეკრულების თანახმად ყველა ასაკობრივი ნაკრები მთელი სეზონის განმავლობაში უფასოდ ისარგებლებს კორტით, ყოველწლიურად ჩატარდება საქართველოს პირველობის ტურნირი ოთხ ასაკობრივ ჯგუფში, აგრეთვე უზრუნველყოფილი უნდა იყოს დევისისა და ფედერაციის თასის გათამაშების შეხვედრები.

„მზიურის“ საჩოგბურთო კომპლექსი 9 ღია და 2 დახურული კორტისგან შედგება. არსებულ ტერიტორიაზე, რომელიც 12 ათასი კვადრატული მეტრის ფართობს მოიცავს, ფედერაცია მოაწყობს საოფისე ფართს, სავარჯიშო დარბაზს, კვების ობიექტს, სპორტული ინვენტარისა და ტანსაცმლის მაღაზიას, გადახურავს 2 საჩოგბურთო კორტს და შეიქმნება 40 სამუშაო ადგილი. ფედერაცია ვალდებულია, მოიზიდოს 500 000 ლარის ინვესტიცია.



ეს არის საჯარო და კერძო სექტორის ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე განხორციელებული მორიგი პროექტი. აღნიშნული მეთოდი წარმატებული გამოდგა წინა შემთხვევებში. მაგალითად, ზაზა ფაჩულიას კალათბურთის აკადემია აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ლიდერია. წარმატებები აქვს ძიუდოს აკადემიასაც. საქართველოს მთავრობა მსგავსი პროექტების ხორცშესხმას მომავალშიც გეგმავს.

**ბახვა ნემსაძე**

◎ ფარიკაობა

# რაპირით გაკაფული გზა



**მინსკში დაწყებულ 23-წლამდელ მოფარიკავეთა ევროპის ჩემპიონატის პირველ დღეს საქართველოს ნაკრებიდან წარმატებით იასპარეზა ლუკა ღაღანიძემ,** რომელმაც რაპირით ასპარეზობისას ჯგუფში ზედიზედ აჯობა ფაბიან ბრაუნს (გერმანია, 5:2), მაქსიმილიან ეტელტის (ავსტრია, 5:1), არტურ ცევანს (ბელარუსი, 5:4), დამიანო როსატელის (იტალია, 5:4), კრისტოფერ გვინეს (ირლანდია, 5:0), ტამაშ ბაკოს (უნგრეთი, 5:1), პლეი ოფში პეტარ ფილესი (ხორვატეთი, 15:6), ბართოშ სეგიელსკი (პოლონეთი, 15:11) და დმიტრი ტროფიმოვი (რუსეთი, 15:14) დაამარცხა, ნახევარფინალი კი კირილ ბოროდაჩოვთან (რუსეთი) წააგო - 12:15 და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ეს რაპირით მოფარიკავეთა საუკეთესო შედეგია. პირველ ადგილზე ჩეხი ალექსანდრ ჩოუპენიტჩი გავიდა, ვერცხლის მედალი ბოროდაჩოვს ხვდა, ხოლო მეორე ბრინჯაოს ჯილდო ფრანგ ალექსანდრ სიდოს ერგო.

**თამაზ პატარიძე**

◎ ლეგიონერი

# უპრობლემოდ – მეორე რაუნდში

**ზაზა ფაჩულიას „გოლდენ სტეიტმა“ საპლეიოფო სერიის მე-4 მატჩიც მოუგო „პორტლენდს“ და შემდეგ წრეში გავიდა. ოკლენდელებმა პლეი ოფის პირველი რაუნდი უპრობლემოდ გაიარეს და გუშინ პორტლენდში მოპოვებული გამარჯვებით სერია მშრალი ანგარიშით – 4:0 დაასრულეს.**

ეს შეხვედრა სერიაში საუკეთესო გახლდათ ქართველი ცენტრისთვის. ფაჩულიამ თამაში ტრადიციულად სასტარტო ხუთეულში დაიწყო და მოედანზე გატარებულ 19 წუთში ორმაგ დუბლამდე ცოტა დააკლდა. ზაზამ 6-დან 4 ორქულიანი და 3-დან 3 საჯარიმო ჩააგდო, 11 ქულა მოაგროვა და პლუს 7 მოხსნა, 1 პასი და 1 ჩაჭრაც მიითვალა. ოკლენდელთა ქართველი ცენტრი 2-ჯერ დაჯარიმდა და ბურთი არ დაუკარგავს.

რაც შეეხება ბრძოლას, ის სტუმართათვის საკმაოდ იოლი გამოდგა. პირველი პერიოდის 45:22 მოგების შემდეგ ფავორიტებმა მატჩის ბედი, ფაქტობრივად, გადაწყვიტეს. დარჩენილ დროში ბევრი არაფერი შეცვლილა. „პორტლენდი“ მდევრის როლში იყო და ამაოდ ცდილობდა მწყობრად მოთამაშე „გოლდენ სტეიტთან“ მიახლოებას. საბოლოოდ ოქროს შტატის კლუბმა 128:103 იმარჯვა და პლეი ოფის მეორე წრეში ანუ დასავლეთ კონფერენციის ნახევარფინალში გავიდა.

„გოლდენ სტეიტს“ ამ მატჩში დაუბრუნდა კევინ დიურანტი, რომელიც მხოლოდ 20 წუთი ათამაშეს. დიურანტს ჯაფა არ დასდგომია, ისე დამაჯერებლად თამაშობდნენ მისი თანაგუნდელები, რომელთაგან 37 ქულით, 8 პასით და 7 მოხსნით საუკეთესო სტეფ კარი იყო. 21 ქულა მიითვალა დრეიმონდ გრინმა, ხოლო კლეი ტომპსონის ანგარიშზე 18 ქულა დაგროვდა.

სერიის 4:0 მოგებით „გოლდენ სტეიტი“ პლეი ოფში ნაადრევად გავიდა და მომავალი ბრძოლისთვის მოსამზადებლად საკმაო დრო აქვს. ოკლენდელები ელიან „კლიპერსსა“ და „იუტას“ შორის გამარჯვებულს, სადაც სერიის ანგარიში ჯერ 2:2-ია.

**მანუჩარ გიორგაძე**



◎ თანამშრომლობა

# მარტყოფიდან – ევროპამდე

**ციმბირულმა „კრასნი იარმა“ რუმინეთის ჩემპიონი „ტიმიშოარა-სარასენსი“ სტუმრად 27:18 დაამარცხა და ჩელენჯ ქაფის ჯგუფურ ეტაპზე ითამაშებს.**

კრასნოიარსკული კლუბის წარმატებაში უდიდესი წვლილი საქართველოს და ქართველებს მიუძღვის. გუნდმა ჩელენჯ ქაფის ფლეი ოფისთვის მოსამზადებელი შეკრება საქართველოში, კერძოდ მარტყოფის სარაგბო ბაზაზე გაიარა, მის შემადგენლობაში კი ერთბაშად ხუთმა ქართველმა ითამაშა.

„კრასნი იარი“ საქართველოში 18 მარტს ჩამოვიდა და რუმინელებთან პირველი მატჩისთვის, რომელსაც „რუსთავი არენა“ მასპინძლობდა, მზადებას მარტყოფის ბაზაზე შეუდგა.

„აღფრთოვანებულები ვართ საქართველოში არსებული სარაგბო ბაზებით. მარტყოფის ბაზაზე ყველაფერია იმისათვის, რომ ნაყოფიერად მოემზადო. ძალიან დიდი პლიუსი ისაა, რომ საცხოვრებელი სავარჯიშო მოედნისგან მხოლოდ 50 მეტრითაა დაშორებული. „კრასნი იარის“ მორაგბეები ახალაშენებულ ერთსართულიან სახლებში ცხოვრობენ. მოედნები ბუნებრივი და ხელოვნური საფარებით იდეალურ მდგომარეობაშია. აქვეა სავარჯიშო დარბაზი. ბაზა ზღვის დონიდან 740 მეტრზეა და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მისი ხელმძღვანელობა და მომსახურე პერსონალი პროფესიონალურად და მეგობრულად გვექცევა“, – წერდა კლუბის ოფიციალური ვებგვერდი შეკრების პირველ დღეებში.

რუსთავში ჩელენჯ ქაფის ფლეი ოფის სასტარტო თამაში პირველ აპრილს გაიმართა. ციმბირულ კლუბს სათამაშო პრაქტიკის ნაკლებობა ეტყობოდა და რუმინელებმა ორრაუნდიან ბრძოლაში 5-ქულიანი უპირატესობა მოიპოვეს – 17:12.

„კრასნი იარი“ საქართველოში დარჩა და მზადება მარტყოფის ბაზაზე გააგრძელა, 19 აპრილს კი რუმინეთში გაემგზავრა და 22-ში მეტოქეს სრულფასოვანი რევანში აუღო. ციმბირელებმა სტუმრად 27:18 იმარჯვეს და ორი მატჩის ჯამში გამარჯვება მოიპოვეს.

განმეორებით შეხვედრაში განსაკუთრებით „ბორჯღალოსნები“ – გიორგი ფრუიძე და ლაშა მალაღურაძე გამოირჩნენ. ქართველი შუამარბები მოედანზე პირველივე წუთებიდან გავიდნენ და ფრუიძემ 2 ლელო დადო (24-ე და 34-ე წუთებზე), ხოლო მალაღურაძე 3 გარდასახვით



და 2 ჯარიმით გუნდს 12 ქულით შეეწია. სასტარტო შემადგენლობაში იყვნენ ქართველი ბურჯი მიხეილ წიკლაური და კვაჭი ვალერი ცნობილაძე, ხოლო „ბორჯღალოსანი“ მესამეხაზელი ლაშა ლომიძე შეცვლაზე შევიდა.

„ტიმიშოარა-სარასენსის“ დამარცხების შემდეგ, „კრასნი იარის“ ხელმძღვანელობა საქართველოს რაგბის კავშირს დაუკავშირდა და იდეალური მოსამზადებელი პირობებისთვის სრკ-სა და მარტყოფის ბაზის ხელმძღვანელობას, ასევე ყველა იმ ადამიანს, ვისთანაც მათ ამ პერიოდში შეხება ჰქონდათ, დიდი მადლობა გადაუხადა. მან აღნიშნა, რომ გუნდის წარმატებაში საქართველოში გატარებულმა პერიოდმა უდიდესი როლი ითამაშა.

13 მაისს ჩელენჯ ქაფის შესარჩევი ტურნირის ფინალში, რომელიც ედინბურგში (შოტლანდია) გაიმართება, „კრასნი იარის“ მეტოქე მეორე რუსული კლუბი, ქვეყნის ჩემპიონი „ენისეი“ იქნება, რომელმაც იტალიური „მოლიანო“ ორი მატჩის ჯამში 97:7 გაანადგურა. „ენისეის“ ლიდერები არიან „ბორჯღალოსანი“ დავით კაჭარავა და მესამეხაზელი მიხეილ გაჩეჩილაძე, რომელიც რუსეთის ჩემპიონს ამ სეზონში ჩელენჯ ქაფის მატჩებისთვის დაემატა. „მოლიანოსთან“ მოგებულ პირველ მატჩში მან იტალიელებს ლელო დაუდო.

**ბადრი იაშვილი**

◎ ინტერნეტიდან

# ტატუმრავალი კლაუდია

**იტალიაში, როგორც ჭეშმარიტად სამხრეთის ქვეყანაში, ჭორები და მითქმა-მოთქმა ნამეტნავად უყვართ და ცნობილ ადამიანებსა და მათ ცოლებზე ბულვარული მედიის წყალობით ყველამ ყველაფერი იცის. ასეთ დროს „რომას“ ბელგიელი ფეხბურთელის – რაჯა ნაინგოლანის ცოლი აბა ვის გამორჩებოდა?...**



რაჯას ცოლი კლაუდია ნაინგოლანი, რომელიც ფესვებით ერთბაშად რამდენიმე ერის შვილია, გულით სამშობლოზე დარდსა და ფიქრს ატარებს თუ არა – ეს ნამდვილად არ ვიცით, მაგრამ ის კი ჭეშმარიტად ვიცით, რომ სხეულით მრავალ ტატუს დაატარებს და სწორედ მის ტატუმრავლობაზეა დიდი ქირქილი და ხორხოცი.

როგორც აპენინებზე ამბობენ, რაჯას ცოლის ტატუების ერთი ნაწილი საჯაროდაა გამოფენილი და მას ყველა მონდომებული და თვალებდაჭყეტილი მამრი ნახულობს, მაგრამ ტატუთა უმეტესობა დაფარულ ალაგებზეა და აი სწორედ მათი ნახვაა მთავარი გამოწვევა. ტატუებთან მისასვლელ გზაზე რაჯაა აყუდებული და თუ ბიჭი ხარ, გადალახე აბა ამ ბელგიელი ჯეელის ბარიერი...

**როსტომ რაჭველიშვილი**

◎ დერბის წინ

# რა საჭიროა მსაჯი?!



**„მანჩესტერ სიტის“ კოტ დივუარელი ნახევარმცველი იაია ტურე მსაჯებით უკმაყოფილოა და ამბობს, რომ კარგი იქნება, თუ მანჩესტერული დერბი არბიტრის გარეშე ჩატარდება. ამის შესახებ აფრიკელმა ფეხბურთელმა ლონდონის „არსენალთან“ ინგლისის ასოციაციის თასზე მარცხის შემდეგ ისაუბრა.**

„ეს არ არის პირველი შემთხვევა და სამწუხაროა, რომ შაოსნები ცდებიან. ტელევიზიებში ჩვენი სიმართლის დასტური კადრები გადის“, – ამბობს მსაჯობით გაბრაზებული ტურე – „იმედია, მანჩესტერულ დერბიში საუკეთესო ბრიგადას დანიშნავენ ან საერთოდ უმსაჯოდ ვითამაშებთ. მე მეორეზე ვაკეთებ არჩევანს“, – დასძინა იაიამ.

მანჩესტერული დერბი ხვალ თბილისის დროით 23 საათზე დაიწყება. ეს შეხვედრა ორივე გუნდისთვის ძალზე მნიშვნელოვანია – „სიტის“ 64 ქულა აქვს, „იუნაიტედს“ - 63 და ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის დიდი ბრძოლაა გაჩაღებული.

**მამუკა კევლიშვილი**



# ბიუჯეტში შემოსავლები არნახულად მაღალი ტემპით არის მობილიზებული...

ექსპერტმა ეკონომიკის საკითხებში **ემზარ ჯგერენაიამ „რეპორტიორთან“** ლარის კურსის გამყარებასთან დაკავშირებით ისაუბრა და აღნიშნა, რომ ლარის მყარი კურსი ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესებითაა გამოწვეული.

**— ბოლო პერიოდში ლარი გამყარდა, რამ გამოიწვია ეს და როდემდე შენარჩუნდება დღეს არსებული კურსი?**

— ბოლო პერიოდში ლარი ნაკლებად ვალატიურია და ბუნებრივია, ეს გამოწვეულია ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესებით. ეს არის ექსპორტისა და ტრანსფერების ნაწილში ზრდა, ტურიზმის ნაწილში საკმაოდ სერიოზული ნაკადების შემოდინება და ერთ-ერთი სერიოზული ფაქტორი არის საბიუჯეტო სიტუაციის გამოსწორება — არნახულად მაღალი ტემპით არის მობილიზებული შემოსავლები ბიუჯეტში და, ბუნებრივია, ამან თავისი გავლენა იქონია. ამ ყველაფერს დაემატა სეზონური ფაქტორები. პირველი კვარტალის ბოლოს, 1 აპრილამდე, არის 2016 წლის მოგების გადასახადის მობილიზაციის ვადა, ამან დამატებით უზარმაზარი მოთხოვნა გააჩინა ლარზე და დოლარზე მოთხოვნის ნაკლებობა არის მთავარი მიზეზი.

გარეფაქტორებიდან აღსანიშნავია: მიუხედავად იმისა, რომ რუსეთს ევროპამ გაუმკაცრა სანქციები, რუსეთის ეკონომიკა მაინც უმჯობესდება, რუბლის კურსი გამყარდა და მათი სავაჭრო დეფიციტი შემცირდა. სავაჭრო პარტნიორებთან არსებულმა გაუმჯობესებულმა მდგომარეობამ ჩვენ საშუალება მოგვცა, ვაჩვენოთ უკეთესი მაკროეკონომიკური მაჩვენებელი, იგივე მოხდა აზერბაიჯანში, მეტ-ნაკლებად არეული სიტუაციაა თურქეთში, მაგრამ ვალატიურობა ლირამ შეწყვიტა.

მინდა გითხრათ, რომ არავალატიური კურსი აისახება ბიზნეს-განწყობილებაზე. როცა ლარი ვალატიური იყო და ქანქარასავით მოძრაობდა, ეს აფრთხობდა ბიზნესმენებს. დღეს მყარი ლარი ბიზნესს იმის საშუალებას აძლევს, რომ ნაბიჯები გადადგან. ჩვენ აპრილის ბოლოს — მაისში ეკონომიკის მეტ ზრდას ველოდებით და, შესაბამისად, ბიზნესის უფრო გააქტიურებას.

**— ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი გაზრდილია. რამდენად ელოდებით 2017 წლის ბოლომდე მაჩვენებლის გაზრდას?**

— სავალუტო ფონდთან მიმართებით საქართველომ ნაბიჯი გადადგა. ჩამოყალიბდა მკაცრად განსაზღვრული ჩარჩოები იმის შესახებ, თუ რა უნდა გავაკეთოთ და რამდენ ხანში. ამან საშუალება მოგვცა, რომ გავაუმჯობესოთ ფისკალური და მონეტარული ნაწილი.

არ ვამბობ, რომ ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი კიდევ გაიზრდება, თუმცა შენარჩუნდება. თუ 4%-იანი ზრდა წლის ბოლომდე შენარჩუნდა, ეს საკმაოდ კარგი მაჩვენებელი იქნება, რა თქმა უნდა, არასაკმარისი, მაგრამ კარგი. მაისის თვეში ველოდებით, რომ სავალუტო ფონდი კიდევ ერთხელ გადახედავს თავის პროგნოზს, თუმცა, ის მაჩვენებელი, რაც დღეს არის, ანუ 4%, საკმაოდ დადებითი მაჩვენებელია რეგიონშიც და, მე მგონი, მსოფლიოშიც.

**— ნავთობის ფასის ზრდა რამ გამოიწვია და რაზე მოახდინა ამან გავლენა?**

— ნავთობის ფასის პირველი ძვრა მოხდა აქციზის გადასახადის ზრდასთან დაკავშირებით, ეს ბუნებრივია, ხოლო მეორე ზრდა ბოლო ხანებში მოხდა, როდესაც მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასი, რომელიც საკმაოდ ვალატიურია, 55 დოლარამდე ავიდა. რაც შეეხება იმას, თუ რაზე მოახდინა გავლენა ნავთობის ფასის ზრდამ, გეტყვით, რომ ყველაფერზე.

ნავთობი ძირითადი მდგენელი გახდა იმ ინფლაციური დონისა, რასაც ჩვენ მივაღწიეთ. ამის ზევით წლეულს ინფლაციურ ზრდას არ ველოდებით.

**— თურქეთში ჩატარდა რეფერენდუმი, რომლის შედეგადაც ქვეყანა საპრეზიდენტო რესპუბლიკა გახდა. თქვენი აზრით, მმართველობის ცვლილება თუ მოახდენს თურქეთში მცხოვრებ ქართველთა მდგომარეობაზე გავლენას?**

— თურქეთი, ერთი შეხედვით, აშკარად დიქტატურისკენ მიდის, მაგრამ, მეორე მხრივ, მას ჰქონდა შიდა პრობლემები, რასაც მთავრობამ ერთიანი ან, თუნდაც ნახევრად დიქტატორული რეჟიმი დაუპირისპირა.

არა მგონია, თურქეთის მიმდინარე პროცესებმა ცუდი გავლენა იქონიოს ქართველების სამუშაო ადგილებზე, თურქ ერს საკმაოდ დადებითი ურთიერთობა აქვს ქართველებთან. არც იმ სავაჭრო ურთიერთობებზე მოახდენს გავლენას, რომელიც ჩვენსა და თურქეთს შორის არსებობს. მგონი, პირიქით მოხდება და თურქეთი ბევრად წყნარი და მშვიდი ქვეყანა გახდება.

**სალომე უერთაშვილი**

# განცხადება
## აუქციონის ჩატარების შესახებ

**შპს „ენგურჰესი” (იურიდიული მისამართი ქ. თბილისი, პოლიტკოვსკაიას ქ. 8 III-სართ. ფაქტიური მდებარეობა აფხაზეთი, გალის რ-ნი დას. საბერიო) ნაწილობრივ ამორტიზირებულ ძირითადი საშუალებების რეალიზების მიზნით (ავტოსატრანსპორტო) აცხადებს აუქციონს ქვემოთ ჩამოთვლილ ქონებაზე:**

| # | დასახელება | ნომერი | გამოშვების წელი | საწყისი ფასი (დღგ-ს ჩათვლით) | „ბე”-ს ოდენობა | ბიჯი | ბილეთის ფასი | მდებარეობა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 |
| 1. | მერსედეს ბენცი (ავტობუსი) | A964PO | 1990 | 5775 | 500 | 50 | 20 | საბერიო |
| 2. | GAZ322132 | A546PT | 2007 | 5625 | 500 | 50 | 20 | საბერიო |
| 3. | უაზი მ/ა | FAH-255 | 1999 | 1275 | 100 | 30 | 10 | ჯვარი |
| 4. | ტოიოტა 4 რანნერი | NBN310 | 1997 | 3375 | 300 | 30 | 20 | ჯვარი |

აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულებას, აუქციონში მონაწილეობის მსურველი იხდის შპს „ენგურჰესის” საბანკო ანგარიშზე. აუქციონში მონაწილეობის მსურველი განაცხადთან და „ბე”-ს გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად რეგისტრატორს წარუდგენს აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულების გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს, რის შემდეგაც ტარდება რეგისტრაციაში და იღებს აუქციონში მონაწილის ბილეთს. აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულება არ შედის სარეალიზებო ღირებულებაში და გამოქვითვას არ ექვემდებარება.

თანხის („ბე”-ს, აუქციონში მონაწილის ბილეთის საფასურის) გადახდის საბანკო რეკვიზიტებია: შპს „ენგურჰესი”, სს „პროკრედიტ ბანკის” ქუთაისის ფილიალის ზუგდიდის განყოფილება, ბანკის კოდი MIBGGE22, ანგარიშგების ანგარიში GE59PC0173600100015015, ს/კოდი 251716371

განაცხადების მიღების ადგილია ქ. ზუგდიდი რუსთაველის 90, მეორე სართული, შ.პ.ს. „ენგურჰესის” ოფისი. განაცხადების მიღების ვადაა **2017 წლის 26 აპრილის 10 სთ-დან 2017 წლის 11 მაისის 13 - სთ-მდე,** ყოველდღე, სამუშაო საათებში.

აუქციონი ჩატარდება **2017 წლის 11 მაისს 14 საათზე,** მითითებულ მისამართზე.

აუქციონში მონაწილეობა შეუძლიათ საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია აუქციონის ჩატარებიდან „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ” საქართველოს კანონით განსაზღვრულ ვადაში გააფორმოს შპს „ენგურჰესთან” შესაბამისი ხელშეკრულება და აუქციონის შედეგების ოქმის დამტკიცების მომენტიდან, 30 კალენდარული დღის განმავლობაში, დაფაროს მის მიერ აუქციონზე დასახელებული ქონების საბოლოო გამოსასყიდი თანხა. წინააღმდეგ შემთხვევაში, აუქციონის შედეგები გაუქმდება, მყიდველს არ მიეცემა საკუთრების უფლება და „ბე”-ს შენატანი არ დაუბრუნდება. აუქციონში მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

- დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი (შეგიძლიათ მიიღოთ ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. 90, მეორე სართული შპს „ენგურჰესის” ოფისი);

-„ბე”-ს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;

-აუქციონში მონაწილეობის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი; ფიზიკური პირის შემთხვევაში პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი;

იურიდიული პირისათვის- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

- სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობა, თუ აუქციონში მონაწილეობს სხვა პირის სახელით.

სააუქციონო კომისიის ზონარგაყრილ დავთარში განაცხადის რეგისტრაციის მომენტიდან, განმცხადებელი იძენს აუქციონში მონაწილის სტატუსს. აუქციონში გამარჯვების გამოვლენის კრიტერიუმია საწყისს გასაყიდ ფასზე ბიჯის დანამატის შედეგად მაქსიმალური ფასის გადახდა.

სარეალიზაციო ქონების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია მისამართზე: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. 90, მეორე სართული შპს „ენგურჰესის” ოფისი, ტელ. 595 227050

**შპს ენგურჰესის აუქციონის მომწყობი კომისია**

# ისევ პრეზიდენტის ცოლისძმისა გამო!

**თბილისის საქალაქო სასამართლომ გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვისა და ტარებისთვის ბრალდებული მ.მ. დამნაშავედ ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილებით.**

სასამართლოში წარდგენილი მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2017 წლის 11 იანვარს, ქ. თბილისში, ლორთქიფანიძის ქუჩაზე მ.მ. უკანონოდ ატარებდა „BROWNING“-ის კონსტრუქციის იარაღს ერთი მჭიდითა და ერთი ვაზნით, ასევე თავის საცხოვრებელ სახლში ინახავდა ქარხნული წესით დამზადებულ 7,65 მმ კალიბრის იარაღს — „BERETTA“. ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნით დადგინდა, რომ ამოღებული იარაღები მიეკუთვნება ცეცხლსასროლ იარაღთა კატეგორიას და ვარგისია სროლისთვის, ხოლო ამოღებული ვაზნა წარმოადგენს საბრძოლო მასალას და ვარგისია გამოსაყენებლად.

სამართალდამცველებმა მ.მ. 2017 წლის 11 იანვარს ქ. თბილისში დააკავეს. მას ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილებით (ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა და ტარება) წარედგინა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ მ.მ. წარდგენილ ბრალდებაში სრულად ცნო დამნაშავედ და სასჯელის სახედ და ზომად 4 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

მ.მ. წარსულში არაერთხელაა ნასამართლევი. 2008 წლის 25 მარტს იგი საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით (ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ მოხმარება) და სსკ-ის 353-ე მუხლის პირველი ნაწილით (პოლიციის მუშაკის მიმართ წინააღმდეგობის გაწევა ჩადენილი ძალადობით) გასამართლდა და დანაშაულთა ერთობლიობით განესაზღვრა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, ასევე 2 წლით პირობითი მსჯავრი და ჯარიმა 3000 ლარი. 2010 წლის 27 თებერვალს მ.მ. კვლავ გასამართლდა საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით (ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ მოხმარება) და განაჩენთა ერთობლიობით, საბოლოო სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 2 წელი და 9 თვე პირობითი მსჯავრი და ჯარიმა 2000 ლარი. 2011 წლის 4 მაისს მ.მ. გასამართლდა საქართველოს სსკ-ის 19,109-ე მუხლის მეორე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით (განზრახ მკვლელობის მცდელობა, ჩადენილი ჯგუფურად) და განაჩენთა ერთობლიობით, სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 17 წელი და 1 თვე თავისუფლების აღკვეთა. 2013 წლის 14 თებერვლის განჩინებით, „ამნისტიის შესახებ“ კანონის საფუძველზე მას დანიშნული სასჯელი შეუმცირდა, ხოლო 2013 წლის 25 დეკემბრის საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების საფუძველზე გათავისუფლდა საპატიმრო სასჯელის შემდგომი მოხდისგან.



ჩვენი კარაბადინი

# დილა სიმხნევისა!

**მაინც როგორ უნდა დავიწყოთ ახალი დღე ისე, რომ ყველაფერი მოვასწროთ კიდეც და არც ძალიან დავიღალოთ? სპეციალისტები საამისოდ ხუთი მარტივი რამის გაკეთებას გვირჩევენ, რის შედეგად ყველა დილა ჭეშმარიტად მხნე და კეთილი გვექნება.**

დღეს ყველანი დაახლოებით ერთნაირად ვიწყებთ: ლოგინიდან ადგომა, მსუბუქი საუზმე, სამსახურში ან სასწავლებელში წასასვლელად მომზადება. ამდენად, დრო ლიმიტირებულია, სხვა საქმის საკეთებლად მოცლა არ არის. მაგრამ, დილა მომავალი დღის მარტო დასაწყისი კი არა, მისი საძირკველია. სწორედ ამ დროს ვიტვირთებით ენერგიით, რომელიც საღამომდე უნდა გვეყოს. ამ რჩევების შესრულებაც სწორედ ამ მიზანს ემსახურება.



**ყურების მასაჟი**. ცნობილია, რომ ყურებზე დაახლოებით 170 ბიოლოგიურად აქტიური წერტილია, რომელთა მეშვეობით ყველა შიდა ორგანოზე ზემოქმედება შეიძლება. **ფაქტობრივად, გამოდის, რომ ყურის მასაჟი მთელი სხეულის მასაჟია.**

გახსოვდეთ, რომ ყველა ვარჯიში წყვილად კეთდება. ქალბატონებმა მასაჟი უმჯობესია, მარცხენა ყურიდან, მამაკაცებმა კი მარჯვენიდან დაიწყონ.

მასაჟის დაწყებამდე დაიზილეთ ხელისგულები. დაიწყეთ ყურის ბიბილოზე ხელის მსუბუქი გადასმით, შემდეგ გადადით ხვეულზე (ესაა კანის გარეთა ნაკეცი) და ნიჟარის თავზე. შემდეგ კანი და ხრტილი მსუბუქი ტკივილის შეგნებამდე მოიწიწკნეთ. მერე ხელი გაუშვით და ვარჯიში 2-3-ჯერ გაიმეორეთ.

ახლა კი საჩვენებელი თითი ყურის ძირში მიიჭირეთ, პირი კი გააღეთ და დახურეთ. თითით უნდა იგრძნოთ, თუ როგორ მოძრაობს ქვედა ყბის სახსარი. ვარჯიში ათჯერ უნდა გაიმეოროთ.

**ერთი ჭიქა თბილი წყალი ლიმონით**. ასეთი სასმელი ღვიძლისა და სახსრების გაწმენდას ეხმარება, ვინაიდან საჭმლის მონელების ხელის შემწყობ ტუტეებს, ასევე მრავალ ვიტამინს შეიცავს. კალიუმი გულისა და ნერვული სისტემის მუშაობას აძლიერებს, C ვიტამინი ორგანიზმს ენერგიით ავსებს და ვირუსების საწინააღმდეგო მოქმედება აქვს. დიეტოლოგებს კი მიაჩნიათ, რომ ლიმონიანი წყლის რეგულარული მოხმარება ცხიმების დაშლას უწყობს ხელს.

ლიმონიანი სასმლის დასამზადებლად საჭიროა ნაყოფის მეოთხედი ჭიქა თბილ წყალში ჩაწუროთ. სასურველია, რომ წყალი უზმოზე, საუზმემდე ნახევარი საათით ადრე მიიღოთ.

**ჩაის კოვზი თაფლი**. დილიდანვე ენერგიით დამუხტვის უებარი საშუალებაა მხოლოდ ერთი ჩაის კოვზი თაფლის ჭამა. ეს გასაოცარი ნუგბარი მეხსიერებასა და შრომისუნარიანობას აუმჯობესებს, თანაც კარგ გუნებაზეც გაყენებთ. თაფლი ააქტიურებს ნივთიერებათა ცვლის პროცესს და სწრაფი ნახშირბადების წყალობით ორგანიზმს გაღვიძების პროცესის დაჩქარებაში ეხმარება.

თუკი თაფლს რეგულარულად მიიღებთ, უკეთესობა ერთ თვეშივე გახდება შესამჩნევი: გაგიუმჯობესდებათ სახის კანის ფერი, თმებისა და ფრჩხილების მდგომარეობა.

თაფლის მიღება სასურველია ჭამამდე 10-15 წუთით ადრე – თავდაპირველად ის კანფეტივით უნდა გაწუწნოთ, შემდეგ კი წყალი მიაყოლოთ.

**კბილების გამოხეხვა და ენის გაწმენდა**. ევროპელმა მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ კბილების გამოხეხვის წყალობით ჩვენ შეგვიძლია 6 წლით მეტი ვიცოცხლოთ! აღმოჩნდა, რომ კბილის ქვის წარმომქმნელი ბაქტერიები სისხლძარღვებს ანაგვიანებენ, რაც, თავის მხრივ, გულის დაავადებებს იწვევს.

ადამიანთა უმრავლესობა კბილებს რეგულარულად იხეხავს, მაგრამ ბევრს ავიწყდება, რომ ასევე საჭიროა ენის გაწმენდაც, რომლის ზედაპირზე ასევე უამრავი ბაქტერია გროვდება. რომელიც არა მარტო კბილებს, არამედ კუჭ-ნაწლავსაც აზიანებს. გარდა ამისა, როცა ენას ზედნადები აქვს, ჩვენ გემოს შეგრძნება გვიქვეითდება, რის გამო იძულებული ვართ, სულ უფრო მეტი გემოს გამაძლიერებელი ვიხმაროთ. ამასთან, როცა ადამიანი საჭმლის გემოს ცუდად გრძნობს, ის მეტ საკვებს იღებს.

ენის გაწმენდა საგანგებო საფხეკით ან ჩვეულებრივი ჩაის კოვზითაა საჭირო (და არავითარ შემთხვევაში კბილის ჯაგრისით, რომელსაც ენის ზედაპირის დაზიანება შეუძლია).

ეს პროცედურა კბილების გამოხეხვის შემდეგ უნდა დაიწყოთ და ენას ძირიდან წვერამდე წამოყვეთ. ამის გაკეთება საჭიროა ამხვეტი, დაჭერითი მოძრაობებით. თავდაპირველად ენის ერთი მხარე გაიწმინდეთ, შემდეგ მეორე, ხოლო მერე პირში წყალი გამოივლეთ.

ბოლოს კი ეცადეთ, რამდენიმე წუთი გამონახოთ და საკუთარ თავთან პირისპირ დარჩეთ – არა დღის გეგმის შესადგენად, არამედ სტარტამდე პაუზისთვის. უთხარით საკუთარ თავს გამამხნევებელი სიტყვები, სარკესაც გაუღიმეთ! სამსახურში მიმავალმა ეცადეთ, ყურადღება მხოლოდ კარგ რამეებს მიაქციოთ, რითაც თავად შეძლებთ საკუთარი თავისთვის კარგი გუნება-განწყობის შექმნას.

**მოამზადა**
**ნინო ალექსანდრიამ**

## სანთელი

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის 1961 წლის გამოშვების 582-ე ჯგუფის კურსდამთავრებულები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა



### სოზარ სალნიაშვილი

შესანიშნავი მეგობარი, საავტომობილო ტრანსპორტის სფეროს პროფესიონალი, დარგის დამსახურებული მუშაკი და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის სამეცნიერო ცენტრის გამგეობა და თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოვთქვამთ ჩინებული მეცნიერის, აღიარებული მთარგმნელისა და დიდებული ქალბატონის

### ლეილა მაღრაძის

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას ვუცხადებთ განსვენებულის ოჯახს.

---

ანი ტაკიძე, ნინო ბერაძე, მარინა ადამაშვილი, ნინო ლობჟანიძე იუწყებიან უახლოესი მეგობრის ქეთი ქათამაძის მამის

### გოგი ქათამაძის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

---

რევაზ, ლალი, ზურაბ, ანი ტაკიძეები, ქრისტიან-გიორგი ფონ ბორცისკოვსკი იუწყებიან მეგობრის

### გოგი ქათამაძის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

---

ლევან დავლაძე იუწყება მეუღლის

### დოდო (ეთერი) ბაქრაძის

გარდაცვალებას.
პანაშვიდი 26 IV, დაკრძალვა 27 IV, 14 სთ.
მისამართი: მერაბ კოსტავას 60, ბინა 8.

---

სპარტაკ ხუნწელია, ჯემალ უგულავა, აზმეტ მანტკავა, შალვა მგალობლიშვილი, ბეჟან უგულავა, ზურაბ აგაიანი თანაუგრძნობენ ბუსკა გეწაძეს დედის, ქალბატონი

### დუშას

გარდაცვალების გამო.

---

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები თანაუგრძნობენ კოლეგასა და მეგობარს, ცნობილ ჟურნალისტს ჯაბა ხუბუას ბებიის

### ვალია ძაძამიას

გარდაცვალების გამო.

სავალალო სტატისტიკა

## 6 წლის განმავლობაში სამშენებლო სამუშაოებზე დაიღუპა 300-მდე და მძიმედ დაშავდა 700-მდე ადამიანი!

**„შრომის ინსპექციას არა აქვს უფლება შევიდეს ობიექტებზე, თუკი კომპანია არაა თანახმა“, – განუცხადა „ჯი-ეიჩ-ენს“ მშენებელთა და ტყის მუშაკთა დამოუკიდებელი პროფესიული კავშირის თავმჯდომარემ მარინა კურტანიძემ. მისი თქმით, თუკი არსებობს კონკრეტულ კომპანიაში შესვლის სურვილი, ინსპექცია ვალდებულია, რომ 5 დღით ადრე შეატყობინოს მათ.**

რამდენიმე დღის წინათ, სამშენებლო სამუშაოზე მომუშავე 21 წლის ახალგაზრდა დაიღუპა. კურტანიძის თქმით, ამ სფეროში შრომის უსაფრთხოების მდგომარეობა სავალალოა.




**„2011 წლის შემდგომ სამშენებლო სამუშაოებზე დაიღუპა 300-მდე და მძიმედ დაშავდა 700-მდე ადამიანი. ეს საკითხი მისახედია და სახელმწიფოს მხრიდან საჭიროა ქმედითი ღონისძიებების განხორციელება.**

**წლებია, პროფკავშირები ვსაუბრობთ და ჟურნალისტები აშუქებენ ყველა შემთხვევას, მაგრამ შედეგი არ იცვლება და იზრდება შემთხვევათა ტენდენცია“,** – განაცხადა მარინა კურტანიძემ.

მან საკითხის მოგვარების გზებზეც ისაუბრა და განაცხადა, რომ პირველ რიგში საჭიროა შესაბამისი კანონმდებლობის შექმნა და სახელმწიფოსვე შექმნილი შრომის ინსპექციისთვის უფლებების გაზრდა.

**„სახელმწიფოს მხრიდან წინ გადადგმული ნაბიჯია, რომ შეიქმნა შრომის დეპარტამენტი, რომელსაც ჩვენ შრომის სახელმწიფო ინსპექციას ვუწოდებთ. თუმცა იგი ვერ ახორციელებს თავის ფუნქციას, რადგან მას არ აქვს მთელი რიგი უფლებები და სანქციათა გამოყენების შესაძლებლობა, სპეციფიკის მიხედვით კი კადრების დეფიციტია“,**– განაცხადა მარინა კურტანიძემ.

## ტრაგედია ბათუმში



**ბათუმში, ფარნავაზ მეფის №139 მშენებარე კორპუსის ლიფტის შახტაში მამაკაცი ჩავარდა, რომელიც ადგილზე გარდაიცვალა. მომხდარზე გამოძიება 240-ე მუხლით მიმდინარეობს რაც სამთო, სამშენებლო ან სხვა სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევას გულისხმობს.**

## კიევში „გელა ტბილისკი“ დააკავეს



**კიევში კიდევ ერთი ქართველი კანონიერი ქურდი დააკავეს.** გელა ჯოშუა, იგივე გელა ტბილისკი პოლიციამ ერთ-ერთ რესტორანში აიყვანა. 51 წლის ჯოშუა რუსეთის მოქალაქეა. კიევში ის გასულ წელს ჩავიდა და კრიმინალურ დაჯგუფებებს ჩაუდგა სათავეში. უკრაინის ხელისუფლება რუსეთში მისი დეპორტაციის საკითხს განიხილავს. კრიმინალურ ავტორიტეტს უკრაინის ტერიტორიაზე შესვლას, სავარაუდოდ, 3 წლით აუკრძალავენ.

◉ დაზუსტება

# ...მე თქვენი დედაც, სალიერებო!

**ჩვენი** გაზეთის 22 აპრილის ნომერში (№83) ბატონ ნუგზარ ფოფხაძის პუბლიკაციაში „ირაკლი აბაშიძე: ღირს თუ არა ღირს?“ ტექნიკური მიზეზების გამო ამოვარდა იმ პატარა ლექსის ფოტოპირი, რომელიც დიდმა პოეტმა არქივში შესანახად გადასცა ცნობილ ჟურნალისტს.



დღეს მკითხველს პირველად ვთავაზობთ 1983 წლით დათარიღებულ ამ უნიკალურ ხელნაწერს.



ღირს თუ არა ღირს?..

ღირს თუ არა ღირს?

1983.

# გილოცავთ!

**საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „მამულიშვილთა გახსენება“ მიესალმება და გულთბილად ულოცავს დაბადების საიუბილეო 80 და 70 წელს დიდად განათლებულ, კეთილშობილებითა და სათნოებით მოსილ ქალბატონს, დიდი ჭაბუა ამირეჯიბის ძვირფას მეუღლეს — თამარ ჯავახიშვილს, ცნობილ ექიმ-თერაპევტს, მრავალი ადამიანის სიცოცხლის სადარაჯოზე მდგარს და გადამრჩენს, ქალბატონ ნანა სოფრომაძე-გოძიაშვილს და ამერიკის შეერთებულ შტატებში მცხოვრებ საზოგადო მოღვაწეს, ქალბატონ დალი ჩხეიძეს.**

**ვუსურვებთ მათ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს ოჯახისა და სამშობლოს კეთილდღეობისთვის.**

**ღრმა პატივისცემით ბონდო კობაძე,**
**ფონდის პრეზიდენტი, დავით აღმაშენებლის, ექვთიმე თაყაიშვლისა და გალაკტიონ ტაბიძის პრემიების ლაურეატი, მშვიდობის „ოქროს ვარსკვლავისა“ და „მშვიდობის დროშის“ კავალერი.**

◉ საქართველო ოქროს საუკუნეში

# თამარ მეფის ცხოვრება და გარდაცვალება

**პოპულარული გერმანული გამოცემა „Die Welt“, საქართველოს ერთ-ერთი გამორჩეული მეფის — თამარის შესახებ ფრანკ შტოკერის ავტორობით სტატიას აქვეყნებს, რომლის ქართულენოვან ვერსიას საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ:**

საქართველოს ეროვნული ვალუტის 50-ლარიან კუპიურაზე ქალი-მმართველია გამოსახული. ქართველები მას „მეფე-ქალს“ უწოდებენ: მან აყვავებული სახელმწიფო შექმნა და უკურნებელი სენით გარდაცვალებამდე მართავდა.




ტრადიციული წესით, საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელი დედოფალი იყო — ისევე როგორც იმდროინდელ სხვა ქვეყნებში, მაგალითად, დიდ ბრიტანეთში ან დანიაში. ამ სახელწოდებას ყველა ენაში შევხვდებით. ასევეა ქართულ ენაშიც. მაგრამ თამარი, რომელიც ქვეყანას 1184 წლიდან 1213 წლამდე მართავდა, ქართულ კუპიურაზე გამოსახულია არა როგორც დედოფალი, არამედ როგორც „მეფე-ქალი“. ამის ახსნა შეიძლება იმ ისტორიული პერიოდის სპეციფიკით, როცა იგი ტახტზე ავიდა. მამამისი გიორგი მესამეც დრამატულ სიტუაციაში გამეფდა, რადგან მას სამეფო ტახტს ძმისწული დემნა (დემეტრე) ეცილებოდა. დემნამ შეთქმულებაც კი მოაწყო დიდგვაროვანი ფეოდალ-მხარდამჭერებთან ერთად, ტახტის ხელში ჩაგდების მიზნით, მაგრამ გიორგი მესამემ აჯანყება ჩაახშო, თავის ძმისწულს კი თვალები დასთხარა და დაასაჭურისა.

გიორგი მესამემ გადაწყვიტა მმართველობის მემკვიდრეობითობა ერთმნიშვნელოვნად განემტკიცებინა და თავისი ქალიშვილი თამარიც, 12 წლის ასაკში, ტახტზე დაისვა, თანამოსაყდრედ გამოაცხადა და ექვსი წელი სამეფოს ერთად მართავდნენ. როცა გიორგი მესამე გარდაიცვალა, თამარი საქართველოს პირველი მეფე-ქალი გახდა, ანდა სხვაგვარად რომ ვთქვათ — ქალი-ხელმწიფე. თამარის წოდება ქართულად ასე ჟღერს — „მეფე“ — რაც ხელმწიფეს და მბრძანებელს ნიშნავს. თამართან მიმართებით სიტყვა „დედოფალი“ იშვიათად გამოიყენება, რადგან იგი ქვეყნის უპირველესი მმართველი იყო, დედოფლები კი ძირითადად მეფეებს ემორჩილებიან.

თამარ მეფე საქართველოს ისტორიაში უდიდეს პიროვნებად ითვლება. მისი მეფობის დროს ქვეყნის ვაჭრობა-ეკონომიკისა და საზოგადოებრივი ცხოვრების აყვავების ეპოქა დადგა, რომელსაც „ოქროს საუკუნეს“ უწოდებენ. თამარ მეფემ თავისი ჯარით ბევრი ტერიტორია დაიკავა და მისი მეფობის დასრულების ჟამს საქართველოს ტერიტორია ყველაზე დიდად გაფართოვდა. თამარ მეფემ რეფორმებიც განახორციელა: მან გააუქმა სიკვდილით დასჯა და ბრძანება გასცა წამების აკრძალვის შესახებაც. მისი მეფობის ხანაში კულტურაც აყვავდა: სწორედ მაშინ შეიქმნა ქართული ეროვნული ეპოსის შედევრი — შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“. ლეგენდის თანახმად, შოთა რუსთაველმა თავისი პოემა თამარ მეფეს მიუძღვნა.

იგი საშინელი უკურნებელი სენით გარდაცვლილა. მანამდე კი თამარმა თავისი ვაჟი ლაშა გიორგი გაამეფა (თანამოსაყდრედ დაისვა), რათა მისი მეფობა, დიდი თამარის გარდაცვალების შემდეგ, სადავო არ გამხდარიყო.


სრ
საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოზულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22) ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001



ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.


# პროსპექტის „მწვანე ქოჩორი“

**სულ** ერთი თველა რჩება 26 მაისამდე, საქართველოს დამოუკიდებლობის დღემდე, რომელსაც დედაქალაქი შარშანდელზე უფრო გაკოხტავებული შეხვდება.

ამ ღირსშესანიშნავი დღისთვის საგანგებოდ ირთვება და ლამაზდება დავით სარაჯიშვილის პროსპექტიც, სადაც შუაში, გამყოფ ზოლში დიდი გამწვანებითი სამუშაოები მიმდინარეობს. რამდენიმე ათეული წლის წინათ ტრამვაი დადიოდა, მერე მეტრზე მაღალი, ქვით მოპირკეთებული გამწვანებული ზოლი ააშენეს, რომელსაც საკუთარი სარწყავი სისტემაც ჰქონდა დაყოლებული, მაგრამ შემდგომ ცნობილ მოვლენათა გამო ამ მეურნეობის მოვლა აღარავის ახსოვდა და ბუნებრივია, ყველაფერი გახმა-გავერანდა, მწყობრიდან გამოვიდა. ახლახან კი დედაქალაქის მერიის კეთილმოწყობის სამსახურმა ამ მწვანე ზოლის მოწესრიგების სამუშაოების წარმოება „თბილსერვის ჯგუფს“ შეუკვეთა.

სამუშაოს ჩამტარებელი ჯგუფის ბრიგადირის ზვიად შქარისაშვილის თქმით, გურამიშვილის პროსპექტის გამწვანების ზოლში უკვე დათესილია დეკორატიული ბალახი, დარგულია 2000-ზე მეტი სხვადასხვა ჯიშის ტუიას, კოწახურის, ღვიის ბუჩქები, რამდენიმე ჯიშის ხე.





თვის ბოლომდე კიდევ დაირგვება 4000 ნერგი, გაიმართება მცენარეთა მორწყვის ავტომატური სისტემა.

**ლალი ხუნდაძე**

**ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო**


„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!


**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.4100; ევრო - 2.6161;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.0903;
100 რუბლი - 4.3181; თურქული ლირა - 0.6731;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4367;
1000 სომხური დრამი - 4.9691.

**ამინდი 26 აპრილისთვის**

| | | |
|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე -2 | დღე +18 |
| მთიანი რაიონები - | ღამე -7, | დღე +18 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე 0, | დღე +24 |
| მთიანი რაიონები - | ღამე -5, | დღე +20 |
| თბილისი: | ღამე +1, | დღე +14 |


დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge